ISSN 2587-4713 3-5 2020

ECONOMICS

ეკონომიკა

1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed and refereed scientific journal

3-5, 2020

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ლ. ბახტაძე; ხ. ბერიშვილი; მ. გვიჩია; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Бахтадзе Л., Беришвили Х., Гвичия М., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А, . Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; L. BAKHTADZE; KH. BERISHVILI; M. GVICHIA; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა
და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

**The Author is responsible for plagiarism
and for the accuracy of the facts, data given in the article.**

თბილისი - 2020

შინაარსი

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ენვერ ლაგვილავა - ბლოკჩეინ ტექნოლოგია
და მისი გამოყენების ძირითადი ასპექტები ---------- 6
მაია ბენია, კახაბერ კაციტაძე - ინოვაციური ეკონომიკის
მიმართულებები ციფრულ ეპოქაში ----------33
რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური - შენგელია, ნათია შენგელია -
კორონომიკური კრიზისი: ეროვნული წარმოების
განვითარების შემაფერხებელი თუ სტიმულატორი? ----------46
შურა უკლება - ქალი და მისი როლი თანამედროვე ეტაპზე
(სოციალურ - ეკონომიკური ასპექტი) ----------54

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ხათუნა შალამბერიძე - COVID - 19
და მსოფლიო ფინანსური ბაზრები----------64
ანი ხაჩიძე - დაკრედიტების პროცესში რეგულაციები
და მათი გვერდის ავლის გზების კონტროლი ----------75
მარიამ ფიცხელაური, ზურაბ ლიპარტია - ფინანსური
ანგარიშგებისა და მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის
კონტროლის მონიტორინგი საქართველოში----------83

რეგიონული ეკონომიკა

ნარგიზა ქარქაშაძე, ნანა ბენიძე - მიწის რესურსების მარკეტინგი
და მისი ეფექტური გამოყენება სამომხმარებლო ბაზარზე -
იმერეთის რეგიონის მაგალითზე (Marketing of Land
Resources and Their Effective Usage in the Consumer Market) ---------93

დარგობრივი ეკონომიკა

დეზდემონა მაღლაკელიძე, ნათელა ვაშაკიძე, დიანა უგლავა -
მმართველობითი აღრიცხვის სისტემის
დანერგვის აუცილებლობა საწარმოებისათვის---------- 102

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

თეონა გრიშიკაშვილი - ქროს-მარკეტინგი, როგორც ტურისტული სფეროს ინოვაციური მარკეტინგის მენეჯმენტის ელემენტი ---- 113
ლალი ხარბედია, ბადრი დავითაია - გემის მენეჯმენტი და საკრუინგო საქმიანობის განვითარება საქართველოში---------- 122
მარია ღლონტი - ციფრული და ტექნოლოგიური ბიზნეს პროექტების მართვის ტენდენციები და გამოწვევები ქართულ კომპანიებში (The Trends and Challenges of Digital Business Project Management in Georgia) ---------- 133

მსოფლიო ეკონომიკა

დავით მამუკელაშვილი - სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გამოცდილება ევროპის ქვეყნებში (ესპანეთის მაგალითზე) ---------- 140
ლია ზაზაშვილი - აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მსოფლიო საუნივერსიტეტო გამოცდილება---------- 153

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი----- 162

CONTENTS

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Enver Lagvilava - Blockchain Technology and Key Aspects of Its Use -- 6
Maia Benia, Kakhaber Katsitadze -
Directions to Innovative Economics in the Digital Age---------- 33
Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri - Shengelia, Natia Shengelia -
Coronomic Crisis: A Hindrance or Stimulus
For the Development of National Production---------- 46
Shura Ukleba - The Woman and Her Role Change
at the Modern Stage (the socio - economic aspect) ---------- 54

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKET

Khatuna Shalamberidze - COVID - 19 and Global Financial Markets 64
Ani khachidze - Lending Regulations and Controlling
of Avoiding Its Violation---------- 75
Mariam Pitskhelauri, **Zurab Lipartia -** Monitoring the Quality
Control of Financial Reporting and Assurance Services in Georgia ---- 83

REGIONAL ECONOMY

Nargiza Karkashadze, Nana Benidze - Marketing Of Land
Resources and Their Effective Usage In The Consumer Market
(Based on the Example Of Imereti Region) ---------- 93

SECTORAL ECONOMY

Dezdemona Maghlakelidze, Natela Vashakidze, Diana Uglava -
The Necessity of Introducing Managerial
Accounting system For enterprises ----------102

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Teona Grishikashvili - Cross - marketing as an Element of Innovative Marketing Management in the Tourism Sector ---------- 113
Lali Kharbedia, Badri Davitaia - Ship Management and Cruising Activitiy Development in Georgia ---------- 122
Maria Ghlonti - The Trends and Challenges of Digital Business Project Management in Georgia ---------- 133

WORLD ECONOMY

David Mamukelashvili - The Development Experience of Agricultural Cooperatives in the European Countries (on the example of Spain) ---------- 140
Zazashvili Lia - World University Experience in Improving the Qualification of Academic Staff ---------- 153

Publication Requirements ---------- 162

ბლოკჩეინ ტექნოლოგია და მისი გამოყენების ძირითადი ასპექტები

ენვერ ლაგვილავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

გაანალიზებულია ინფორმაციული რევოლუციების განვითარების 5 ეტაპი და მათი ზემოქმედებით გამოწვეული საზოგადოების ხარისხობრივი გარდაქმნის შედეგები. აღნიშნულია, რომ დღეს საზოგადოება იმყოფება მეექვსე ინფორმაციული რევოლუციის განხორციელების ეტაპზე და მინიშნებულია საზოგადოებაში ამ ეტაპის თავისებურებების გამოვლენის ნიშნებზე, ცოდნის ექსპერტული სისტემების როგორც ხელოვნური ინტელექტის რეალიზაციის ერთ-ერთ საშუალებაზე. ხაზგასმულია, რომ ინფორმაციული რევოლუციების განვითარების პარალელურად იცვლება ამ ეტაპებს შორის ინტერვალები, სწრაფად მცირდება ცოდნის განახლების პერიოდის ხანგრძლიობა. მითითებულია, რომ ბლოკჩეინ ტექნოლოგია მეექვსე ინფორმაციული რევოლუციის გამორჩეული და პერსპექტიული ტექნოლოგიაა. მოცემულია ბლოკჩეინის ჯაჭვის ფორმირების ტექნოლოგია და მისთვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებები: მონაცემთა დაცულობის მაღალი დონე, ბლოკჩეინში ჩაწერილი მონაცემების შეცვლის, ამოგდების და გაყალბების შეუძლებლობა, მართვის დეცენტრალიზაცია, ტრანზაქციის განხორციელება მესამე პირის მონაწილეობის გარეშე.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ბლოკჩეინ ტექნოლოგია არის ქვეყნების განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება. მოტანილია ინფორმაცია საქართველოს საჯარო რეე-

სტრში ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით უძრავი ქონების რეგიტრაციის შესახებ. დახასიათებულია ბლოკჩეინ ტექნოლოგიის განვითარების გზა მისი წარმოშობიდან დღემდე, გაანალიზებულია ამ გზაზე ბლოკჩეინ ტექნოლოგიის განხორციელების თავისებურებები და მიღწევები. დაწვრილებითაა განხილული ბლოკჩეინ ტექნოლოგიის უპირატესობები და მისთვის დამახასიათებელი ნალოვანებები. კერძოდ, განხილულია ბლოჩეინის ის თვისებები, რომლებმაც მას მოუტანა საზოგადოებაში აღიარება და პოპულარობა: დეცენტრალიზაია, მონაცემთა უსაფრთხო შენახვა, ტრანზაქციების გამჭვირვალობა, ტრანზაქციის განხორციელების მაღალი სისწრაფე, ტრანზაქციის დანახარჯების შემცირება.

ნაშრომში აღნიშნულია რომ, ბლოკჩეინ ტექნოლოგიის ნაკლოვანებები ხელს უშლის საზოგადოებაში მის პრაქტიკულ ადაპტაციასა და ფართოდ გავრცელებას. მისთვის დამახასიათებელი ცალკეული ნაკლოვანებებია: ბლოჩეინის ზომა (მოცულობა) იმდენად დიდია, რომ ბლოკჩეინში განხორციელებული ტრანზაქციების შესანახად საჭიროა დიდი გამოთვლითი სიმძლავრეები, დიდი რაოდენობით ელექტროენერგიის მოხმარება. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკჩეინში არ ხდება მომხმარებლის სახელისა და გვარის მითითება, მაინც არსებობს კონფიდენციალობის დარღვევის გარკვეული რისკები. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის ერთ-ერთ ნაკლად მკვლევარები მიიჩნევენ დაუმთავრებელ ტრანზაქციებსა და მემპულების არსებობას, ასევე მისი მასშტაბურობის პრობლემა, რაც გამოწვეულია ბლოჩეინის ქსელში ბლოკის სიდიდის შეზღუდულობით. თანამედროვე ეტაპზე ბლოკჩეინის ნაკლად ითვლება საკანონმდებლო დონეზე კრიპტოვალუტის რეგულირების არ არსებობა. კრიპტოვალუტის მოპოვებისას ადგილი აქვს გარემოს დაბინძურებას გამოყოფილი ნახშირორჟანგით. სტატიაში მოტანილია ინფორმაცია ბლოკიჩეინ ტექნოლოგიების დასანერგად საჭირო სპეციალისტებზე მოთხოვნების შესახებ.

სტატიაში კვლევის შედეგები წარმოდგენილია დასკვნების სახით: საჭიროა გაძლიერდეს და გაფართოვდეს ბლოკჩეინ ტექ-

ნოლოგიის დანერგვა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში; შემუშავდეს ღონისძიებები ბლოკჩეინის ქსელში ტრანზაქციისას დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად; შეიქმნას კრიპტოვალუტის მოპოვების ისეთი ტექნოლოგია, რომელიც შეამცირებს ელექტროენერგიის ხარჯვასა და გარემოს დაბინძურებას; ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დნერგვის არეალის გასაფართოებლად აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე განხორციელდეს კრიპტოვალუტის რეგულირება და სტანდარტიზაცია, როგორც მთლიანად მსოფლიოში, ასევე საქართველოში; შემუშავდეს ღონისძიებები ბლოკჩეინის ქსელში დაუმთავრებელი ტრანზაქციებისა და მემპულების რაოდენობების შესამცირებლად; აუცილებელია სასოფლოსამეურნეო პროდუქციის ლოჯისტიკის მართვის გაუმჯობესების მიზნით ბლოკჩეინის სისტემაში განთავსდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესახებ ციფრული სერტიფიკატები.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული რევოლუციები, ბლოკჩეინი, ბლოკჩეინ ტექნოლოგია, ბლოკჩეინ ტექნოლოგიის უპირატესობები, ბლოკჩეინ ტექნოლოგიის ნაკლოვანებები.

ძირითადი ტექსტი

დღეისთვის მსოფლიოში მრავალი ქვეყანა აშენებს ინფორმაციულ საზოგადოებას. შემუშავებულია შესაბამისი პროგრამები. ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობას საფუძვლად უნდა დაედოს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება. უნდა განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკის გაციფრულება ისეთი ტექნოლოგიის ბაზაზე, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების შენახვის მაღალ საიმედოობას, გამორიცხავს ტრანზაქციის განხორციელებისას შუამავლის მონაწილეობის აუცილებლობას, შეამცირებს შესაბამის დანახარჯებსა და დროს. ყოველივე აღნიშნულის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია ბლოკჩეინ ტექნოლოგიით, რომლის შემქმნელია საიდუმლოებით მოცული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი სატოში ნაკამოტოს ფსევდონიმით. ბლოკჩეინ ტექნოლოგიას, მისი გა-

მოყენების არსებულ მდგომარეობას და პერსპექტივების კვლევას ეძღვნება წარმოდგენილი სტატია. მასში განხილულია მსოფლიოში ამ სფეროში არსებული კვლევების, მოსაზრებებისა და განვითარების ტენდენციები, ბლოკჩეინ ტექნოლოგიისთვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპები, უპირატესობები, ნაკლოვანებები და სხვადასხვა სფეროში არსებული და შესაძლო გამოყენების პერსპექტივები.

ბლოკჩეინ ტექნოლოგია შეიჭრა ადამიანთა საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში (ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ჰუმანიტარულ და იურისპრუდენციაში და სხვა). მისი შესაძლებლობები დღეის მდგომარეობით ბოლომდე არაა გამოკვლეული, იგი განვითარებისა და სრულყოფის ეტაპზეა. მრავალი მკვლევარის აზრით იგი აამაღლებს ადამიანთა სოციალურ-კულტურული განვითარების დონეს, დააჩქარებს ქვეყანაში ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობის პროცესს, მოახდენს რადიკალურ ცვლილებებს საზოგადოების განვითარებაში, დიდი ალბათობით რამდენიმე წელიწადში გარდაქმნის მრავალ დარგს.

ინფორმაციული და ტექნოლოგიური გარდაქმნების უკეთ გაგების მიზნით საჭიროა რეტროსპექტულად შევაფასოთ ძირეული და ღრმა ხარისხობრივი ცვლილებები ინფორმატიზაციის განვითარების მიმართულებით, რასაც ინფორმაციულ რევოლუციებს უწოდებენ. ამავე დროს, ასეთი მიდგომა გაგვიადვილებს იმის გააზრებას, თუ განვითარების რა ფაზაზე ვიმყოფებით ამჟამად და რა მოგველის ახლო მომავალში. კაცობრიობის ისტორიაში აღინიშნა ექვსი ინფორმაციული რევოლუცია, რომელთაგან ხუთი უკვე მოხდა და ამჟამად მეექვსე ინფორმაციულ რევოლუციაში ვიმყოფებით, რომლის ქრონოლოგია შემდეგია [1. 28-33]:

პირველი ინფორმაციული რევოლუცია – ეს იყო ადამიანთა ურთიერთობებში ენების აღმოცენება. ადამიანის შემეცნებაში და საქმიანობაში ენობრივი სიმბოლიკის დანერგვა და გავრცელება ინფორმაციული რევოლუციის შინაარსს შეადგენს. ენის საშუალებით ჩამოყალიბებული, გადაცემული და შენახული ინფორმაცია მძლავრ სტიმულად იქცა შემდგომი თაობებისა და

უცხო ადამიანებისთვის ცოდნის შეძენისა და გამოყენებისთვის.

მეორე ინფორმაციული რევოლუცია ეხება დამწერლობის გამოგონებას. იგი პირველი ინფორმაციული რევოლუციისგან დაშორებულია რამდენიმე ათასი წლის პერიოდით. დამწერლობის დანეგვის წყალობით შესაძლებელი გახდა ადამიანთა დიდი რაოდენობის დაკავშირება ცოდნასთან და თანაც მოკლე დროში.

მესამე ინფორმაციული რევოლუცია – ეს არის ბეჭდვის გამოგონება. გერმანელი ი. გუტენბერგის ეს გამოგონება ჩაითვალა მეორე ათასწლეულის უდიდეს გამოგონებად. წიგნების ბეჭდვის, როგორც ახალი ინფორმაციული რევოლუციისა და ტექნოლოგიის, ძირითადი შედეგი ის იყო, რომ მან საშუალება მისცა ინფორმაციას და ცოდნას ადვილად გადაელახა ნებისმიერი სივრცობრივი, დროითი და კულტურულ-ცივილიზაციური ბარიერი. ფაქტობრივად, მან მოამზადა სამრეწველო რევოლუცია და კაპიტალიზმის სწრაფი ტემპებით განვითარება.

მეოთხე ინფორმაციული რევოლუცია დაკავშირებულია ტელეგრაფის, რადიოს, ტელეფონის და ტელევიზორის (მასობრივი ინფორმაციის საშუალებების) შექმნასთან. ამ რევოლუციის მთავარი და საზოგადოებრივად შესაგრძნობი შედეგი გახდა სივრცის გადალახვა, ინფორმაციული ურთიერთობების უზრუნველყოფა შედარებით სწრაფი და მასობრივი გახდა. გამოიკვეთა ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი მოწყობის საკითხები და ეკონომიკის ზრდა სულ უფრო მკაფიოდ დამოკიდებული ხდება მასმედიის საშუალებების განვითარებაზე.

მეხუთე ინფორმაციულ რევოლუციას შეიძლება ვუწოდოთ კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო. იგი მოიცავს: სხვადასხვა კლასის კომპიუტერების შექმნას, რომელთაც შეუძლიათ წამში რამდენიმე ათეული ტრილიონობითა და კვადრილიონებით ოპერაციის შესრულება. ტექნიკის არცერთ სახეობას ისეთი პროგრესი არ განუცდია და თანაც ძალიან მოკლე დროში, როგორც ეს კომპიუტერების გაუმჯობესებას მოჰყვა. არანაკლები მიღწევებია ტელესაკომუნიკაციო საშუალებების ხარისხის, შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და გავრცელების

საქმეში. ამ მხრივ საგრძნობია ინტერნეტის ქსელის შესახებ მონაცემები. რადიოს დასჭირდა 30 წელი, რომ მიეღწია 50 მლნ აუდიტორიისათვის, ტელევიზიას – 13 წელი და ინტერნეტს კი – მხოლოდ 4 წელი. 1993 წელს ინტერნეტით სარგებლობდა 90 ათასი ადამიანი, 2002 წელს – 580 მლნ, 2012 წელს კი ორ მილიარდზე მეტი, ხოლო 2020 წლის დასაწყისისთვის ინტერნეტით მოსარგებლეთა რიცხვმა გადააჭარბა 4,5 მილიარდს [13].

უკვე აშკარად გამოიკვეთა მეექვსე ინფორმაციული რევოლუციის ნიშნები, რომლებიც დაფუძნებულია ცოდნის ექსპერტული სისტემებისა და ხელოვნული ინტელექტის სხვა საშუალებების გლობალიზაციაზე.

ხელოვნული ინტელექტი და მისი რეალიზების ერთ-ერთი საშუალება ექსპერტული სისტემაა. იგი არის ავტომატიზებული (კიბერნეტიკული) სისტემა, რომელიც განსაზღვრულ საგნობრივ არეში დაგროვილი ცოდნის საფუძველზე ახდენს ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის ზოგიერთი სახის მოდელის შექმნას და მის რეალიზაციას (ამოხსნას, იმიტაციას კომპიუტერზე). შედეგად მიიღება ე.წ. ინტელექტუალური პროდუქტი გამოგონების, აღმოჩენის, მეცნიერული ნაშრომის და სხვათა სახით - პატენტი, ლიცენზია ან საავტორო უფლება. ეს ფაქტები მეტყველებენ მეექვსე ინფორმაციული რევოლუციის კონტურებზე, რომელიც მიგვიყვანს გლობალური ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებამდე, რაც განვითარებული ქვეყნების ინტერესებს შეესაბამება და მათი მუშაობის დღის წესრიგში დგას.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ინფორმაციულ რევოლუციებს შორის ინტერვალები სულ უფრო მცირდება. მეორე ინფორმაციულ რევოლუციის მოხდენას ათასობით წლები დასჭირდა, მესამეს – 2-3 ათასი წელი, მეოთხეს – 4 საუკუნე, მეხუთეს – 50 წელი და მეექვსეში კი სრულიად შეუმჩნევლად შევედით.

მეექვსე ინფორმაციული რევოლუციის ერთ-ერთი გამორჩეული ინფორმაციული ტექნოლოგიაა ბლოკჩეინ ტექნოლოგია, რომლის განმარტება სამეცნიერო ლიტერატურაში იმდენად ბევრი და მრავალფეროვანია, რომ შეუძლებლია ერთი სტატიის

ფარგლებში მათი არა მარტო დაწვრილებით განხილვა, არამედ ციტირებაც კი. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის ნათლად წარმოდგენის მიზნით ქვემოთ მოგვყავს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განმარტებებიდან ერთ-ერთი განმარტება „ბლოკჩეინ ტექნოლოგია არის ორგანიზებული მონაცემთა ბაზა, რომელიც შედგება ბლოკების ჯაჭვისაგან, გაფორმებულია განსაზღვრული წესების მიხედვით. თითოეულ ბლოკის უჯრა თვის თავში მოიცავს წინა უჯრის შესახებ ინფორმაციას. ეს ტექნოლოგია ემყარება დეცენტალიზაციის პრინციპს, ანუ მონაცემთა ბაზა არ იმყოფება ერთ რომელიმე ადგილას, არამედ იგი განთავსებულია სისტემაში ჩართულ ყველა კომპიუტერზე და წარმოქმნიან ქსელს [17].

ცნობილია, რომ ბიტკოინის ბლოკჩეინი საბუღალტრო წიგნია (**Ledger**), რომელშიც ჩაწერილია აბსოლუტურად ყველა ტრანზაქცია ბიტკოინის შექმნიდან დღემდე. თუ ბლოკჩეინი არის საბუღალტრო წიგნი, მაშინ მისი თითოეული გვერდი არის ბლოკი, რომელშიაც იწერება ყველა ფინანსური ტრანზაქცია და რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ჰეშებით, ისე, რომ თითოეული შემდგომი ბლოკის სათაურში ინახება წინა ბლოკის ჰეშ-კოდი[1]. ამ უზარმაზარ საბუღალტრო წიგნიდან შეუძლებელია გვერდის (ბლოკის) ამოგდება, მისი შინაარსის შეცვლა, რადგან მაშინვე შეიცვლება შემდეგი ყველა გვერდის (ბლოკის) სათაური, და ბიტკოინის ქსელის ნებისმიერი მონაწილე, რომელშიაც ინახება ამ ბლოკჩეინ წიგნის ასლი, მაშინვე შეამჩნევს შეცვლის მცდელობას. კერძოდ, ბიტკოინის ქსელი თვითონ ავტომატურად შეამჩნევს ამას და უარყოფს, რადგან თვითორგანიზებადი სისტემაა. ამრიგად ბლოკების, რომლებიც ჩაწერილია ბლოკჩეინში, შეცვლა შეუძლებელია. ეს არის ბლოკჩეინის როგორც განაწილებული რეესტრის მნიშვნელოვანი თვისება. ასევე, შეუძლებელია სხვებისგან შეუმჩნევლად ბლოკების ამოგდება ბლოკჩეინიდან. ამასთან ბლოკჩეინი გაცილებით საიმედოა, ვიდრე საბუღალტრო წიგნი ან საბანკო რეე-

1 შემავალ მონაცემთა გარდაქმნა კრიპტოგრაფიულ მონაცემებად რთული მათემატიკური ალგორითმების გამოყენებით.

სტრი, რამდენადაც ბლოკჩეინის ასლები ინახება ერთრანგიანი ქსელის მრავალ კომპიუტერში (სერვერზე) (**Head**) და რომელშიც განთავსებულია სამომსახურეო და სასარგებლო ინფორმაცია (**Payload**), კერძოდ ტრანზაქციის ჩანაწერები. ბლოკის სათაური მოიცავს შემდეგ ინფორმაციას [16]:

- ბლოკის შექმნის დროსა და თარიღს;
- ბლოკის სათაურის ჰეშ-კოდს;
- წინა ბლოკის ჰეშ-კოდს;
- ბლოკში ყველა ტრანზაქციის ჰეშ-კოდს.

ზემოაღნიშნული, სპეციალური პარამეტრებია რომელთა ჩაწერა ხდება ბიტკოინის მაინინგის (მოპოვების) დროს. ბლოკჩეინის ჯაჭვში, ბლოკის სათაურის ჰეშ-კოდი აკავშირებს წინა ბლოკს მომდევნოსთან. იგი იწერება როგორც წინმდგომი ბლოკის ჰეშ-კოდი მომდევნო ბლოკის სათაურში. აგრეთვე სათაურში ინახება მიმდინარე ბლოკის ტანზაქციის ჰეშ-კოდი, იგი იანგარიშება რთული მათემატიკური ალგორითმის გამოყენებით და ცნობილია როგორც მერკლის ხე (**Merkle tree**) ან ჰეშების ბინარული ხე [16].

ბლოკჩეინ ტექნოლოგიის მნიშვნელობა და გამოყენების არეალი

დღეისთვის ფართოდაა გავრცელებული მონაცემთა განაწილებული ტექნოლოგია (ბლოკჩეინ ტექნოლოგია), რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ორგანიზაციული უპირატესობა სხვა არსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით.

განაწილებული მონაცემთა ბაზების (ბლოკჩეინის) ტექნოლოგია ქმნის ახალ შესაძლებლობებს და ეფუძნება მონაცემთა საჯარო რეესტრის შექმნის, ყველა განხორციელებული ტრანზაქციების დათვალიერების, მონაცემთა დაცულობის მაღალ დონეს. მოცემული მომენტისთვის ბლოკჩეინ ტექნოლოგიის ნაკლოვანებაა ის რომ, არ იძლევა ტრანზაქციისას დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას, ასევე არსებობობს ფულის გათეთრების გარკვეული რისკი, რადგან აღ-

ნიშნული ტექნოლოგია არ მოითხოვს ქსელში ტრანზაქციის შესრულებისას გამოყენებული ვალუტის წარმოშობის წყაროს დადასტურებას. ამ საკითხებზე დაწვრილებით საუბარი გვექნება ქვემოთ. გამოყენების სფეროების მიხედვით შექმნილია ბლოკჩეინ ტექნოლოგიის სხვადასხვა ალგორითმი, რომლებიც გამოყენება ვალუტის მოძრაობაში, ხელშეკრულების გაფორმებაში, საავტორო უფლებების აღიარებაში და სხვა [6].

ბლოკჩეინის საკვანძო ცნებაა ტრანზაქცია - ერთადერთი ხერხი რომლითაც ხდება მონაცემთა შეცვლა ბლოკჩეინის ქსელში. ბლოკჩეინის ქსელის კვანძები ქმნიან ტრანზაქციას და ცვლიან განხორციელებულ ტრანზაქციებს ერთმანეთში, იცვლება ბლოკჩეინის მდგომარეობა. ბლოკების ჯაჭვის ასლი ინახება და მუშავდება ერთიმეორისგან დამოუკიდებლად სხვადასხვა კომპიუტერზე. ფაქტობრივად ბლოკჩეინ ტექნოლოგია წარმოადგენს მონაცემების შენახვის ლოგიკას, რომელიც დამოკიდებული არ არის რომელიმე ცენტრალურ სერვერზე ან სერვერთა ჯგუფზე. ბლოკჩეინში შენახული მონაცემების შეცვლა არ ხდება ვინმესადმი ნდობით ან სურვილით. შენახული მონაცემების დაცვა წარმოებს კრიპტოგრაფიული ხერხების გამოყენებით [12].

ბლოკჩეინი საშუალებას იძლევა მოხდეს ტრანზაქციების ავტომატიზაცია მესამე მხარის მონაწილეობის გარეშე. სისტემის მართვა არ ხორციელდება ერთი რომლიმე ცენტრიდან, ანუ იგი წარმოადგენს მართვის დეცენტრალიზებულ სისტემას. ტრანზაქციის დამოწმებას ახდენს ქსელში ჩართული განსაკუთრებული კატეგორიის მომხმარებლები - მაინერები. მაინერები ახდენენ ტრანზაქციის ნამდვილობის დამოწმებას და მათგან აყალიბებენ ბლოკებს, რომლებიც ქმნიან ბლოკჩეინის ჯაჭვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრანზაქციის დროს შუამავლის გამორიცხვა წარმოადგენს ბლოკჩეინის ძირითად უპირატესობას. დღეის მდგომარეობით ყველა ოპერაცია ფულზე, დოკუმენტებზე და სხვა მონაცემებზე განხორციელებული ოპერაციების დასამოწმებლად საჭიროებს მესამე პირის მონაწილეობას, ბლოკჩეინში კი ოპერაციის ნამდვილობის დამოწმება

ხდება ბლოკჩეინის ქსელის მონაწილეების მიერ [14].

მკვლევარების აზრით ბლოკჩეინ ტექნოლოგიასთან დაკავშირებული გლობალური კაპიტალდაბანდებები 2021 წლისთვის მიაღწევს 9.7 მლრდ დოლარს. ბაზრის მოცულობა გამოითვლება პროგნოზირებული მონაცემების საფუძველზე ბლოკჩეინ გადაწყვეტილებების დანერგვის რაოდენობით ან ამ ტექნოლოგიის საფუძველზე მიწოდებული მომსახურებისა და სერვისების საფუძველზე. ამასთან საშუალო წლიური ზრდა 2022 წლამდე იქნება 79.6%-დან 81.2%-მდე [12].

ეკონომიკაში ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენების მნიშვნელობაზე მიუთითებს საერთაშორისო კომპანიათა ქსელის **Deloitte**-ს მიერ 2019 წლის 27 ივნისს გამოქვეყნებული კვლევის მონაცემები, რომლის თანახმადაც ჩინეთის კომპანიების 73% თვლის, რომ ქვეყნის განვითარების 5 სტრატეგიული მიმართულებიდან ერთ-ერთს ბლოკჩეინი წარმოადგენს. მას შემდეგ რაც ჩინეთის თავმჯდომარემ ბლოკჩეინი გამოაცხადა ტექნოლოგიებში გარღვევად, ჩინეთის მთავრობამ ამ სფეროში 6 მილიარდი დოლარი სახელმწიფო ინვესტიცია ჩადო [5].

გარდა ფულადურთიერთობებში ბლოკჩეინის გამოყენებისა, რომელიც გარკვეული დონით აღიარებულია, იგი წარმატებით გამოიყენება დოკუმენტების შენახვისა და კონტროლის სფეროებში. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არსებობს გარანტია იმისა, რომ დოკუმენტების შეცვლას ან გადაწერას ვერავინ შეძლებს, თუმცა ნებისმიერ მსურველს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია თუ ვინ შეიტანა სისტემაში ეს ჩანაწერი, რასაც უზრუნველყოფს ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამჭვირვალობის მაღალი დონე. ეს ტექნოლოგია მოსახერხებელი და საიმედოა არა მარტო პიროვნების პირადობის დასამოწმებლად, არამედ საკუთრების შესახებ დოკუმენტების დასამოწმებლადაც.

მოცემულ ეტაპზე უკვე არსებობს მსგავსი პროექტების გამოყენების მრავალი მაგალითი. მათ შორის, აშშ-ის ნიუ-იორკის კომპანია **Basno**-ს მიერ შემუშავებული ტექნოლოგია BlockSign, რომელიც საერთო შეღწევის რეესტრია, სადაც ინახება ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტები [12].

საქართველო პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც უძრავი ქონების რეგისტრაციისას ბლოკჩეინის ინოვაციურ ტექნოლოგიას იყენებს. საჯარო რეესტრიდან ნებისმიერ უძრავ ქონებაზე ამონაწერის შესახებ ინფორმაცია ბლოკჩეინის სისტემაში ავტომატურად იგზავნება. აღნიშნულმა ხელი შეუწყო ამ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებას. საჯარო რეესტრის ბლოკჩეინის პროექტი 2017 წლის 20 თებერვლიდან ამოქმედდა და დღეისთვის 2 მილიონზე მეტი ამონაწერის შესახებაა ინფორმაცია განთავსებული ბლოკჩეინში, რომლის საშუალებით სარეგისტრაციო ტრანზაქციები მსოფლიო მასშტაბით ხელმისაწვდომია, არის გამჭვირვალე და დაცული [2].

გარდა ზემოაღნიშნულისა ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებას სოფლის მეურნეობაში დიდი მომავალი აქვს, კერძოდ შესაძლებელია მისი გამოყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ლოჯისტიკის მართვისთვის, როგორც შიდა, ასევე, საერთაშორისო ბაზრებზე, რაც დაეფუძნება ბლოკჩეინის სისტემაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ციფრული სერთიფიკატის განთავსებას, რომელიც შეცვლის ქაღალდის სერტიფიკატს. ციფრული სერთიფიკატის გამოყენება კი დააჩქარებს პროდუქციის მიწოდებას საბოლოო მომხმარებლებისადმი და თავიდან აგვაცილებს პროდუქციის ვარგისიანობაზე ყალბი დოკუმენტების შექმნას.

ბლოკჩეინის რეტროსპექტული ანალიზი და პერსპექტივები

ბლოკჩეინ ტექნოლოგიამ მისი ჩასახვის პერიოდიდან დღემდე განვლო რამდენიმე ეტაპი და საკმაოდ სწრაფად განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. თითოეულ ახალ თაობაში ავლენს ტრანზაქციის უფრო მაღალ სიჩქარეს და უსაფრთხოების დონეს. გაფართოვდა დანართების გამოყენების არეალი და გასცდა კრიპტოვალუტის საზღვრებს. დღეს, ბლოკჩეინ გადაწყვეტილებებმა დაამტკიცეს თავისი მაღალეფექტიანობა სხვადასხვა დარგში. სწრაფად გაიზარდა მასზე მოთხოვნა და პოპულარობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სატოში ნაკამოტოს მიერ კრიპტოვალუტა - ბიტკოინის შექმნამდე, ჯერ კიდევ 1981 წელს, დევიდ ჩაუმის[1] (**David Chaum**) მიერ შემუშავებული იყო ანონიმური კომუნიკაციის საფუძვლები, 1983 წელს ბრმა ხელმოწერის სქემები, ხოლო 1989 წელს ჩაშვებულ იქნა ელექტრონული (ციფრული) ფულის პირველი ვერსია, რომელიც **DigiCash** პროექტითაა ცნობილი (Адам Бэк [2]) [7], იგი შეიძლება ჩაითვალოს ბიტკოინის წინამორბედად. დევიდ ჩაუმის მიერ შემუშავებული **DigiCash** პროექტი ექსპერიმენტის სტადიაზე გაკოტრდა, ვერ ჰპოვა გავრცელება, ვინაიდან მის მიერ გამოყენებული ცენტრალიზებული ბაზა, ძირეულად განსხვავდებოდა ბლოჩეინ ბიტკოინის დეცენტრალიზებული ბაზისგან, რომელიც აკონტროლებს და შეუძლებელს ხდის ერთიდაიგივე ფულის ერთეული, ჩვენ შემთხვევაში ბიტკოინი ორჯერ და მეტად იქნეს გამოყენებული.

პრქტიკამ აჩვენა, რომ ბიტკოინი ამ ეტაპზე ძირითადად გამოიყენება დაგროვების მიზნით. არ ხდება ფართოდ მისი გამოყენება გადახდებისთვის. ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით დევიდ ჩაუმის ხელმძღვანელობით შეიქმნა კრიპტოვალუტა **Praxxis**-ი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ფინანსური ტრანზაქციების ფართოდ და სწრაფად განხორციელება. ამ ფაქტის შესახებ 2019 წლის 20 აგვისტოს თვით დევიდ ჩაუმმა განაცხადა. შემოთავაზებული კრიპტოვალუტა მდგრადი და დაცულია ქვანტური შეტევებისგან. მისი გამოყენებით გამოსწორდება ბლოკჩეინ ბიტკოინის ისეთი პრობლემები, როგორიცაა: მასშტაბურობა, უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა [15].

ბლოკჩეინ 1.0. ახალმა ტექნოლოგიამ საწყისი დაუდო ცენტრალიზებულ საბუღალტრო წიგნს, ერთრანგიანი ქსელების

---

1 დევიდ ლი ჩაუმი ამერიკელი მეცნიერი კომპიუტერულ მეცნიერებებსა და კრიპტოგრაფიაში. იგი ცნობილია, როგორც პიონერი კრიპტოგრაფიაში და კონფიდენციალურობის შენარჩუნების ტექნოლოგიებში, ფართოდაა აღიარებული, როგორც ციფრული ფულის გამომგონებელი. მას ეკუთვნის პირველი ცნობილი (1982) წინადადება blockchain-ის protocol-ის შესახებ.

2 Адам Бэк ბრიტანელი კრიპტოგრაფი და კრიპტოხაკერი, Blockstream-ის გენერალური დირექტორი და Hashcash სისტემის ავტორი; ინტერვიუ Letknow.news-სთან 2020 წლის 11 თებერვალი.

დახმარებით ფულის გაგზავნასა და მიღებას, სადაც ვალუტის ორმაგი ხარჯვის პრობლემა წყდება ნდობის კვანძების ჩართვით. ბიტკოინის ქსელში გამოიყენება სამუშაოთა დამოწმების **PoW (Proof-of-work)** ალგორითმი, თუმცა დღემდე ძირითად პრობლემას წარმოადგენს მისი მასშტაბურობა.

ბლოკჩეინ 2.0. კრიპტოვალუტა ეთერიუმის გამოშვებამ, რომელიც ბლოკჩეინს მიიჩნევს, სრულიად განკერძოებულ ინოვაციურ ტექნოლოგიად, შექმნა უსაფრთხო სმარტ-კონტაქტების წარმოშობის შესაძლებლობა, რამაც გააფართოვა დეცენტრალიზებული დანართის (**dApp**) გამოყენების არეალი. **Ethereum**-მა გახსნა ბლოკჩეინის ჭეშმარიტი პოტენციალი, რომელიც არ შემოიფარგლება ციფრული ვალუტით. გარდა ამისა **Ethereum**-ის პლატფორმამ შეძლო მიეღწია წამში 15000 ტრანზაქციის სიჩქარეს.

ბლოკჩეინ 3.0. ბლოკჩეინის მესამე თაობა დაგვირგვინდა **Cardano** და **EOS** პლატფორმების წარმოშობით, რომლებშიაც ტრანზაქციების დამუშავების სისწრაფე წამში 3000-ის ტოლია. **Cardano** და **EOS** მუშაობენ კონსენსუსის მექანიზმზე (**DpoS**) ფლობის ნაწილის დელეგირებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს ელექტოენერგიაზე და ახდენს ბლოკის 0,5 წამში გენერირებას.

ბლოკჩეინ 4.0. მეოთხე თაობის ბლოკჩეინ ტექნოლოგია ეფუძნება **TraceChain-**ის პროტოკოლს. ციფრული აქტივების გაცვლის დეცენტრალიზებული ქსელი და **DpoS**-ის შემუშავების პლატფორმა, მუშაობს რეალური დროის რეჟიმში, აგებულია სიგნალების მარშუტირების ავტომატური თვითსწავლების პროტოკოლზე. საწყისი სიჩქარე შეადგენს 50 000 ტრანზაქციას წამში. ეს სიჩქარე შეიძლება შევადაროთ საგადამხდელო სისტემების **Visa** და **MasterCard**-ის ტრანზაქციის სიჩქარეს, რომელიც თანდათანობით იზრდება დიდი გამტარიანობის კვანძების დამატებით.

ბლოკჩეინ 5.0. ბლოკჩეინის ბოლო თაობის შემქმნელად თვლიან **Relictum Pro**-ს, უსასრულოდ მასშტაბირებელ დეცენტრალიზებულ პლატფორმას, რომელიც ეფუძნება **Hypernet-**

ის ტექნოლოგიის ბაზაზე შექმნილი ინტელექტუალური კონტრაქტების გაფართოებულ სისტემას, გააჩნია უნარი ჩამოაყალიბოს ადამიანის ცხოვრების 80%-ზე მეტი ხდომილება, (მოვლენა), დაწყებული ლოჯისტიკით და დამთავრებული ყიდვა-გაყიდვითა და საავტორო უფლებებით.

White paper-ის თანახმად **Relictum Pro**-ში, ბლოკის ზომა 8000-ჯერ ნაკლებია ვიდრე ბლოკჩენში, ხოლო გამტარიანობა ერთ წამში აღწევს მილიონ ტრანზაქციას. ამ პლატფორმაზე სმარტ-კონტრაქტები შეიძლება ხელმოწერილი იქნეს ათამდე კონტრაგენტის მიერ, რაც წარმოადგენს უნიკალურ თვისებას და რომელიც დღეისთვის არცერთ ბლოკჩეინის ქსელს არ გააჩნია [4].

მნიშვნელოვანია ბლოკჩეინის პროგრესისა და პოტენციალის აღიარება, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემების გადაწყვეტაში რეალური დახმარების გაწევა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბლოკჩეინ ტექნოლოგიამ ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა ფინანსების სფეროში, ახლო მომავალში იგი დიდ გავლენას მოახდენს სხვა დარგებზე. რამდენადაც საოპერაციო დანახარჯები ბლოკჩეინში მცირდება, მის საფუძველზე მიღებული და დანერგილი გადაწყვეტილებების მასშტაბები ფართოვდება.

დღეისთვის ბლოკჩეინი გამოიყენება სხვადასხვა დარგში: საბანკო საქმე, დაზღვევა, ჯანდაცვა, ლოჯისტიკა და მართვა. მენეჯერები, მეწარმეები და საერთაშორისო კომპანიები სერიოზულად უნდა მიუდგნენ ამ საქმეს და უნდა მოემზადონ ბლოკჩეინ ტექნოლოგიების ტესტირებისთვის, დანერგვისა და გამოყენებისთვის.

აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ბიზნესი დაკავშირებულია ისეთ მომსახურეობებთან, როგორიცაა გადახდები და ფულადი გზავნილები, ონლაინ კონტრაქტები, განაწილებული ღრუბლოვანი საცავები და ციფრული იდენტიფიკაცია.

საერთაშორისო კორპორაცია **De Beers**-ი ბლოკჩეინ პლატფორმის დახმარებით აკონტროლებს ბუნებრივი ალმასის მოპოვებას, დამუშავებას და საბოლოო მომხმარებლისთვის მი-

წოდებას. კონსალტინგური კომპანია **Accenture** დაზღვევის დარგს სთავაზობს გადაწყვეტილებებს. **Medicalchain**-ის დეცენტრალიზებული ქსელი უზრუნველყოფს პაციენტების სამედიცინო მონაცემების საიმედო, სწრაფ და გამჭვირვალე გაცვლას. ბლოკჩეინის დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, პირველ რიგში, საჭიროა გავარკვიოთ დაეხმარება თუ არა ეს ტექნოლოგოია ბიზნეს-მონაცემების შეგროვებაში, დამუშავების ეფექტიანობის ამაღლებაში და შეამცირებს თუ არა დანახარჯებს. ასევე, უზრუნველყოფს თუ არა სწრაფ და უსაფრთხო უპირატესობების მიღწევას კონკურენტებთან მიმართებაში [4].

საწარმოებმა ბლოჩეინის დასანერგად შეიძლება შექმნან ბლოკჩენის საკუთარი კვლევების ჯგუფი ან შემმუშავებლების გუნდი ან კიდევ გამოიყენონ ექსპერტების დახმარება. შედარებით მცირე ინვესტიციები ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით საშუალებას მისცემს ბიზნესს მიიღონ რეალური და საკმარისად სწრაფი უკუგება.

ბლოკჩეინ ტექნოლოგიის უპირატესობები და ნაკლოვანებები

არსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით ბლოკჩეინ ტექნოლოგიას გააჩნია მრავალი უპირატესობა, რომელიც მას მიმზიდველს ხდის ფართო საზოგადოებისთვის სხვადასხვა სფეროში გამოსაყენებლად. იგი იდეალურია ფინანსურ სფეროში გამოსაყენებლად, კონკრეტულად საერთაშორისო გადახდების განსახორციელებლად. საერთაშორისო გადახდების პროცესი მოითხოვს დიდ დროს, საშუალებებს და მონაწილეთა დიდ რაოდენობას. ბლოკჩეინი მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანზაქციის დროს, ხარჯებს და არ საჭიროებს რთულ ინფრასტრუქტურას.

საიდენტიფიკაციო ონფორმაციის მართვისთვის ბლოკჩეინი იძლევა საშუალებას შენახული იქნეს ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა საპასპორტო მონაცემები, მოწმობები დაბადებისა და ქორწინების შესახებ, პირადობის დამადასტურებელი საბუთი,

დიპლომები, სერტიფიკატები, პაროლები და სხვა პერსონალური მონაცემები. ბლოკჩეინი გამოიყენება არჩევნებისას ხმის მიცემისთვის, რაც საშუალებს იძლევა ეს პროცესი წარიმართოს გამჭვირვალედ. იგი გამორიცხავს იმ პრობლემებს, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სფეროში მომუშავე პერსონალის საავტორო უფლებების დაცვასთან. ბლოკჩეინის უპირატესობებს წარმოადგენს:

დეცენტრალიზაცია. ბლოკჩეინს არ გააჩნია მართვის ერთიანი ცენტრი. მის მწარმოებლურობას უზრუნველყოფს ინტერნეტის ქსელში ჩართული ყველა მონაწილე, მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად. ბლოკჩეინის გატეხვა, თითქმის შეუძლებელია, იგი არ ექვედებარება ცენზურას და არ წარმოებს მისი მართვა რომელიმე კომპანიის ან სახელმწიფოს მიერ.

მონაცემების შენახვა. მონაცემების შენახვა ხდება ბლოკჩეინის ქსელში ჩართული ყველა მონაწილის კომპიუტერში, რაც უზრუნველყოფს მათი შეუცვლელობის გარანტიას. ბლოკჩეინის მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე შეუძლებელია ამ ინფორმაციის შეცვლა, რედაქტირება, ამოღება ქსელიდან. კონსენსუსის ალგორითმის გამოყენება მიუთითებს იმაზე, რომ ბლოკჩეინში მოხვედრილი ყველა ტრანზაქცია დამოწმებულია.

ტრანზაქციის გამჭვირვალობა. ქსელის ყველა მონაწილეს შეუძლია წვდომა ტრანზაქციის ისტორიასთან, ქსელში განხორციელებული პირველი ტრანზაქციის ჩათვლით.

ტრანზაქციის მაღალი სისწრაფე. რამდენადაც ბლოკჩეინის ქსელი არის ერთრანგიანი, ტრანზაქციის განხორციელება ხდება პირდაპირ მომხმარებლებს შორის, შუამავლის გარეშე, მიუხედავად თუ სად იმყოფებიან ისინი. ქსელში მუშაობა მომხმარებელს შეუძლია ყოველდღე 24 საათის განმავლობაში, იგი არ მუშაობს წინასწარი შედგენილი გრაფიკის მიხედვით.

ტრანზაქციის დანახარჯების შემცირება. გამომდინარე იქიდან, რომ ბლოკჩეინი წარმოადგენს ერთრანგიან ქსელს ტრანზაქციის განსახორციელებლად არ არის საჭირო შუამავლის მხრიდან მოსახურების გაწევა. ბლოკჩეინის ქსელის მომხმარებლები იხდიან საკომისიოს ტრანზაქციის დასამოწმებლად,

რომელიც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ახდევინებენ ბანკები და ფულის გაგზავნის სხვა ორგანიზაციები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ბლოკჩეინ ტექნოლოგია არ არის დაზღვეული გარკვეული ნაკლოვანებებისგან, რომლებიც ხელს უშლიან ბლოკჩეინ ტექნოლოგიის პრაქტიკაში ადაპტაციას, მის ფართოდ გავრცელებას.

ბლოკჩეინის ზომა (სიდიდე). ბლოკჩეინ ტექნოლოგია საჭიროებს მძლავრ გამოთვლით სიმძლავრეებს და მოიხმარს დიდი რაოდენობით ელექტრენერგიას. 2018 წლის ივნისის შუარიცხვებისთვის ბლოკჩეინ ბიტკოინის სიდიდემ შეადგინა 171 გიგა ბაიტი. „ლაბორატორია კასპერსკის“ ანტივირუსული ტექნოლოგიების განყოფილების ექსპერტი ალექსი მალანოვი (Алексей маланов) აღნიშნავს, რომ ბლოკჩეინ ბიტკოინის მოცულობამ ქსელში მიაღწია 100 გბაიტს. რაც გამოწვეულია იმის გამო, რომ ქსელის ყოველი კლიენტი ინახავს ტრანზაქციის ისტორიას. ეს ტოლია ნოუთბუკის დისკის ან თანამედროვე სმარტაფონის მეხსიერების მოცულობის. რაც მეტი ტრანზაქცია იქნება განხორციელებული ბიტკოინის ქსელში მით მეტად გაიზრდება შესანახი ინფორმაციის მოცულობა. მასში ჩაწერილი ინფორმაცია ინახება სამუდამოდ. ბიტკოინის კონკურენტის, ეთერიუმის ქსელში დაგროვებულმა ინფორმაციის მოცულობამ მიაღწია 200 გბაიტს. აღსანიშნავია ის, რომ ქსელში დასაგროვებელი ინფორმაციის მოცულობა გაცილებით სწრაფად იზრდება ვიდრე მის დასამახსორებლად საჭირო დისკების ტევადობაო, აღნიშნავს იგი [10]. ეს ნიშნავს, რომ ქსელში ჩართულ თითოეულ მაინერს უნდა გააჩნდეს საკმარისი მოცულობის მეხსიერების მქონე კომპიუტერი, რათა შესაძლებელი გახდეს ბლოკჩეინ ტრანზაქციების ასლგადაღება, რომელიც თავისმხრივ მოითხოვს დიდ დროს.

კონფიდენციალობა. ბლოკჩენის ქსელში არ ხდება მომხმარებლის სახელისა და გვარის მითიება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მთელი ქსელი ანონიმურია. ქსელში თითოეულ მომხმარებელს გააჩნია საფულეს მისამართი. ქსელის ყველა მონაწილე ხედავს რა ტრანზაქციები განხორციელდა საფულეზე. საკ-

მარისია მომხმარებელმა თუნდაც ერთხელ თავისი საფულეს მისამართი დაუკავშიროს რომელიმე საიტს ან მომსახურებას, რაც საკმარისია მისი მფლობელის პიროვნების დასადგენად. მაგ., კრიპტობირჟაზე ქსელის ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია გაიგოს რა რაოდენობის კრიპტოვალუტაა ადამიანის ანგარიშზე, რაზე იქნა დახარჯული, ვის გაუგზავნა კრიპტოვალუტა. აღნიშნულმა თეორიულად შეიძლება გამოიწვიოს იმ მომხმარებლის უსაფრთხოების მუქარა, რომელსაც დიდი რაოდენობით გააჩნია კრიპტოვალუტა. კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგანან კომპანიები, რადგან პოტენციურად შესაძლებელია გამოაშკარავდეს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტების, გაყიდვების, კონტრაგენტების და სხვათა შესახებ.

ენერგიის ხარჯვა. ეს ნაკლოვანება პირველ რიგში, დამახასიათებელია ბლოკჩეინის ქსელისთვის, რომელიც მხარს უჭერს PoW კონსენსუსის ალგორითმს. ნიდერლანდელი ეკონომისტ ალექსი დე ვრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით 2018 წლის ბოლოსთვის ბიტკოინის მაინიგისთვის საჭირო იყო მსოფლიო ენერგომოხმარების 0,5%-ი [9]. ყოველდღე ბიტკოინი მოიხმარს იმდენ ელექტროენერგიას, რამდენსაც 520 ათასი კანადელი. 2017 წელს ბიტკოინმა მოიხმარა 1100 მვტ. ან 9636 გვტ საათი [8].

დაუმთავრებელი ტრანზაქციები და მემპულები. კრიპტოვალუტის პოპულარობის ზრდის პარალელურად იზრდება ვალიდურობისთვის საჭირო ტრანზაქციების დამატებითი რაოდენობა. ერთდროულად ვერ ხერხდება ყველა ტრანზაქციის დამოწმება, რის გამოც წამოიქმნება ე.წ. მემპულები - ყველა იმ ტრანზაქციების ერთობლიობა, რომლებიც ელოდებიან ქსელში მაინერების დამოწმებას. წარმოიქმნება ტრანზაქციების რიგი, ბლოკში დასამუშავებლად. მათი დამოწმების თანმიმდევრობა დამოკიდებულია იმ საკომისიო გადასახდელის სიდიდეზე, რომელსაც გამგზავნი აწესებს. რაც დიდია საკომისიო, მით უფრო სწრაფად ჩართავენ მაინერები ჩანაწერს ბლოკში, რაც იწვევს საკომისიოს ზრდას. ტრანზაქციის დაბალი საკომისიოს გამო, ტრანზაქციებს რიგში დგომა შეიძლება მოუწიოთ რამდენიმე

საათი ან დღე. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს კრიპტოვალუტით სარგებლობას მცირე გზავნილების შემთხვევაში.

ბლოკჩეინის მასშტაბურობის პრობლემა. დღეს, კრიპტოვალუტის ბაზარზე ბლოკჩეინის მასშტაბურობა წარმოადგენს ძირითად განსჯად პრობლემას. პირველ რიგში, ეს ეხება ბიტკოინის ქსელს, სადაც ბლოკის სიდიდე შეზღუდულია და ტოლია 1 მეგაბაიტის. ერთი მხრივ, ბლოკის არსებული სიდიდე ხელს უწყობს ქსელის დაცვას პოტენციური **DDos**-თავდასხმებისგან, მეორეს მხრივ, ბლოკის შეზღუდული სიდიდე ხელს უშლის მთელი ქსელის გამტარიანობის ზრდას, რაც მნიშვნელოვანია პოპულარული კრიპტოვალუტის -ბიტკოინისთვის.

მსოფლიოს მასშტაბით ნაკლებად რეგულირება. თანამედროვე ეტაპზე კრიპტოვალუტის ნაკლად ითვლება მისი კანონმდებლობით რეგულირების არარსებობა მსოფლიოს უმეტს ქვეყანაში. არ არსებობს სტანდარტი, რაც ადამიანებში იწვევს ამ ტექნოლოგიისადმი გარკვეულ უნდობლობას [18].

გარემოს დაბინძურება. კრიპტოვალუტის მოპოვებისას ადგილი აქვს დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგის გამოყოფას. მაგალითად, ერთი ბიტკოინის მოპოვებისას გარემოში გამოიყოფა 8000-დან 13000-მდე კილოგრამი CO_2 [3].

ბლოკჩეინ სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდა და კადრების დეფიციტი

ვაკანსიების რაოდენობა ბლოკჩეინის სფეროში ყოველწლიურად იზრდება. კომპანიები მზად არიან სპეციალისტებს გადაუხადონ მაღალი ხელფასი. ბლოკჩეინ ტექნოლოგია დიდი ხანია გასცდა კრიპტოვალუტის ჩარჩოებს და აქტურად გრძელდება მისი ინტეგრაცია სხვა დარგებში. როგორც შედეგი, იზრდება მოთხოვნა ბლოკჩეინის სპეციალისტებზე, კერძოდ განაწილებული მონაცემთა ბაზების სპეციალისტებზე. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინის სექტორი 1457%-ით გაიზარდა, მოთხოვნა კი 2019 წელს 2018 წელთან შედარებით 26%-ით. დამქირავებლები უპირატესობას ანიჭებენ „მრავალფუნქციურ“ შემმუშავებლებს. ბლოკჩეინ-კომპანიები

ეძებენ სპეციალისტებს, რომლებსაც გააჩნიათ ცოდნა კრიპ-ტოგრაფიული ალგორითმების დარგში. თუმცა ამ ტიპის სპეცი-ალისტთა მოძიება გაძნელებულია - განაცხადა პროექტ **Rest**-ის კონსულტანტმა და **PlAAK**-ის თანადამფუძნებელმა ჩაი შეპარ-დმა [11].

ბლოკჩეინის სფეროში ყველაზე დიდი მოთხოვნაა პროგ-რამული უზრუნველყოფის შემმუშავებლებზე. სპეციალისტე-ბის მთავარი ამოცანაა სმარტ-კონტრაქტების შემუშავება. შემ-მუშავებლების საგნობრივი არეს ცვლილება დამოკიდებულია პროექტის მიმართულებაზე. მაგ., ეს შეიძლება იყოს პროგრამე-ბი, რომლებიც მხარს დაუჭერენ კრიპტოვალუტის საფუძველ-ზე წარმოებულ გათვლებს, კომპიუტერულ თამაშებს და იმ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ამარტივებს მომხ-მარებელთა ურთიერთობებს ბლოკჩეინთან. დიდი მოთხოვნაა აგრეთვე, პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტორებზე. ისინი დასაქმებული არიან რთული ინფორმაციული ტექნოლო-გიების სისტემების შემუშავებით, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ბიზნესის ამოცანების გადაწყვეტას. სპეციალისტები განსაზღვრავენ, თუ რომელი ტექნოლოგიით უნდა იქნეს აგებუ-ლი სისტემა, არჩევენ ყველაზე ეფექტიან გადაწყვეტილებებს. მოთხოვნაა ვებ დანართების შემმუშავებელ სპეციალისტებზე. დამქირავებლები აგრეთვე ეძებენ მომხმარებლის ინტერფეი-სის შემმუშავებლებს. რამდენადაც ბლოკჩეინი გაცდა კრიპტო-ვალუტის ჩარჩოებს დამქირავებლებს სურთ ინტერფეისი იყოს მომხმარებლისთვის მოხერხებული და მარტივი.

აღნიშნულ სფეროში არსებული კვლევების მიხედვით ბლო-კჩეინის სპეციალისტების ხელფასი მერყეობს წელიწადში 17000 დოლარიდან 271000-დოლარამდე. ანაზღაურების სი-დიდე დამოკიდებულია მათ მიერ რეალიზებული პროექტების, გადაწყვეტილებების რაოდენობაზე და რეგიონზე. ასეთ სპეცი-ალისტებს ყველაზე მაღალ ანაზღაურებას სთავაზობს აშშ-ე-ბი, სადაც საშუალო წლიური ანაზღაურება შეადგენს 105000 დოლარს, ხოლო შეთავაზებული ხელფასის სიდიდე 2-ჯერ აღე-მატება საშუალო ხელფასს. შედარებით ნაკლებია ევროპაში

ბლოკჩეინის სპეციალისტებისთვის შეთავაზებული ხელფასი, წელიწადში 70000 დოლარი. ყველაზე დიდი ვაკანსიაა ლონდონში, აშშ-ის ქალაქებში, ნიუ-ორკსა და სან-ფრანცისკოში. მესამე ადგილზეა ინდოეთი სადაც განთავსებულია 257 ვაკანსია [11].

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

- საჭიროა გაძლიერდეს და გაფართოვდეს ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დანერგვა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში;
- შემუშავდეს ღონისძიებები ბლოკჩეინის ქსელში ტრანზაქციისას დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად;
- შეიქმნას კრიპტოვალუტის მოპოვების ისეთი ტექნოლოგია, რომელიც შეამცირებს ელექტროენერგიის ხარჯვასა და გარემოს დაბინძურებას;
- ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დნერგვის არეალის გასაფართოებლად აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე განხორციელდეს კრიპტოვალუტის რეგულირება და სტანდარტიზაცია, როგორც მთლიანად მსოფლიოში, ასევე საქართველოში;
- შემუშავდეს ღონისძიებები ბლოკჩეინის ქსელში დაუმთავრებელი ტრანზაქციებისა და მემპულების რაოდენობების შესამცირებლად;
- მომავლისთვის საჭიროა გაიზარდოს ბლოკჩეინ ტექნლოგიების სპეციალისტთა მომზადება სხვადასხვა მიმართულებით;
- აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ლოჯისტიკის მართვის გაუმჯობესების მიზნით ბლოკჩენის სისტემაში განთავსდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესახებ ციფრული სერტიფიკატები;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლაგვილავა ე., კონიაშვილი მ. (2012) ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების ინფორმაციული უზრუნველყოფა. თბილისი, გამომცემლობა „ლოი“.

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო https://napr.gov.ge/p/1856 (ბოლო ნახვა 05.04.2020).

2. სიჭინავა დ., მაღრაძე მ. (2018) ელექტრონულ ფულზე გადასვლის წანამძღვრები და პრობლემები. ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი. #6 გვ.177-183.

3. Блокчейн 5.0: как эволюционировала технология https://letknow.news/publications/blokcheyn-50-kak-evolyucionirovala-tehnologiya-33003.html (ბოლო ნახვა 05.04.2020).

4. Блокчейн_(мировой_рынок) (2020) http://www.tadviser.ru/index.php/Статья:

5. Блокчейн-технологий в антикоррупции. https://lap.hse.ru/blockchain/ (ბოლო ნახვა 05.04.2020).

6. Бэк Адам: (2020) Я не помогал создавать биткоин. https://letknow.news/interview/adam-bek-ya-ne-pomogal-sozdavat-bitkoin-36520.html (ბოლო ნახვა 05.04.2020).

7. Гуркина А. (2017). Биткоин-майнинг и потребление энерги https://vc.ru/crypto/30588-bitkoin-mayning-i-potreblenie-energii (ბოლო ნახვა 05.04.2020).

8. Добыча биткоина «съедает» 0,5% электричества на Земле, выяснили ученые https://ria.ru/20180516/1520707199.html (ბოლო ნახვა 05.04.2020).

9. Маланов А. (2017) Шесть мифов о блокчейне и Биткойне, или Почему это не такая уж эффективная технология https://habr.com/ru/company/kaspersky/blog/336036 (ბოლო ნახვა 05.04.2020).

10. Пащенко Д. (2019) Почему растет спрос на блокчейн-специалистов https://letknow.news/publications/pochemu-rastet-spros-na-blokcheyn-specialistov--32914.html (ბოლო ნახვა 25.03.2020).

11. Пескова О.Ю., Половко И.Ю., Захарченко А.Д. (2019) Применение блокчейн-технологий в системах электронного документооборота: анализ и программная реализация https://cyberleninka.ru/article/n/primenenie-blokcheyn-tehnologiy-v-sistemah-elektronnogo-dokumentooborota-analiz-i-programmna-

ya-realizatsiya (ბოლო ნახვა 25.03.2020).

12. Сергеева Ю. Вся статистика интернета на 2020 год — цифры и тренды в мире и в России https://www.web-canape.ru/business/internet-2020-globalnaya-statistika-i-trendy/ (ბოლო ნახვა 25.03.2020).

13. Сидоров Д. П. Камаева А. А. (2019) Проблемы внедрения технологии блокчейн. http://journal.mrsu.ru/wp-content/uploads/2019/07/sidorov-i-dr..pdf (ბოლო ნახვა 25.03.2020).

14. Чаум Дэвид представил устойчивую к квантовым вычислениям криптовалюту Praxxis https://forklog.com/devid-chaum-predstavil-ustojchivuyu-k-kvantovym-vychisleniyam-kriptovalyu-tu-praxxis/ (ბოლო ნახვა 05.04.2020).

15. https://golos.io/ru--blokcheijn/@uanix/bitkoin-za-5-minut-blok (ბოლო ნახვა 05.04.2020).

16. https://www.rbc.ru/crypto/news/5a1691c39a79478ac778-e13b (naxva 25.03.2020).

17. Rieth Yulia (2018)Преимущества и недостатки технологии блокчейн. https://magazine.decenter.org/ru/1-blokchein-i-kriptovalyuty/2-preimushestva-i-nedostatki-tekhnologii-blokchein (ბოლო ნახვა 25.03. 2020.)

REFERENCES:

1. Lagvilava E., Koniashvili M. (2012) Information Provision of Economical Information Systems. Tbilisi, Publishing House „Loi“ (in Georgian).

1. National Agency of Public Registry. https://napr.gov.ge/p/1856 (Last visit 05.04.2020)

2. Sichinava D., Maghradze M. (2018). PRECONDITIONS AND PROBLEMS OF TRANSITION TO ELECTRONIC MONEY. Journal Globalization &Business # 6 (in Georgian).

3. Blockchain 5.0: how technology has evolved https://let-know.news/publications/blokcheyn-50-kak-evolyucionirovala-tehnologiya-33003.html (Last visit 05.04.2020).

4. Blockchain (world_market) (2020) http://www.tadviser.ru/

index.php/Статья: (Last visit 05.04.2020).

5. blockchain technology in anti-corruption. https://lap.hse.ru/blockchain/ (Last visit 05.04.2020).

6. Back Adam: (2020) I did not help create bitcoin. https://letknow.news/interview/adam-bek-ya-ne-pomogal-sozdavat-bitkoin-36520.html (Last visit 05.04.2020)

7. Gurkina A. (2017) Bitcoin mining and energy consumption. https://vc.ru/crypto/30588-bitkoin-mayning-i-potreblenie-energii (Last visit 05.04.2020).

8. Bitcoin mining "eats" 0.5% of electricity on Earth, scientists found. https://ria.ru/20180516/1520707199.html (Last visit 05.04.2020).

9. Malanov A. (2017) Six myths about the blockchain and Bitcoin, or Why it is not such an effective technology. https://habr.com/ru/company/kaspersky/blog/336036 (Last visit 05.04.2020).

10. Pashchenko D. (2019) Why is the demand for blockchain specialists growing. https://letknow.news/publications/pochemu-rastet-spros-na-blokcheyn-specialistov--32914.html (Last visit 25.03.2020.)

11. Peskova O.Yu., Polovko I.Yu., Zakharchenko A.D. (2019) Application of blockchain technologies in electronic document management systems: analysis and software implementation. https://cyberleninka.ru/article/n/primenenie-blokcheyn-tehnologiy-v-sistemah-elektronnogo-dokumentooborota-analiz-i-programmnaya-realizatsiya (Last visit 25.03.2020).

12. Sergeeva Yu. All Internet statistics for 2020 - figures and trends in the world and in Russia https://www.web-canape.ru/business/internet-2020-globalnaya-statistika-i-trendy/ (Last visit 25.03.2020).

13. Sidorov D.P. Kamaeva A.A. (2019) Problems of implementing blockchain technology. http://journal.mrsu.ru/wp-content/uploads/2019/07/sidorov-i-dr..pdf (Last visit 25.03.2020).

14. Chaum David introduced quantum-robust cryptocurrency Praxxis. https://forklog.com/devid-chaum-predstavil-ustojchi-

vuyu-k-kvantovym-vychisleniyam-kriptovalyutu-praxxis/ (Last visit 05.04.2020).

15. https://golos.io/ru--blokcheijn/@uanix/bitkoin-za-5-minut-blok (Last visit 05.04.2020).

16. https://www.rbc.ru/crypto/news/5a1691c39a79478ac778-e13b (Last visit 25.03.2020).

17. Rieth Yulia (2018) Rieth Yulia (2018) Advantages and disadvantages of blockchain technology. https://magazine.decenter.org/ru/1-blokchein-i-kriptovalyuty/2-preimushestva-i-nedostatki-tekhnologii-blokchein (Last visit 25.03. 2020).

BLOCKCHAIN TECHNOLOGY AND KEY ASPECTS OF ITS USE

Enver Lagvilava
Associated Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

RESUME

This article analyzes 5 stages of development of the information revolutions and the results of the qualitative transformation of the society caused by their impact. It is notable that currently the society is on the sixth stage of development of the information revolution. Also the signs of the peculiarities of that stage in the society are also indicated as one of the means of realization of the expert systems of knowledge as the artificial intelligence. It is emphasized that, in parallel with the development of information revolutions, the intervals between those stages are changing and the duration of the period of update of knowledge is rapidly reducing. It is noted that the blockchain technology is a distinctive and promising technology of the sixth information revolution. The technology of the formation of blockchain and its main characteristics are specified, such as: high

level of data protection, impossibility of changing, deleting and falsifying data, decentralisation of administration, and conducting a transaction without the participation of third parties.

The article states that the blockchain technology is one of the strategic directions in the development of the countries. The information is provided on the registration of immovable property with the Public Registry of Georgia using the blockchain technology. The path of development of blockchain technology from its creation up to now is described, and the characteristics and achievements of the implementation of blockchain technology on that path are analysed. The advantages and disadvantages of blockchain technology are discussed in detail. In particular, the features of blockchain are discussed, by which it has gained recognition and popularity in the society, such as: decentralization, safe data storage, transparency of transactions, high speed of conducting transactions, and reduction in the transaction distortion.

It is noted in the paper that certain shortcomings of the blockchain technology hinder its practical adaptation and wide spread in the society, such as: the size (volume) of blockchain is so big that high computing capacities and high electricity consumption are required to store blockchain transactions. Although the names and surnames of users are not specified in the blockchain, there are still certain risks of breach of confidentiality. The researchers think that one of the shortcomings of the blockchain technology is the unfinished transactions and the existence of mempools, as well as the problem of its volume, which is caused by the limitation of the volume of the block in the blockchain network. At present, one of the shortcomings of the blockchain is the absence of legislative regulation of cryptocurrency. The cryptocurrency mining causes environmental pollution due to the emissions of carbon dioxide. This article includes information on the demand for the specialists required for the introduction of blockchain technology.

The results of the research are presented in the article in the form of conclusions: it is necessary to intensify and expand the in-

troduction of blockchain technology in all areas of human activity; the measures should be developed for correcting the errors made in the transactions conducted in the blockchain network; the cryptocurrency mining technology should be created, which will reduce the electricity consumption and the environmental pollution; in order to expand the area of introduction of blockchain technology, it is necessary to regulate and standardize cryptocurrency at the legislative level, both in the world and in Georgia; the measures should be developed to reduce the amount of unfinished transactions and mempools in the blockchain network; in order to improve the administration of the logistics of agricultural products, it is necessary to place in the blockchain system the digital certificates of agricultural products.

Key words: Information revolutions, blockchain, blockchain technology, advantages of blockchain technology, disadvantages of blockchain technology.

ინოვაციური ეკონომიკის მიმართულებები ციფრულ ეპოქაში

მაია ბენია
სტუ ასოცირებული პროფესორი;

კახაბერ კაციტაძე
თსუ, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;
სს „ბანკი ქართუს“ საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის დირექტორი.

რეზიუმე

დღეს ყველაზე არასტაბილური დროა ტექნოლოგიის თვალსაზრისით. მყისიერად იცვლება და ფასი ეკარგება წინა გამოგონებას. 2020 წლის მსოფლიო ეკონომიკური ბაზარი თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით გვთავაზობს უახლესი ტიპის საქონელსა და მომსახურებებს, ზოგს ისეთსაც რომლებიც უკვე არსებობს ბაზარზე. დიდი გარღვევის მომტანი შემოქმედებითი პროცესი, რის შედეგადაც იბადება დიდი ინოვაცია, განვითარების მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ჩვეულებრივი მიდგომის ტრადიციული ბიზნესი ან წარმოება. მასთან დაკავშირებული რისკიც უფრო მაღალია, ვიდრე ინოვაციის სხვა უფრო პროგრესული ფორმები, მაგრამ ბაზარზე მისი ჩაშვების შედეგად ის გამოდევნის ყავლგასულს, იპყრობს ბაზარს, მოაქვს მყისიერი მაღალი მოგება. ციფრული ეპოქა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ყველა სფეროს. ციფრული ეკონომიკის მაგალითია ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ინტერნეტით იყიდება. ციფრული შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ კომპანიას, რომელიც ცდილობს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს თავისი საქმიანობა ინტერნეტით.

საკვანძო სიტყვები: დიდი გარღვევის მომტანი ინოვაცია, ელექტრონულ ეკონომიკა, ელექტრონული კომერცია, ონლაინ-ბაზარი, ინოვაციური ეკონომიკა, ციფრული ფული.

ძირითადი ტექსტი

ციფრული ეკონომიკა არის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია ციფრულ და ელექტრონულ ტექნოლოგიებზე. ეს მოიცავს ელექტრონულ ბიზნესსა და კომერციას, ასევე მათ მიერ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას. არსებითად, ეს განმარტება მოიცავს ინტერნეტში განხორციელებულ ყველა ბიზნეს, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ოპერაციას და ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას. ეს ტერმინი პირველად 1995 წელს გამოიყენებულიქნა წიგნში „ციფრული ეკონომიკა: დაპირება და საფრთხე ქსელური ინტელექტის ხანაში". ბოლო 15 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით შეიმჩნევა ინტერნეტ ეკონომიკის ზრდა. ციფრული პლატფორმების დიდი ზრდაა. მომხმარებლები სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ იმაზე, რასაც ისინი ფეისბუქზე, Twitter- ზე, Instagram- ზე ან YouTube- ზე ხედავენ. ინტერნეტი ინტეგრირებულია ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტში, მათ შორის ისეთ შეუცვლელ სტრუქტურებში, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება და საბანკო საქმე. ინფორმაციული საზოგადოების განვითარების სტრატეგია ციფრულ ეკონომიკას განსაზღვრავს შემდეგში: "ციფრული ეკონომიკა არის ის საქმიანობა, რომელშიც წარმოების მთავარი ფაქტორია ციფრული მონაცემები, დიდი მოცულობის დამუშავება და ანალიზების შედეგების გამოყენება. მართვის ტრადიციულ ფორმებთან შედარებით, მათ შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაზარდონ სხვადასხვა სახის წარმოების, ტექნოლოგიების, აღჭურვილობის, შენახვის, გაყიდვების, საქონლისა და მომსახურების მიწოდების ეფექტურობა." სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ციფრული ეკონომიკა არის საქმიანობა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ციფრული კომპიუტერული ტექნოლოგიის შემუშავებასთან, რომელიც მოიცავს მომსახურებას ონლაინ სერვისების მიწოდებისთვის, ელექტრონული გადასახადების, ელექტრონული კომერციის, გულშემატკივართა და სხვა. როგორც წესი, ციფრული ეკონომიკის ძირითადი ელემენტებია: ელექტრონული კომერცია, ონლაინ ბანკინგი და ელექტრონული გადასახადები, კრიპტოვალუტა

და ბლოკჩეინი, ონლაინ რეკლამა და ონლაინ თამაშები. ციფრული ეკონომიკა არის წარმოება, რომელიც დაფუძნებულია ციფრულ ტექნოლოგიებზე. ამჟამად, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი იყენებს ინტერნეტს ყოველდღიურ ცხოვრებაში ტრენინგის და ბიზნესისთვის. ვირტუალური ვაჭრობის მოცულობა უახლოეს მომავალში გადააჭარბებს სავაჭრო ურთიერთობების სტანდარტულ ტიპებს. ციფრული ფული უფრო მოსახერხებელია გამოსაყენებლად, გაყალბება გაცილებით რთულია. ვირტუალური ცხოვრება არის ინდუსტრია, სადაც იწარმოება ახალი პროდუქტები და ყველაზე შეშლილი იდეები ახდება. ახალი გამოგონებების ტესტირება უფრო ხელმისაწვდომი და სწრაფი გახდა - რეალური ტესტები საჭირო არ არის. Emulation საშუალებას გაძლევთ იდენტიფიცირება ახალი პროდუქტების დადებითი და უარყოფითი მხარეები მინიმალური ღირებულებით. ელექტრონული ეკონომიკა, ექსპერტების აზრით, მთლიანად შეცვლის ჩვეულებრივ ბიზნეს პროცესებსა და საქმიანი ურთიერთობებს.

ციფრული ეკონომიკა არის საქმიანობა, რომელშიც წარმოების ძირითადი ფაქტორებია ციფრული ფორმით წარმოდგენილი მონაცემები, ხოლო მათი დიდი დამუშავება და გამოყენება დიდი მოცულობებით, რომელმაც მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ეფექტურობა, ხარისხი და სხვადასხვა წარმოების, ტექნოლოგიების, აღჭურვილობის წარმოდგენა საქონლისა და მომსახურების შენახვის, რეალიზაციის, მიწოდებისა და მოხმარების დროს. ციფრული ეკონომიკის მაგალითია ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ინტერნეტით იყიდება. ციფრული შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ კომპანიას, რომელიც ცდილობს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს თავისი საქმიანობა ინტერნეტით. თუ ფუნქციონირების ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა ბიზნესის მართვა, კონტროლი და ანალიზი, მომსახურების მიწოდება ან საქონლის მიტანა, ლოჯისტიკა და მარკეტინგი დაკავშირებულია ელექტრონულ ტექნოლოგიებთან, ასეთი კომპანია შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მათგანად, რომელიც ელექტრონულ ეკონომიკას ქმნის. მაგა-

ლითად, **Uber** ან **Yandex** ტაქსი, რა თქმა უნდა, ტექნოლოგიური კომპანიები არიან, რომლებიც დამყარებულია მომხმარებელთა ურთიერთქმედების მოწინავე ტექნოლოგიებზე. შედეგად, მომხმარებელმა მიიღო რადიკალურად ახალი ტიპის მომსახურების მიწოდება, ორგანიზაციის უფრო დაბალი ხარჯებით, რის შედეგადაც იაფია ტაქსის ფასები. ტრადიციული ბიზნესკომპანიებიც ციფრულ ეკონომიკის ტალღას აჰყვნენ. ციფრული ეკონომიკის უპირატესობაა ახალი შესაძლებლობების გაჩენა, რაც დადებითად მოქმედებს ადამიანის ცხოვრებაზე. ციფრული ტექნოლოგიების განვითარების წყალობით, მომხმარებელს შეუძლია სწრაფად მიიღოს საჭირო სერვისები, გარდა ონლაინ მაღაზიებში პროდუქციის დაბალი ფასებით შეძენისა. ასე რომ, წიგნის ელექტრონული ვერსია ბევრად იაფია და იოლი მოსაპოვებელი, რაც კოვიდპანდემიის დროს დავრწმუნდით, ვიდრე მისი დაბეჭდილი ანალოგი ოფლაინ საცალო მაღაზიებში ყიდვისას. იგივე პრინციპით მოქმედებს ტურისტებისთვის განკუთვნილი უძრავი ქონების გაქირავების ონლაინპლატფორმა **Airbnb**. შეფასებები და რეიტინგები აქ უმნიშვნელოვანესია, უამრავი დამთვალიერებელი ამ პლატფორმის მიხედვით ახდენს შეფასებას და გადაწყვეტილების მიღებას. უძრავი ქონების ბაზარი დღეს დიდწილად ასეთ ონლაინპლატფორმებზეა დამოკიდებული, რადგან ერთდროულად უმოკლეს დროში ბევრი მომხმარებლის ყურამდე სწრაფად მიდის ინფორმაცია, დრო კი ფულია.

ასეთი განსაკუთრებული სიახლეები, როგორც წესი, იქმნება აუტსაიდერებისა და დამწყები მეწარმე სტარტაპერების მიერ და არასდროს ბაზარზე არსებული პრესტიჟული და ცნობილი კომპანიების მიერ. ბაზრის ლიდერების საქმიანი ოფიციალური გარემო მათ უფლებას არ აძლევს, განახორციელონ გარღვევის მომტანი სიახლეები, რადგან ისინი პირველ ეტაპზე მოგების მომტანი არ არიან. არის რისკი რომ მათ განვითარებას შეუძლია იმ შეზღუდული რესურსების შთანთქმაც, რაც მიმდინარე პერიოდში აუცილებელია ბაზარზე კონკურენციისთვის. მომხმარებელს შეუძლია საკუთარი ბიზნესიც კი დაიწყოს ინტერნეტით, გახდეს მეწარმე საკუთარი სახლიდან გაუსვლელად.

ციფრული ეკონომიკის განვითარების სხვა უპირატესობებზე, მსოფლიო ბანკი თავის 2016 წლის მიმოხილვაში ამბობს -"ციფრული დივიდენდები" მოიცავს შრომის პროდუქტიულობის ზრდას; კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდას; წარმოების ხარჯების შემცირებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; სიღარიბის დაძლევას და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას, აფართოებს თვით ბაზრის შესაძლებლობებს. ციფრული ეკონომიკის უარყოფითი მხარეებია გაციფრულების და ელექტრონული კომერციის განხორციელება საფრთხებსაც შეიცავს კაცობრიობისთვის, მათ შორის: კიბერ საფრთხეების რისკი, რომელიც დაკავშირებულია პერსონალური მონაცემების დაცვის პრობლემასთან (ნაწილობრივ, თაღლითობის პრობლემა შეიძლება მოგვარდეს ე.წ. ციფრული წიგნიერების შემოღებით); "ციფრული მონობა" (მილიონობით ადამიანის მონაცემების გამოყენება ქცევის გასაკონტროლებლად და დასამორჩილებლად); შრომის ბაზარზე უმუშევრობის ზრდა, რადგან გარკვეული პროფესიების და კიდევ ინდუსტრიების გაუჩინარების რისკი გაიზრდება (მაგალითად, ბევრი ექსპერტი სერიოზულად თვლის, რომ საბანკო სისტემა გაქრება მომდევნო ათი წლის განმავლობაში). ეს შესაძლებელი გახდება ინფორმაციული ტექნოლოგიების და მისი პროდუქციის შემდგომი გავრცელების გამო, როგორიცაა: მაღაზიები ელექტრონული სალარო აპარატებით, ბოტებით, რომლებიც ემსახურებიან მომხმარებლებს, უპილოტო მანქანებს და სხვ.) .

ციფრული ინდუსტრია მთლიანად მოქცეულია ინოვაციური ეკონომიკის მიმდინარეობაში, სადაც შეუძლებელია გვერდი ავუაროთ "**Disruptive Innovation**"-ს ანუ გარღვევის მომხდენ ინოვაციას, როემლსაც შეუძლია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში უმნიშნელოვანესი წვლილის შეტანა, მაგრამ დიდი აქცენტი მასზე არასდროს კეთდება არც საქართველოში და არც უცხოეთში."**Disruptive Innovation**", როგორც ეკონომიკური მოდელი არ არის აღიარებული, შესაბამისად მისი სწავლება არ ხდება ბიზნესის და ეკონომიკის სკოლებში, სადაც განათლებას იღებენ თანამედროვე ახალგაზრდები და ის პირები რომლებიც

ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე არიან პასუხისმგებელი. მიზეზი ასევე არის ის, რომ მსგავს ინოვაციებში ინვესტიციების განხორციელება საკმაოდ რისკიანია და გრძელვადიანი. უცხოელი ინვესტორი ან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია "**Disruptive Innovation**"-ში ინვესტირებას არ განახორციელებს, ამისთვის საჭიროა ადგილობრივი კაპიტალის მობილიზება. მაგრამ ადგილობრივი საინვესტიციო კომპანიები თუ კერძო ინვესტორები ინვესტიციების შესაფასებლად ეყრდნობიან ფინანსურ მაჩვენებლებს, რომლებიც პერიოდულად ქვეყნდება **ROIC, IRR, RONA, Payback period** -ში. შესაბამისად უპირატესობა ენიჭება მოკლე პერიოდში მაღალი მოგების მომტან და ნაკლებსარისკო ინვესტიციებს ან გრძელვადიან, მაგრამ სტაბილურ პროექტებს (ენერგეტიკა, ლოჯისტიკა, ინფრასტრუქტურა). მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ინვესტიციები კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საკმარისი მაინც არ არის.

დღეს ყველაზე არასტაბილური დროა ტექნოლოგიის თვალსაზრისით. მყისიერად იცვლება და ფასი ეკარგება წინა გამოგონებას. ჯერ კიდევ 20 წლის წინათ, ერთეულებს ჰქონდათ ტელეფონები - დღეს უკვე წარმოუდგენელია ადამიანი მულტიფუნქციური სმარტფონის გარეშე. 70 წლის წინ შეიქმნა პირველი **ENIAC** კომპიუტერი, დღეს კი ყველას აქვს ლეპტოპი, რომელიც 50-100 ათასჯერ აჭარბებს მას სიმძლავრით. წარმოუდგენელია სფერო და პროფესია, სადაც კომპიუტერის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე რაიმეს გაკეთება იყოს შესაძლებელი.

ინოვაციური გარღვევა არის ტექნოლოგია ან გამოგონება, რომელიც ცვლის ფასეულობათა ბალანსს ბაზარზე. ამავე დროს, ძველი ტექნოლოგიები ხდება უსარგებლო, რადგან ისინი სწრაფად იცვლებიან ახლით. სმარტფონმა გამოდევნა ბაზრიდან ყველა სხვა ტელეფონი. ხის და ლითონის ნაწარმი პლასტიკმა შეცვალა, თვითმფრინავებმა ჩაანაცვლა ხალხმრავალი მატარებლები, მცურავმა საზღვაო ლაინერებმა - აფრიანი გემები. თუ გადავხედავთ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ კომპა-

ნიებს, აქ ვერ ვნახავთ ძველი ტექნოლოგიების მწარმოებლებს. მხოლოდ **IT** გიგანტები: **Apple, Facebook**, **Google, Microsoft** არიან წარმოდგენილი. მათ პირდაპირ დადეს უალტერნატივო ინოვაციები და უსწრაფესად დაიპყრეს ბაზარი. დიდი ფსონები გაკეთდა ელექტრონულ წიგნებზე, მაგრამ ისინი პოპულარობით სარგებლობენ მხოლოდ ვიწრო წრეებში, უმრავლესობა კვლავ პოლიგრაფიული გამოცემას ამჯობინებს. ბიოინჟინერია, გერიატრია, გერონტოლოგია, ბიოფოტონიკა, მონაცემთა მეცნიერება აგრეთვე ძალიან მოთხოვნადია. ეს არის მულტიდისციპლინარული დარგი, რომელიც აერთიანებს მეცნიერულ მეთოდებსა და პროცესებს, რომლებიც გამოიყენება მონაცემების დამუშავებისთვის და მათგან ცოდნისა მიღებისთვის უფრო მარტივად კი, მონაცემთა მეცნიერება არის იმ ტექნიკების ერთობლიობა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ავაწყოთ სისტემები, რომლებსაც არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჭკვიანი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ. ძალიან მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადი დარგია. დღეისათვის, სილიკონის ველზე განთავსება სტრატეგიულ მიზნად იქცა მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომპანებისათვის. აქ თავს იყრის ისეთი კომპანიები, როგორებიცაა Facebook, Google, Cisco, Yahoo!, Oracle, Apple, Adobe Systems, eBay, Intel, Twitter და ა.შ. გარდა იმისა, რომ აქ მიიღება მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიური გამოგონებები, სილიკონის ველი ცნობილია ინკუბატორებისა და ბიზნესის ხელმშემწყობი დამაჩქარებლების დიდი რაოდენობით. თქვენ აქ შეხვდებით მსოფლიოში უძლიერეს ბიზნეს ინკუბატორებს, მათ შორის: **Y Combinator; TechStars; 500 Startups; Dreamlt Ventures; AngelPad; Launchpad La; Excelerate Labs** და ა.შ. ამ რეგიონში ყოველწლიურად ათასობით სტარტაპი გადის დამაჩქარებელ პროგრამებს.

რიჩარდ ბრენსონის კოსმოსური ოდისეისა და ილონ მასკის მარსის კოლონიზაციის თემების შემოთავაზებამ ძალიან აქტუალური გახადა ურყევი ჯანმრთელობისა და ხარისხიანი სიცოცხლის გახანგრძლივების თემა. დაბერების შეჩერება - გადაწევა დროში, კიბერუკვდავება, ბიოჰაკინგი ძალიან ტრენდულია

სილიკონის ველზე მოღვაწე ინოვატორებს შორის. მათი პირადი გამოცდილებიდანაც ცნობილია და აგრეთვე ამ სფეროში აღიარებული ლიდერი კემბრიჯის გერონტოლოგი **Aubrey de Gray** თვლის, რომ თუ ტექნოლოგიები ასეთი ტემპით განვითარდება, შესაძლებელია ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაიზრდოს, პირველ ეტაპზე 120-130 წლამდე და შემდეგ 500-600 წლამდე. ის დააკვირდა, რომ ხანდაზმული უჯრედები, რომლებმაც დაკარგეს დანაწევრების უნარი, ჯანმრთელ უჯრედებს გამრავლებისა და რეგენერაციის საშუალებას არ აძლევს. მკვლევარი მუშაობს თერაპიაზე, რომელიც გაანადგურებს ამ დაბერებულ უჯრედებს, შესაბამისად გამრავლდება ის უჯრედები, რომელთაც შესწევთ პროლიფერაციის უნარი. თერაპია საშუალებას მისცემს 60 წლის ადამიანს შემდგომი 30 წელი შეინარჩუნოს ჯანმრთელობისა და გარეგნობის არსებული მახასიათებლები უცვლელად და ისე მიაღწიოს 90 წლამდე. ობრი დი გრეის თქმით, ამ მეთოდის დანერგვა უკვე 6-8 წელიწადში დაიწყება. ასე რომ მომავალში ადამიანი კვლავ გააგრძელებს მარადიული ახალგაზრდობის ელექსირის ძიებას. ეს კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება კიბერუკვდავებისა და ტრანსჰუმანიზმის თემატიკისადმი მზარდი ინტერესის ფონზე.

დიდი გარღვევის მომტანი შემოქმედებითი პროცესი, რის შედეგადაც იბადება დიდი ინოვაცია, განვითარების მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ჩვეულებრივი მიდგომის ტრადიციული ბიზნესი ან წარმოება. მასთან დაკავშირებული რისკიც უფრო მაღალია, ვიდრე ინოვაციის სხვა უფრო პროგრესული ან ევოლუციური ფორმები, მაგრამ ბაზარზე მისი ჩაშვების შედეგად ის ბევრად უფრო სწრაფად შეაღწევს და გამოდევნის ყავლგასულს, მოაქვს მყისიერი მაღალი მოგება და ცხადია ძველი მოდელები ვერ გაუწევს კონკურენციას უახლესი ეპოქის გამოწვევების ფონზე.

კრისტენსენის მოდელის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ განვითარების რამდენიმე ეტაპი, რომელსაც გარღვევის ეფექტის მქონე ინოვაციის დანერგვისას ციკლურად გადის ნებისმიერი ფირმა: ა)ბაზარზე დამკვიდრება- ოპტიმალური სტრატეგიის მიგნება; ბ)სრულყოფა-დანახარჯის მინიმიზაცია, ხარისხის მაქ-

სიმიზაცია; გ) ახალი სეგმენტის მოზიდვა; დ)ძველის განდევნა ბაზრიდან და მისი ადგილის დაკავება. თუმცა ამ პრინციპების განუხრელი დაცვაც არაა იმის გარანტია, რომ ინოვაცია მოგების მომტანი იქნება და არ ჩავარდება. გასათვალისწინებელია რამდენიმე ფუნდამენტური პრინციპი:

პირველი და ძირითადი პრინციპია რისკიანი და არასტანდარტული გადაწყვეტილების მიღება, მაშინ როცა ძველი აპრობირებული ფირმები მხოლოდ გაუმჯობესებაზე მუშაობენ. ამათ კი გარღვევის მომხდენი სრულიად რევოლუციური სიახლე ჭირდებათ.

მეორე პრინციპი მასშტაბირებაა, ბაზრების დაკავება, აუთვისებელის მოძიება და თვითონ უნდა გააჩინონ მოთხოვნა, წარმოშვან, მოანდომონ მომხმარებელს, რის შესახებაც საერთოდ არ ც იცოდნენ.

მესამე პრინციპი - ეს არის კლასიკური ანალიზისა და დაგეგმვის არარსებობა. მათ არ აქვთ საკუთარი ბაზარი, რომელსაც თავისი დადგენილი თამაშის წესები აქვს, სიტუაციის სტანდარტული ანალიზი და მეთოდების ძიება გაყიდვების გასაზრდელად აქ არ გამოდგება. აღმოჩენებზე დაფუძნებული სტრატეგია არის ერთადერთი გზა, რომ გარდამტეხ ინოვაციას რეალური მომავალი ჰქონდეს. ძალიან მნიშნელოვანია, მენეჯერები გრძნობდნენ მომხმარებელთა მისწრაფებებს, ფლობდნენ არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციას სრულად და ფეხი აუწყონ არსებულ თანამედროვე ტენდენციებს. ადამიანური რესურსები კომპანიის მთავარი დასაყრდენი მაინც არაა. განვითარების სწრაფად ცვალებადი დინამიკა არ იძლევა იმის ფუფუნებას, რომ დაიქირავო ისეთი სპეციალისტები, რომლებიც იდეალურად შეესატყვისებიან დაკავებულ პოზიციას. ინოვაციის დამაბრკოლებელი ბოლო პრინციპი იმაში მდგომარეობს რომ საწარმოს მენეჯერები მზად უნდა იყვნენ გათვლილი რისკების გარდა გაუთვალისწინებელი მაკრო კრიზისებისა და ბიზნესის კრახისთვისაც კი. თუ პროდუქტი ძალიან ინოვაციურია, ამიტომ ის უბრალოდ არ მიესადაგება საშუალო მოთხოვნებს.. არსებობს რამდენიმე მაგალითი, როდესაც პროდუქტი არ იყო

სათანადოდ აღქმული მომხმარებლის მიერ და მოთხოვნადი ვერ გახდა, მაგრამ 10-20 წლის შემდეგ მან სწრაფად თავის დაიკავა თავისი ნიშა და ჩაანაცვლა აქამდე არსებული ანალოგები. რადგან ამასობაში მოხდა ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება და გარემოს ახალი გამოწვევების ფონზე ზუსტად საჭირო დროს გახდა მოთხოვნადი ესა თუ ის ინოვაცია. ანუ მომხმარებელი მომწიფდა საამისოდ.

IT ტექნოლოგიის თემა შესახებ **IBM**-ის კლიენტთა ცენტრის წამყვანმა სისტემურმა არქიტექტორმა, **MBA**–ს სამრეწველო გადაწყვეტილებების კონსულტანტმა, **Warwick**–ის რუსეთის წამყავნი ბიზნესის სკოლის ექსპერტმა ალექსანდრე დმიტრიევმა განაცხადა, რომ ახლა დიდი **IT** კომპანიები, რომლებიც ანალიტიკურ ბაზარზე მუშაობენ, ცდილობენ დაეხმარონ ხალხს უზარმაზარ მონაცემებთან გამკლავებაში, იპოვონ სასარგებლო ინფორმაცია და მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები. კომპანიის განვითარება, **IBM Watson-**ის კოგნიტიური ტექნოლოგია, რომელიც თომას უოტსონის **IBM**-ის დამფუძნებლის სახელს ატარებს, რომელიც **IBM**-ის დაფუძნების საფუძველი იყო, **"გონების გამაძლიერებელია".** ამ შემეცნებით სისტემას შეუძლია პიროვნებასთან კომუნიკაცია თავის ენაზე. მისი გამოყენება ყველგან შესაძლებელია, სადაც გჭირდებათ სტრუქტურირებული მონაცემების დიდი მოცულობის დამუშავება. **IBM Watson**-ის ძირითადი უნარების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: სასაუბრო ენის ამოცნობა, დამუშავებული მონაცემების საფუძველზე ჰიპოთეზის შექმნა და გადაწყვეტილების მიღება, ფორმირების პროცესში სიახლის დასწავლა, ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება, რომელსაც მერე დაეფუძნება დასკვნა. სისტემის კომერციული ფუნქცია სამედიცინო ინდუსტრიაში გამოიყენება ზუსტი დიაგნოსტირებისათვის. მანამდე სისტემამ ისწავლა ორი მილიონი გვერდი დოკუმენტი, შემდეგ მოირგო ექიმის პოზიციაზე რამდენიმე კლინიკაში ექიმებს ეხმარება დიაგნოსტირებაში.

2020 წლის მსოფლიო ეკონომიკური ბაზარი თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით გვთავაზობს უახლესი ტიპის

საქონელსა და მომსახურებებს, ზოგს ისეთსაც რომლებიც უკვე არსებობს ბაზარზე. წარმოება მოითხოვს ხარჯების შემცირებას. სწორედ ამიტომ ტექნოლოგიური წინსვლა ხშირად მოულოდნელ ეფექტებს იწვევს ბაზრის გიგანტებისთვის. გარღვევის მომხდენი ინოვაციების სფეროში მოღვაწე მეცნიერი კრისტენსენი ამტკიცებს, რომ ცნობილი კომპანიების მართვის ნაცადი მეთოდოლოგია ხელს უშლის მათ გვერდიდან შეხედონ საქმეს და მეტი კრეატიულობა და ფანტაზია გამოიჩინონ. პატარა ფირმებს კი ისღა დარჩენიათ კრეატიული მიდგომით გავიდნენ უნიკალურ ინოვაციაზე და ამით გაუწიონ კონკურენცია ბაზარზე ფესვგადგმულ გიგანტებს.ფირმამ, რომელსაც აქვს ამბიცია რომ გარღვევის მომხდენი ინოვაცია უნდა დანერგოს, ერთმანეთს უნდა შეუპირისპიროს ძველი აპრობირებული და უახლესი მოდელები. ძველს სატბილურად ჰყავს მომხმარებელი და მასიურია, უახლესი მოდელები არაა გათვლილი დიდი სეგმენტისთვის და უფრო სარისკოა. სამყაროს ქცევა შეიცვალა ბოლო ოცი წელია და ძალიან კარგად გამოხატავს გარღვევის მნიშვნელობის მქონე ინოვაციების არსს. რობოტები, კრიპტოვალუტები, ელექტრო მანქანები, ერთჯერადი რაკეტები კოსმოსში ფრენისთვის. ეს ყველაფერი გარღვევაა ინოვაციების სფეროში. ყოველდღე გვესმის გაბედული ფუტუროლოგის ილონ მასკის ამბიციური პროექტები, რომლებიც ზოგი უკვე განხორციელდა და ზოგიც გატესტვის რეჟიმშია. რეიმონდ კურცვეილის ფუტუროლოგიური პროგნოზებიც რომ მართლდება ვხედავთ. უდავოა, რომ ციფრული ერა დიდ გამოწვევებს გვიყენებს, ყველა სფერო მოითხოვს ტრანსფორმაციას, პანდემიამ მტკიცედ დაგვარწმუნა ამაში. უწყვეტი სწავლისა და შემეცნების პროცესში ნათელია, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და ცხოვრებისათვის გაცილებით უკეთესი პირობები შეიქმნება.

REFERENCES:

1. https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/23347/210671RuSum.pdf?sequence=16
2. https://ieeexplore.ieee.org/document/6662985
3. Castro, Daniel. 2013. "The False Promise of Data Nationalism." Information Technology and Innovation Foundation. http://www2.itif.org/2013- false-promise-data-nationalism.pdf.
4. Comin, Diego. 2014. "The Evolution of Technology Diffusion and the Great Divergence." http://www. dartmouth.edu/~dcomin/files/brookings%20 blum%20roundtable.pdf.
5. Conference Board. Various years. "Total Economy Database." https://www.conference-board.org/ data/economydatabase/.
6. Economist. 2014. "Defending the Digital Frontier: A Special Report on Cybersecurity." July. http://www.economist.com/news/special-report/ 21606416-companies-markets-and-countries-are-increasingly-under-attack-cyber-criminals.

DIRECTIONS TO INNOVATIVE ECONOMICS IN THE DIGITAL AGE

Maia Benia,
Associate Professor of GTU

Kakhaber Katsitadze,
TSU, Academic Doctor of Economics,
Director of International Relations
Department at JSC "CARTU BANK"

RESUME

Today is the most volatile time in terms of technology. It changes instantly and the price is lost on the previous invention. The global economic market for 2020 offers the latest types of goods and services through modern technologies, some of which already ex-

ist in the market. The creative process that brings about a major breakthrough, resulting in a great innovation, requires more time for development than traditional business or production of the usual approach. The risk associated with it is also higher than other more progressive forms of innovation, but as a result of its launch in the market, it will drive out the bigotry, conquering the market and bringing instant high profits. The digital age poses new challenges in all areas. An example of a digital economy is any economic activity that is sold online. Digital can be called any company that tries to transfer all or part of its activities to the Internet.

Key words: Disruptive Innovation, e-economy, e-commerce, online market, innovative economy, digital money.

კორონომიკური კრიზისი: ეროვნული წარმოების განვითარების შემაფერხებელი თუ სტიმულატორი?

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ნათია შენგელია
ედ, სტუ ას. პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე სწრაფცვალებად კონკურენციის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის წარმოდგენა შეუძლებელია მუდმივი განახლებისა და ცვლილებების გარეშე. ცნობილი გამოთქმის არ იყოს, **მუდმივი** ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ ცვლილებებია. ეკონომიკის განსავითარებლად, წარმატებული ცვლილებების განსახორციელებლად კი საჭიროა სწორი სტრატეგიის შერჩევა, ყოველგვარი რესურსების მობილიზება და , რაც მთავარია, პროცესის მართვა. სწორედ **კრიზისი,** განსაკუთრებით **კორონომიკური კრიზისი,** როგორც მას ლიტერატურაში ასე მოიხსენიებენ, არის ის მოვლენა, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც **ცვლილებები,სტიმულატორი, ახალი შესაძლებლობები** სხვადასხვა მიმართულებით.

კრიზისის, უწინარეს ყოვლისა, კორონომიკური კრიზისის პირობებში მთავარია ორიენტაცია ავიღოთ ეროვნული წარმოების გადარჩენაზე, ხოლო პოსტკორონომიკური კრიზისის შემდეგ მის სწრაფ განვითარებაზე; ამისათვის კი საინვესტიციო რესურსებია საჭირო. ამ მხრივ **შიდა ინვესტიციების** მოზიდვისა და გამოცდილი მუშაკების დასაქმების თვალსაზრისით დადებითი მოვლენაა საქართველოდან წასული ემიგრანტების დაბ-

რუნება სამშობლოში; ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის გამყარებასაც;

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, შიდა ინვესტიცია, კორონომიკა, კორონომიკური კრიზისი, ეროვნული წარმოება.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე სწრაფცვალებად კონკურენციის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის წარმოდგენა შეუძლებელია მუდმივი განახლებისა და ცვლილებების გარეშე.ცნობილი გამოთქმის არ იყოს, მუდმივი ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ ცვლილებებია.ეკონომიკის განსავითარებლად, წარმატებული ცვლილებების განსახორციელებლად კი საჭიროა სწორი სტრატეგიის შერჩევა, ყოველგვარი რესურსების მობილიზება და , რაც მთავარია, პროცესის მართვა. სწორედ **კრიზისი,** განსაკუთრებით **კორონომიკური კრიზისი,** როგორც მას ლიტერატურაში ასე მოიხსენიებენ, არის ის მოვლენა, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც **ცვლილებები, ახალი შესაძლებლობები** სხვადასხვა მიმართულებით.

კორონავირუსი ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის, ანუ **„კორონომიკური კრიზისის“** გამომწვევი მოვლენაა და იგი პრაქტიკულად შეიძლება „ეკონომიკურ პანდემიად“ გარდაიქმნას. „გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით, კორონავირუსმა არა მხოლოდ ჯანდაცვის კრიზისი, არამედ ეკონომიკური და შრომითი ბაზრის კრიზისიც გამოიწვია - პანდემიის ფონზე მსოფლიოში შესაძლოა 24 მილიონი ადამიანი დარჩეს უმუშევარი. (1)

რა შეიძლება გააკეთოს საქართველომ იმ ადამიანების დასახმარებლად, ვინც დროებით ან ხანგრძლივად სამსახურის და შესაბამისად, შემოსავლების გარეშე დარჩებიან?:

საერთოდ კრიზისის და, მითუმეტეს კორონომიკური კრიზისის პირობებში:

-მთავარი ყურადღება უნდა გადავიტანოთ, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული წარმოების გადარჩენაზე, ხოლო შემდგომ

პოსტკორონომიკური კრიზისის შემდეგ მის სწრაფ განვითარებაზე. მთელი ძალისხმევა უნდა წარვმართოთ, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად, რეალურ პროდუქტის შემქმნელ საწარმოების განსავითარებლად, რომლებიც წარმოადგენენ გარანტირებული შემოსავლის წყაროს. რაც შეეხება მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყანაში- საქართველოში- ტურიზმის განვითარებას, იგი უნდა იყოს მხოლოდ დამატებითი შემოსავალის მომტანი და არა გარანტირებული შემოსავლის წყარო. ტურისტული საქმიანობა მეტად რისკიან შემოსავალს იძლევა(არაფერს ვამბობთ იმაზე , რომ მსოფლიო პანდემიის პირობებში ტურიზმი მაღალი დანახარჯების მქონე ეკონომიკური საქმიანობად ჩაითვალა), რადგან თუ იგი პოლიტიკური დაძაბულობის, ან ეგრეთ წოდებული კოროავირუსის გამო შეწყდა, მასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა გაკოტრების წინაშე აღმოჩნდება, მითუმეტეს დღევანდელ საქართველოში, სადაც ტურიზმის მკვებავი საწარმოები განუვითარებელია; უფრო მეტიც, ვინაიდან ტურისტულ საქმიანობაში არ იქმნება რეალურ პროდუქტი, შეიძლება ითქვას, რომ მან შეიძლება ზარალიც კი მოიტანოს, ხელი შეუწყოს ეროვნული ვალუტის გაუფასურებასაც, კერძოდ, ქვეყანაში სადაც განუვითარებელია ტურიზმის მომსახურე საწარმოები, ტურისტების მიერ მიერ შემოტანილი ვალუტა დაიხარჯება შემოტანილ საქონელზე და უკან წავა, ამით წახალისდება არა ეროვნული წარმოება, არამედ იმპორტიორი ქვეყანა. რა დასამალია და, ცნობილია, რომ საქართველო მხოლოდ კვერცხისა და კარტოფილის წარმოებით უზრუნველყოფს საკუთარ მოხმარებას 100%-ით. დანარჩენი პროდუქტების მოხმარებისას კი შემოტანილ, იმპორტირებულ პროდუქციაზე ვართ დამოკიდებული. მარცვლეულში 85%-ით, მათ შორის რუსეთის ფედერაციაზე დიდწილად და არა მხოლოდ მარცვლეულით. ჩვენ უნდა შევძლოთ შიდა წარმოების გაზრდა იმდენად, რომ იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი არ იყოს 40-45%-ზე მეტი. არადა, მაგალითად, ისრაელი, მათი კლიმატური პირობების გათვალისწინებითაც კი, აწარმო-

ებს საკუთარი სასურსათო მოხმარების 95%-ს და ამ სფეროში დასაქმებულია 20 ათასზე ნაკლები ადამიანი. ეს, რასაკვირველია, შრომის მაღალი მწარმოებლურობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგია.(1). იმედია, რომ საქართველოში ათასობით დაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამუშავება დაიწყება. ქვეყანა მიხვდება, რომ ტურიზმის განვითარებაზე უფრო აუცილებელი (მრავალჯერ მეტად) მარცვლეული დარგის(კერძოდ, მწარმოებლური დარგების) განვითარებაა; ამ დარგის განვითარება ხელს შეუწყობს მეცხოველეობის განვითარებას, აღარ დაგვჭირდება ვალუტაზე ვიყიდოთ კომბინირებული საკვები და სხვა მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო პროდუქტები; ამით შემცირდება მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა უცხოურ ვალუტაში; ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას, ექსპორტის ზრდას და იმპორტზე ნაკლებად დამოკიდებულებას.

-ეროვნული წარმოების განსავითარებლად საინვესტიციო რესურსებია საჭირო. ამ მხრივ შიდა ინვესტიციების მოზიდვისა და გამოცდილი მუშაკების დასაქმების თვალსაზრისით დადებითი ტენდენციაა საქართველოდან წასული ემიგრანტების დაბრუნება სამშობლოში. ამის შედეგად მოსალოდნელია აღდგეს დაცარიელებული ქართული სოფლები (ასეთი სულ 700 საოფელია, 800 სოფელში კი მხოლოდ პენსიონერები ცხოვრობენ); ეს კი ხელს შეუწყობს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებასაც. იმედია ემიგრანტები უკან აღარ წავლენ, თუკი მათ შევუქმნით სასურველ საინვესტიციო გარემოს და თავიანთ სამშობლოში უფრო დაცული იქნებიან. საჭიროა ინვესტიციების მოსაზიდად ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გატარება. კარგია ამ მიმართულებით მეღვინეობის, მოცვის, მაყვალის, ჟოლოს, ზეთისხილის, ნუშის დარგების დაფინანსება, გრანტებისა და შეღვათიანი კრედიტების გაცემა, უფრო აუცილებელია და გადაუდებელია სტრატეგიული კულტურის - ხორბლის წარმოების დაფინანსება, რომ არ ვიყოთ მხოლოდ რუსეთისა და ყაზახეთის ხორბალზე დამოკიდებული.ეროვნული წარმოების განსავითა-

რებლად არანაკლები მნიშვნელობა ექნება უცხოურ ინვესტიციებს.კორონომიკამ დაგვანახა, რომ „მსხვილი კომპანიებისათვის შესაძლოა განსაკუთრებით მიმზიდველი გახდეს ჩინეთიდან თავიანთი ქარხნების გატანა იმ ქვეყნებში, რომლებსაც ჩინეთთან უკვე აქვთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. ევროკავშირთან მიმართებაში, ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ისეთი ქვეყნები (მაგალითად, ისლანდია, საქართველო, შვეიცარია, და სხვ.), რომელთაც თავისუფალი ვაჭრობა ერთდროულად აქვთ ევროკავშირთანაც და ჩინეთთანაც. თუმცა, განსაკუთებულ ყურადღებას იმსახურებს პოსტსაბჭოთა საქართველო, რომელიც გეოგრაფიულად ევროკავშირსა და ჩინეთს შორისაა და ის მდებარეობს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფანში. აქვე გასათვალისწინებელია აშშ-ის დაინტერესებაც ჰქონდეს საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. საქართველოს გამოყენება რეგიონულ ეკონომიკურ ჰაბად პოსტკრიზისული განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს“. (2)

თუკი ქართული სოფლების აღდგენისა და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების შედეგად აღარ დაგვჭირდეება უცხო ვალუტაში ვიყიდოთ, მაგალითად, ნიორი, კარტოფილი, ხახვი, პომიდორი, კიტრი, სტაფილო და სხვა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის პროდუქტები, მაშინ, ბუნებრივია, ამით ეროვნული წარმოება წახალისდება და შესაბამისად, გამყარდება ეროვნული ვალუტაც. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებასაც, რადგან, თუკი უცხოელ ტურისტებს უცხოური პროდუქტებით გავუმასპინძლდებით, ამით ჩვენ დავაფინანსებთ ისევ უცხოელებს და ტურიზმისაგან მიღებული შედეგი ქვეყნისთვის ზარალიანი აღმოჩნდება;

-სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე აქცენტის გამახვილება სულაც არ ნიშნავს უარის თქმას მრეწველობის, განსაკუთრებით, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაზე. პირიქით, აუცილებელი გახდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის გადამაუშავებელი ქარხნების - ინდუსტრიის განვითარება; ასევე იმედია ქვეყანა მიხვდება,

რომ მაგალითად, ასანთი, საპონი, ვედრო და სხვა საყოფაცხოვრებო ინვეტარი არ იყიდონ დოლარებზე და თვითონ აწარმოონ;

- საქართველოში 26 060 მდინარეა, საერთო სიგრძით 60 000 კმ. იმედია, მოსახლეობა აწი მაინც წინააღმდეგობას არ გაუწევს ჰიდროელექტრო ჰესების მშენებლობას(სამწუხაროა, რომ ეს ფაქტი კიდევ გრძელდება) და აღარ დაგვჭირდება ელექტრო ენერგიის შეძენაზე უცხოური ვალუტის გადახდა, პირიქით, ჩვენ უნდა გავხდეთ ელექტრო ენერგიის ექსპორტიორები ვალუტაში;

- ზოგჯერ კომპანიების ნაწილი, რომლებიც შექმნილ ვითარებაში მუშაობას ვერ აგრძელებენ, თანამშრომლების ნაწილს უხელფასო შვებულებაში უშვებს. ამ შემთხვევაში რის გაკეთება შეუძლია ქვეყანას? ცხადია, ყველა სამუშაო ადგილის შენარჩუნება ვერ მოხერხდება, მაგრამ გვაქვს მაგალითები, როცა დასაქმებულებს სთავაზობენ საქმიანობის პროფილის შეცვლას. მართალია ბევრი სამუშაო დაიხურება, მაგრამ გაჩნდება ახალიც, გაიზრდება დასაქმებულთა დატვირთვა ციფრული ტექნოლოგიების და სხვა მიმართულებით;

ამრიგად, ეროვნული წარმოების განვითარების პერსპექტივებზე კორონომიკური კრიზისის ფონზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

-ინვესტიციურმა პოლიტიკამ გარკვეული თავდაცვითი ხასიათი უნდა მიიღოს. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს შიდა ინვესტიციებზე იმ დარგებში, რომლებსაც საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ემიგრანტებისათვის სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნას.სამამულო ნაწარმის გადიდება, ადგილობრივი წარმოების განვითარება კრიზისის, განსაკუთრებით, კორონომიკური კრიზისის დროს ქვეყნის გადარჩენის ყველაზე საუკეთესო და შედეგიანი საშუალებაა(3);

-სახელმწიფომ უნდა წაახალისოს იმ დარგებში განსახორციელებელი ინვესტიციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან იმპორტშმცვლელი პროდუქციის წარმოებაზე ან ექსპორტზე;

- უნდა მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები ისეთ დარგებში, რომელთა ათვისება ადგილობრივ მეწარმეებს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ;

-წავახალისოთ ისეთი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია **ინოვაციებში, რეალური პროდუქტის წარმოებაში** ინვესტირებაზე; 21-ე საუკუნის ეკონომიკა ხომ მხოლოდ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა უნდა იყოს. ქვეყნის სწრაფვას ცვლილებებისაკენ და განვითარებისაკენ, რასაც კორონომიკური კრიზისი ახალი შესაძლებლობების გაჩენით აჩქარებს, განსაზღვრავს სწორედ მოსახლეობის განათლების დონე(მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი), ცოდნის საერთო ხარისხი. ასე რომ **კორონოეკონომიკური კრიზისი** არა იმდენად შემაფერხებელი, ხელის შემშლელი ფაქტორია, რამდენადაც **ახალი შესაძლებლობების გაჩენის სტიმულატორი და განვითარების კატალიზატორი.**

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება საქართველოში გამოიწვევს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას იმ დონეზე, რისი ღირსიცაა შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივ-ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების მქონე ქვეყანა. ამით, ბედნიერი სახელმწიფოების სიაში 117-ე კი არ ვიქნებით, არამედ ათეულშიც შეიძლება მოვხვდეთ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ კორონომიკური კრიზისი რამდენხანს გაგრძელდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს ყველაფერი შედარებით მალე გადაივლის და ეკონომიკა, საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვეულ რიტმსა და კალაპოტს დაუბრუნდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვირის პალიტრა, 23 მარტი,2020წ.

2. ვლადიმერ(ლადო) პაპავა. კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე. FOR.GE.21 მარტი, 2020;

3. ჟურნალი „ეკონომიკა“, N7,2009 წ.

REFERENCES:

1. "Kviris Palitra", March 23, 2020.
2. Vladimer (Lado) Papava. Coronomics and Economics in the face of crisis. FOR.GE.21 March, 2020;
3. Journal "Economy", N7,2009.

CORONOMIC CRISIS: A HINDRANCE OR STIMULUS FOR THE DEVELOPMENT OF NATIONAL PRODUCTION

Revaz Shengelia, PhD, GTU, Professor**,**
Jujuna Tsiklauri-Shengelia, PhD, GTU, Professor,
Natia Shengelia, PhD, GTU Associate Professor

RESUME

In today's fast-changing competitive environment, it is impossible to represent any country's economy without constant renewal and change. In order to develop the economy, to make successful changes, it is necessary to choose the right strategy, to mobilize all resources and, most importantly, to manage the processes timely, adequately and effectively. Truly, the crisis, especially the choronomic crisis, as it is referred to in the literature, is the event that can be described as the change, new opportunities in different directions.

In the conditions of the coronomic crisis, the main thing is to focus on the survival of national production, and its rapid development after the post-coronary crisis; For this, investment resources are needed.

Finally, the coronomic crisis is not so much a hindering factor but as a stimulus for the creation of new opportunities and a catalyst for development.

Key Words: coronomic crisis, investment, internal investment, coronomy, national production.

ქალი და მისი როლი თანამედროვე ეტაპზე (სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი)

შურა უკლება
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მოწვეული სპეციალისტი

რეზიუმე

აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართველ ქალებს ოჯახების დასახმარებლად ერთდროულად რამდენიმე პასუხისმგებლობის აღება მოუწიათ. მარკეტინგის მენეჯერები ყოველთვის ინტერესდებოდნენ ქალების ცხოვრების სტილით, რადგანაც ზუსტად ისინი არიან პროდუქტების ძირითადი მყიდველები როგორც თავისთვის, ასევე ოჯახისათვის. ქალები იბრძოდნენ გენდერული თანასწორობისათვის - რაც ნიშნავს ქალისა და კაცის თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და შესაძლებლობებს დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების სფეროში.გამომდინარე აქიდან, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ქალების როლზე. როლის ქვეშ იგულისხმება ქალის როგორც ინდივიდის ქცევის მოდელი მოცემულ სიტუაციაში, რომელსაც უკავია განსაზღვრული საზოგადოებრივი მდგომარეობა, გაანალიზებულია ქალების დასაქმების საკითხი.შესწავლილია ქალების როლი სხვადასხვა სფეროებში: მეცნიერებაში, თავდაცვაში, მედიცინაში, განათლებაში, ბიზნესში და ა.შ. დასახულია შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. გატარდეს პრევენციული ღონისძიებანი გენდერული თანასწორობის დასაცავად;
2. ანაზღაურების საკითხში სასურველია ბალანსის დაცვა;
3. ასევე აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს ქალთა უფლებების დაცვაზე და მათთვის ამ ინფორმაციის ზუსტ მიწოდებაზე.

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა, ქალის როლი, ქალთა უფლებები, ქალთა დასაქმება.

შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებით, შევამჩნევდით, თუ როგორ იცვლება ქალის როლი და ფუნქციები. მარკეტინგის მენეჯერები ყოველთვის ინტერესდებოდნენ ქალების ცხოვრების სტილით, რადგანაც ზუსტად ისინი არიან პროდუქტების ძირითადი მყიდველები როგორც თავისთვის, ასევე ოჯახისათვის. უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში ქალის ცხოვრების სახე არსებითად შეიცვალა. ქალები იბრძოდნენ გენდერული თანასწორობისათვის - რაც ნიშნავს ქალისა და კაცის თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და შესაძლებლობებს დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების სფეროში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართველ ქალებს ოჯახების დასახმარებლად ერთდროულად რამდენიმე პასუხისმგებლობის აღება მოუწიათ. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებში არსებული პატრიარქლური სოციალური სისტემა ერთგვარად ზღუდავდა ქალის მონაწილეობას ოჯახს გარეთ, და საზოგადოებრივ სფეროში, ამას მაინც არ შეუმცირებია მათში ახლებურად აზროვნებისა და ბიზნეს საქმიანობის წარმოების სურვილი.

შვილების დაბადება და აღზრდა, ოჯახი, ინტერიერი, კვება, ხელსაქმე ... ქალის მოღვაწეობისა და თვითრეალიზაციის სფეროების სია ოდითგანვე იზრდება და იზრდება. თანაც თავად ქალების ძალისხმევით... საკუთარი თავის პოვნა და ისეთ ახალ სამოღვაწეო ასპარეზზე სრულყოფა და წარმატება, ადრე რომ მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო ხელმისაწვდომი, დაუფარავ სიამოვნებას და სიამაყეს ანიჭებს ქალს.

ძირითადი ნაწილი

ანალიტიკოსების და მარკეტინგის სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღება დღეს მიპყრობილია ქალების როლზე. როლის ქვეშ გაიგება ქალის როგორც ინდივიდის ქცევის მოდელი მოცემულ სიტუაციაში, რომელსაც უკავია განსაზღვრული საზოგადოებრივი მდგომარეობა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ქალების დასაქმების საკითხი (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. დასაქმება

	2013	2014	2015	2016	2017
ქალი	776,3	802,2	823	814.1	817,4
კაცი	867,2	892,2	910,8	903,1	889,3

ანალოგიური ტენდენციები შეიმჩნევა მთელს მსოფლიოში, კერძოდ კანადაში მომუშავე ქალების წილმა მიაღწია 52%, იაპონიაში -49%, დიდი ბრიტანეთში -47%, ავსტრალიაში 46%, დასავლეთ გერმანიაში-39%. ეკონომიურად აქტიურ მოსახლეობას შორის ქალები შეადგენენ 58%, კაცები 78% (2016 წლის მონაცემებით). 2016 წელს ქალებში აქტიურობის ყველაზე მაღალი დონე 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში შეინიშნება (81%). ასევე მნიშვნელოვანია პარალელები გავატაროთ ქალისა და კაცის ხელფასებს შორის. 2015 წელს ქალების საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა შეადგინა 693 ლარი, ხოლო კაცების -1074 ლარი. 2017 წელს კი ქალების საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა შეადგინა 770 ლარი, ხოლო კაცების -1197 ლარი (იხ.დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.



2015 წელს ქალის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სახელმწიფო სექტორში შეადგენდა 717 ლარს, ხოლო კაცის 938 ლარს (76%), მსხვილ საწარმოში ქალის ხელფასი სასუალოდ შეადგენდა 885 ლარს, ხოლო კაცის 1279 ლარს (69%), საშუალო საწარმოში ქალის ხელფასი შეადგენდა 486 ლარს, ხოლო კაცის 780 ლარს (62%).

2018 წლის მონაცემებით სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1318,7-6,2% ლარი შეადგინა, არასამეწარმეო სექტორში კი 1012,5-4,0%, ქალის ხელფასი შეადგენდა 946,1 ლარს, კაცის 1457,4 ლარს, ცვლილება წინა წელთან შედარებით არის -0,9%. 2018 წლის IVკვარტალში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა შეადგინა 1202,0 ლარი-5,4%, აქედან ქალის 906,0 ლარს-5,4%, ხოლო კაცის 1468,5 ლარს -5,8%.

ქალების რიცხვის გაზრდისას, მათი სამუშაო სტატუსისა და მსყიდველობითი უნარიანობის ამაღლებით, ასევე როლების ხასიათში ცვლილებებით, ეს ინტერსი კიდევ უფრო გაძლიერდა. მყარი და ხანდახან ერთ-ერთი პირველი ადგილი თანამედროვე ქალის ცხოვრებაში კარიერას უჭირავს. დასაქმებულთა რიცხოვნებამ 2018 წელს 1694,2 ათასი შეადგინა, რაც შეეხება ბიზნესის სექტორს აქ დასაქმებულთა რიცხოვნებამ 2018 წელს 687,9 ათასი შეადგინა, აქედან თანაფარდობა ასეთია, ქალები 49,3% და კაცები 63,4%, თვითდასაქმებულია 49%, დაქირავებულია 51% (იხ.ცხრილი 2). 2015 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა: ქალი 54% და კაცი 58% (2007 წელთან შედარებით 58%-ით მეტი). თუმცა მხოლოდ უმცირესობას გამოსდის არჩეული ცხოვრების გზით - იყოს ბიზნეს-ლედი – დაკმაყოფილება და ბედნიერება. შესახედად და გარეგნულად წარმატებულმა ბიზნეს-ლედიმ, შეიძლება, უეცრად გაურკვეველი შინაგანი დისკომფორტი იგრძნოს საკუთარი, როგორც აქამდე ეგონა, საყვარელი საქმისგან.

ასოციაცია „ქალი და ბიზნესი" ახორციელებს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის 6 თვიან საგრანტო პროგრამას - ქალე-

ბის სამეწარმეო საქმიანობის განვითარება მცირე ბიზნესში დასაქმებით. პროგრამის მიზანია დაინტერესებულ ქალბატონებს მისცეს საშუალება მიიღონ საჭირო განათლება და კონსულტაციები ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებზე, რომელიც მათ დაეხმარება საკუთარი ბიზნესის დაწყებაში. ტრენინგები ხელს შეუწყობს მათ დასაქმების პროცესს და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ახლად გახსნილ სწრაფკვების ობიექტში.

ცხრილი 2. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით

	ჯანდაცვა	სასტუმროები და რესტორნები	ვაჭრობა	სხვა	ოპერაციები უძრავ ქონებაზე	დამამუშავებელი მრეწველობა	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	მშენებლობა
ქალი	78	58	40	37	32	30	24	8
კაცი	27	42	60	65	68	70	78	95

ასევე საყურადღებოა ქალების როლი სამეცნიერო საქმიანობაში. 2017/2018 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნებამ შეადგინა: ქალი-54%, ხოლო კაცი 46%. ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, რომ 2018 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალების ინტერნეტით მოხმარება და შეადგინა 64%, კაცების კი 67%, როცა 2016 წელს ეს მონაცემები ასეთი იყო: ქალი -53%, ხოლო კაცი 47%.

საწარმოთა მფლობელების რაოდენობა სქესის მიხედვით 2015-2017 წლებში ასეთია (იხ.ცხრილი 3):

სოფლის მეურნეობაში 2014 წლის მონაცემების მიხედვით ოჯახური მეურნეობები ასეა განაწილებული. ქალი -31% (198

ათასი), კაცი-69% (442 ათასი). განათლების დონის მიხედვით მონაცემები ასე განაწილდა (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 3.საწარმოთა მფლობელების რაოდენობა სქესის მიხედ-ვით 2015-2017 წლებში

	2015	**2016**	**2017**
ქალი (ათასი)	14054	13860	19744
კაცი (ათასი)	24720	24678	25425

ცხრილი 4.

	უმაღლესი განათლებით	**პროფესიული განათლებით**	**ზოგადი სრული**	**არა აქვს განათლება, შეუძლია წერა -კითხვა**	**არასრული დაწყებითი**	**წერა-კითხვის უცოდინარი**
კაცი	70	70	71	54	49	36
ქალი	30	30	29	46	51	64

2017 წელს ეკონომიურად აქტიური მოსახლეობაში ქალების წილი შეადგენს 58%, დასაქმებული ქალი 51%, უმუშევარი -7%.

უძრავ ქონებაში მფლობელობის ყველაზე მაღალი წილი უკავია საცხოვრისს. კაცები უფრო ხშირად ფლობენ ძირითად საცხოვრისს, ვიდრე ქალები. დაახლოებით 80% კაცი და 76% ქალი არის საცხოვრისის განცხადებული მფლობელი, ხოლო 46% კაცი და 33% ქალი - დოკუმენტირებული მფლობელი. გენდერული განსხვავება ყველაზე მაღალია სასოფლო-სამეურნეო მიწის შემთხვევაში, სადაც დოკუმენტირებული მფლობელი კაცების

რაოდენობა ორჯერ აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს.

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები მიანიშნებენ იმაზე, რომ ქალების როლის გაზრდით იმატებს მათი დროის დეფიციტი, რაც უკავშირდება მათ ორ სამუშაოს-ერთი ესაა - საშინაო მოვალეობები, ბავშვების ჩათვლით და მეორე- სამუშაო ადგილზე. ამიტომ კაცებთან შედარებით მათ ნაკლები თავისუფალი დრო რჩებათ. ამიტომ ადგილი აქვს როლურ გადაღლას. აქ მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიას, რაც გამოიხატება იმაში, რომ როდესაც ქალი დაკავებულია სამუშაო როლის შესრულებით, კაცმა უნდა შეასრულოს ქალის საშინაო როლი, რათქმა უნდა თუკი ის თავისუფალია.

დღეს ჩვენ შევხვდებით ქალებს სახვადასხვა სფეროებში: მეცნიერებაში, თავდაცვაში, მედიცინაში, განათლებაში, ბიზნესში და ა.შ. დღეს აქტიურად გაისმის სიტყვები: ფემინიზმი, ფემინისტი, რაც სწორედ ქალის უფლებებისა და მოვალეობების ზრდაზე მეტყველებს. დღეს ქალის როლი საკმაოდ გაიზარდა თანამედროვე საზოგადოებაში ადრეულ პერიოდთან შედარებით, ადამიანთა ცნობიერების გაზრდისა და გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად.

საქართველოში უკვე 20 წელია, რაც ქვეყნის მთავრობა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შექმნასა და სრულყოფაზე ზრუნავს. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში ქვეყნის კანონმდებლობისა და მოქმედი მექანიზმების შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო კონვენციებმა და რეზოლუციებმა.

დასკვნა

ჩემი აზრით ყოველივე ზემოთ მოყვანილი ინფორმაციასა და მონაცემებზე დაყრდნობით მიმაჩნია განხორციელებული იქნას რიგი ღონისძიებები:

1. საქართველო გენდერული თანასწორობის საკითხებში

წინ მიიწევს, თუმცა შეინიშნება გარკვეული უზუსტობები და ეს ცნება ბოლომდე აღქმული არა არის. ამიტომ საჭიროა აღნიშნულისათვის ჩატარდეს პრევენციული ღონისძიებანი და საზოგადოებას შეძლოს უკეთ აღიქვას და გაიაზროს გენდერული თანასწორობის შესახებ.

2. რაც შეეხება ანაზღაურების თემას საზოგადოებაში ბალანსი დარღვეულია მონაცემებიდან ვხედავთ რომ მაღალ ანაზღაურებად თანამდებობებზე მამაკაცები გვხვდებიან, სასურველია ბალანსის დაცვა.

3. ასევე აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს ქალთა უფლებების დაცვაზე და მათთვის ამ ინფორმაციის ზუსტ მიწოდებაზე.

REFERENCES:

1. http://medeasaba.blogspot.com
2. https://www.blogger.com
3. www.geostat.ge

THE WOMAN AND HER ROLE CHANGE AT THE MODERN STAGE (The Socio-economic Aspect)

Shura Ukleba
Akaki Tsereteli State University,
Invited Specialist

RESUME

In the article “The Woman and Her Role Change at the Modern Stage” it is mentioned, that after collapsing of the Soviet Union, the Georgian women had to take several responsibilities in order to support their families. The marketing managers always got interested in the women’s lifestyle, because they are the very ones,

who buy the products as for themselves, but also for their families. The women used to fight for the gender equality – which means the equal rights, responsibilities and abilities for men and women in the sphere of employment and payment.

The list of work and self-actualization spheres of women has been increasing indigenously. And this is happening with the endeavor of women as well. Finding herself and success and perfection in the working arena, which was earlier available only for men, this gives an obvious pleasure and pride to the woman.

It is also important to make parallels between the salaries of men and women. In 2015 the average nominal monthly salary of women was 693 GEL, and 1074 GEL for men. For 2017, the average nominal monthly salary of women was 770 GEL and 1197 Gel for men.

The career has a stable and sometimes one of the most important places in the life of modern woman. Also the role of woman in scientific work is noteworthy. In 2017/2018 years the number of professors in the higher education institutions amounted: woman – 54 %, and man – 46 %. Also it is important to be noted, that in 2018 the usage of internet by the women was relevantly increased and amounted 64 %, the men- 67 %, when these data in 2016 was such: woman – 53%, and man -47%.

In real estate the highest part takes the tenement. The men more frequently owe the basic tenement, than the women. Approximately 80 % of men and 76 % of women are the declared owners of tenement, and 46 % men and 33 % women - are documentary owners. The gender difference is the highest when the case deals with agricultural land, where the number of documentary owner men is twice bigger than the similar indicator of women.

The above mentioned statistic data indicate to the fact, that with the increase of women's role, their shortage of time is also increased, which deals with their double work – the one is domestic duties, including children and the second one is their job. That is why, in the comparison to the men, they have less free time. And the role overtiring takes place. Here it is relevant to pay attention to the ideology

of equality of rights, this implies, that when a woman is busy doing her job, the man must play a domestic role, of course, if he is free.

Today we meet women in different spheres: science, defense, medicine, education, business and others. Today the following words are actual: feminism, feminist, which implies to the increase of the rights and duties of women. The role of women has relatively increased today comparatively to the early years together with increasing human consciousness and globalization development.

It has already been 20 years, when the country government cares for creating and fulfillment of the state policy of gender equality. It should be lined out, that in the sphere of gender equality maintaining, the relevant role in the development of country legislation and operational mechanisms have done the International conventions and resolutions.

To my mind, based on above mentioned information and data, the numbers of activities are to be done:

1. According to discussed, it is evident, that in the gender equality issued Georgia is moving forward, however some inaccuracies are noticed and this notion is not fully understood. That is why it is necessary to hold the preventive actions to make the society perceive and understand the sense of gender equality better.

2. As for the payment, according to the data, in the society the balance is infringed and we see that mainly the men are at the highly-paid positions and it is desirable to maintain balance.

3. It is also necessary for the state to take care of protecting women's rights and providing them with the accurate information.

Key words: Gender equality, women's role, women's rights, women's employment.

დაკრედიტების პროცესში რეგულაციები და მათი გვერდის ავლის გზების კონტროლი

ანი ხაჩიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული აუცილებელი კოეფიციენტები. წარმოდგენილია, თუ რამდენად აუცილებელია აღნიშნული რეგულაციების კარგად ცოდნა, იმისათვის, რომ მოვახერხოთ სესხის სწორად გაცემა, შემოსავლების მოტყუების ან ახალი რეგულაციების დარღვევის გარეშე. ასევე ნაჩვენებია, თუ როგორ შეიცვალა სესხის გაცემის პირობები ახალი რეგულაციების შემოღების შემდეგ და რა ეფექტი იქონია ამ ყველაფერმა სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტის განვითარებასა თუ გაუჩინარებაზე. რეალობის აღქმისთვის მოყვანილია მაგალითები საფინანსო მომსახურების ყოველდღიურობიდან და კლიენტების ქცევის წესები.

საკვანძო სიტყვები: სესხის მომსახურების კოეფიციენტი. სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი.

ძირითადი ტექსტი

2019 წელს ქვეყანაში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად მიიჩნეოდა ჭარბვალიანობა. ჯამური საფინანსო სექტორიდან სესხების 80% მოდიოდა არასაბანკო სექტორზე. ეს ყველაფერი გამოწვეული იყო იმით, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი არის თვითდასაქმებული, რაც ხელს უშლის მას კრედიტის აღებაზე. ასევე დიდი წილი მოდის 21 წლამდე მოსახლეობაზე, რომელზეც საბანკო წესით იკრძალება კრედიტის გაცემა. სწორედ ამიტომ როდესაც ბანკი მსესხებლის არასაკმარისი შემოსავლიდან თუ არასახარბიელო საკრედიტო ისტორიის გამო უარს

ეუბნება პირს სესხის გაცემაზე, ადამიანები ეძებენ ალტერნატიული წყაროებს და სამწუხაროდ, ხშირად ახერხებენ კიდეც. ეს პირველ რიგში სტუდენტებს და ახალგაზრდობას ეხება. მართალია, ამ დავალიანებას საბოლოო ჯამში ოჯახის წევრები ფარავენ, მაგრამ პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება. დიდწილად სწორედ ამის შედეგია, რომ წლიდან წლამდე იზრდება ლომბარდების და კერძო პირების, იგივე კერძო იპოთეკარების საკრედიტო პორტფელი. სხვადასხვა მონაცემებით, მარტო ლომბარდული სესხებით დავალიანება 600 ათასზე მეტ ადამიანს აქვს, ხოლო მოვალეთა რეესტრში არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების მოვალეთა წილი სულაც 70-80%-ს შეადგენს. ამ მონაცემებიდანაც ჩანს, რომ ჭარბვალიანობის პრობლემა თუ კომპლექსურად არ გადაიჭრა, ვერ მოგვარდება.

სწორედ პრობლემების მოსაგვარებლად 2018 წლის 1 სექტემბრის შემდეგ, იმისათვის რომ შემცირებულიყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არსებობა და სესხების გაცემა, შემოიღეს კანონი, რომელიც კრძალავდა სესხის გაცემას იმ შემთხვევაში, თუკი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნებოდა 100%-ზე მეტი. ამ დროისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გაცემდნენ სასწრაფო და ონლაინ სესხებს იმ პირობითაც კი, თუკი საპროცენტო განაკვეთი მეტი იქნებოდა 300% ზე. ამ კანონის შემოღებას შედეგად მოყვა უამრავი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დახურვა, ხოლო დარჩენილი ნაწილი გადაკეთდა ბანკად ან შეცვალა სამუშაო პროფილი და გააფართოვა მომსახურება სხვა სფეროებით. სწორედ ამ დროს მოხდა ერთერთი ყველაზე დიდი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის - „ვივუსის“, „ნეთკრედიტის“ და სხვების დახურვა. რათქმაუნდა დამსაქმებელი კომპანიების ბაზრიდან გასვლამ ქვეყანაში უმუშევრობის დონეც გაზარდა, თუმცა აღნიშნული ცვლილების ქვეყანაში გატარება აუცილებელი იყო. აღნიშნული კომპანიები მონაწილეობდნენ სესხების გაცემაზე ყველანაირი შემოსავლის დამადასტურებელი საბუთის გარეშე. ერთადერთი, რაზეც მათი რისკები ეყრდნობოდა, იყო კრედიტ ინფოს საკრედიტო ისტორია.(კრედიტ ინფო არის საქართველოში არსებული ყველა ოფიციალური

საფინანსო ინსტიტუტის გაერთიანებული ბაზა, სადაც მოცემულია ყველა მსესხებლის საკრედიტო ისტორია. მიმდინარე სესხები, დაფარული სესხები და გადახდების ისტორია, როგორც მსესხებლის როლის, ასევე თანამსესხებლის ან თავდების როლის მქონე პირებისთვის. სესხის აღებიდან დაახლოებით 1 კვირაში ხდება ახალი სესხის შესახებ ინფორმაციის განახლება და კრედიტ ინფოში ასახვა. ასევე ხდება დაფარული სესხის ასახვა მონაცემთა ბაზაში.) სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ მიკროსაფინანსო ინსტიტუტები არ შეისწავლიდნენ შემოსავალს და ეყრდნობოდნენ მხოლოდ საკრედიტო ისტორიას, საგრძნობლად გაფუჭდა გადამხდელთა რაოდენობა და გაიზარდა პრობლემური კლიენტების სია. ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ მსესხებელს შემოსავლიდან არ რჩებოდა თანხა იმისათვის, რომ შეძლებოდა საკუთარი სურვილების ან მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. შესაბამისად გაპრობლემდა უამრავი სესხი და ყველა მსესხებელს გაუფუჭდა საკრედიტო ისტორია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები იმდენად ბევრი სესხის გაცემას ახერხებდნენ და იმდენად დიდი პროცენტში, რომ მათ მაინც უღირდათ აღნიშნულ რისკზე წასვლა. თანაც საკრედიტო ისტორია ფუჭდებოდა და იმავე მსესხებლები ვეღარ შეძლებდნენ კრედიტით სარგებლობას, რაც ამცირებდა პრობლემური სესხების წილს.

სამწუხაროდ იმის შედეგად, რომ მოქალაქეს არ შეეძლო კრედიტის აღება არც საბანკო დაწესებულებაში და არც მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა კერძო იპოთეკარებზე, რომლებიც არც შემოსავლის შესწავლით და არც საკრედიტო ისტორიით არიან დაინტერესებულები. კერძო იპოთეკარებს აქვთ მხოლოდ და მხოლოდ 1 დადებითი მხარე - ნებისმიერ პირს შეუძლია აიღოს კრედიტი თუკი ის ფლობს რაიმე უზრუნველყოფას. როდესაც ადამიანს ჭირდება თანხა, კერძო იპოთეკარს შეუძლია შესთავაზოს ეს თანხა გარკვეული ვადით, უძრავ ქონებაზე იპოთეკის დადების სანაცვლოდ. თუმცა ეს პროცედურა საკმაოდ ძვირია. ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო არის ნოტარიუსი და ასეთ

შემთხვევაში წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს საშუალოდ თვეში 2%-ს. მსესხებელი ყოველთვიურად იხდის მხოლოდ პროცენტში გადასახდელ თანხას, ხოლო სრული თანხის დაფარვა ხდება ხელშეკრულების ვადის ბოლოს. თუკი მოხდა ხელშეკრულების პირობების დარღვევა, უძრავი ქონება გადადის იპოთეკარის სახელზე. სამწუხაროდ ამ ეტაპზე არ არსებობს ისეთი რეგულაციები ან კანონი, რომელიც მკაცრად გააკონტროლებს კერძო იპოთეკარების საქმიანობას.

2019 წლიდან საგრძნობლად შეიცვალა დაკრედიტების სტანდარტი და შემოვიდა უამრავი შეზღუდვა, რომლის დაცვაც აუცილებელია. ამ კრიტერიუმების შემოღებამ გამოიწვია სესხების გაცემის რაოდენობრივი შემცირება. ეს ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მსესხებლის გადახდისუნარიანობა შეფასებულიყო მაქსიმალურად დოკუმენტების დახმარებით და მისი გადამხდელუნარიანობა განესაზღვრა არა მსესხებელს, არამედ ბანკს. თუნდაც დღეს, როდესაც მსესხებელი მიმართავს ბანკს კრედიტის ასაღებად, აცხადებს რომ ჯამური 1000 ლარიანი შემოსავლიდან მას შეუძლია სესხში გადაიხადოს 700 ლარი, ხოლო 300 ლარი დაიტოვოს თვიდან-თვემდე საარსებოდ. ეს მიდგომა, რათქმაუნდა, არასწორია და აუცილებელია არსებობდეს წესი, თუ რა შემოსავლის შემთხვევაში რამდენის დაფარვა შეუძლია მსესხებელს. სწორედ იმისათვის, რომ არ მოხდეს შემთხვევა, რომ ადამიანის საარსებოდ აუცილებელი თანხა დარჩეს საკმაოდ მცირე, აუცილებელია დავიცვათ სესხის მომსახურების კოეფიციენტი - PTI კოეფიციენტი. PTI კოეფიციენტი განსაზღვრავს, თუ რა თანხის გადახდა შეუძლია მსესხებელს ვალდებულებების დასაფარად. ნიშანდობლივია, რომ PTI კოეფიციენტის დაცვა ყველა სახის სესხისათვის, არის საკმაოდ მკაცრი მოთხოვნა ბანკებისთვისაც კი და წარმოადგენს მსესხებლის ან თანამსესხებლის ჯამური ყოველთვიური გადასახდელებისა და ყოველთვიური წმინდა შემოსავლების თანაფარდობას. ანუ ამ მაჩვენებლით განისაზღვრება, თუ რა თანხის დაფარვა შეუძლია მსესხებელს მისი შემოსავლის შემთხვევაში. სესხის მომსახურება/შემოსავალთან ლიმიტების დაცვის მოთხოვნა, რომე-

ლიც გასულ წელს შემოვიდა ძალაში, აქამდე ეხებოდა მხოლოდ იპოთეკურ სესხებს და მისი დაცვა ბანკებისათვის სხვა საცალო პროდუქტებზე აქამდე სავალდებულო არ იყო, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა. თუმცა შემდეგ აუცილებლობა დადგა იმისა, რომ PTI კოეფიციენტი ყოფილიყო სესხის გაცემის დროს შესაძლოა ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო მაჩვენებელი, რომლის დარღვევაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სესხის რესტრუქტურიზაციის დროს. ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ თუკი აქამდე სესხის მომსახურების კოეფიციენტი შეადგენდა მაგალითად 30%-ს, ამჟამად იგივე შემოსავლის შემთხვევაში იგივე მაჩვენებელი შეადგენს უკვე 25%-ს. დღესდღეობით PTI კოეფიციენტის ცხრილი გამოიყურება შემდეგნაირად: (აღნიშნული მონაცემების დეტალური ნახვა შესაძლებელია საიტზე: www.nbg.gov.ge)

ყოველთვიური შემოსავლის მოცულობა ლარში	PTI			
	ჰეჯირებულ		არაჰეჯირებული	
	მაქსიმალური ვადა	საკონტრაქტო ვადა	მაქსიმალური ვადა	საკონტრაქტო ვადა
<1000	25%	35%	20%	25%
<2000	35%	45%		
<4000	45%	55%	25%	30%
>=4000	50%	60%	30%	35%

ცხრილი N1

აქვე განვმარტოთ, თუ რას ნიშნავს ჰეჯირებული მსესხებელი და არაჰეჯირებული. **ჰეჯირებული არის მსესხებელი,** რომელიც სესხს იღებს ლარში, ან ის მსესხებელი, რომლის შემოსავალი და სესხი არის ერთსა და იმავე ვალუტაში. ხოლო არაჰეჯირებული არის მსესხებელი, რომლის შემოსავალი და სესხის ვალუტა განსხვავებულია ერთმანეთისგან.

რაც შეეხება საკონტრაქტო ვადას და მაქსიმალურ ვადას. მაქსიმალური ვადა განსხვავებულია პროდუქტის მიხედვით. მაგალითად იპოთეკური სესხის ვადა 2019 წლის რეგულაციების შემდეგ დადგინდა 180 თვე, რაც ახალ რეგულაციებამდე განისაზღვრებოდა 240 თვით. ანუ იპოთეკური სესხის მაქსიმალური ვადა შემცირდა 5 წლით. რაც შეეხება უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხს, აღნიშნულის დროს მაქსიმალური ვადა განისაზღვრება 120 თვით. ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხის დროს აღნიშნული ვადა განისაზღვრება 72 თვით, ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხის დროს ვადა შეადგენს 4 წელს. რაც შეეხება საკონტრაქტო ვადას - ეს ის შემთხვევაა, რა ვადაზეც კეთდება ხელშეკრულება. მაგალითად იპოთეკური სესხის მაქსიმალური ვადა შეადგენს 15 წელს, ხოლო მსესხებელს სესხის აღება სურს 5 წლით. ასეთ დროს მაქსიმალური ვადა შეადგენს 15 წელს, ხოლო საკონტრაქტო ვადა განისაზღვრება 5 წლით. საკონტრაქტო ვადის დროს PTI კოეფიციენტი არის უფრო დიდი მაჩვენებელი, ვიდრე მაქსიმალური ვადის დროს. ეს ყველაფერი აიხსნება იმით, რომ თუკი სესხი გაპრობლემდა და მსესხებელს შეექმნა პრობლემა სესხის დაფარვასთან დაკავშირებით, ყოველთვის შეიძლება გაკეთდეს სესხის რესტრუქტურიზაცია, რა დროსაც შეგვიძლია ავირჩიოთ პროდუქტის მაქსიმალური ვადა, რაც გაამარტივებს კრედიტის დაფარვას.

კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომელიც 2019 წლის რეგულაციების შემდეგ შეიცვალა, არის სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი - LTV კოეფიციენტი. აღნიშნული მაჩვენებელი გამოიყენება მხოლოდ უზრუნველყოფილი სესხების დროს და ის განსაზღვრავს თუ რა თანხის გატანა შეუძლია მსესხებელს მის ხელთ არსებული მოძრავი თუ უძრავი უზრუნველყოფის საფუძველზე. LTV კოეფიციენტი ამჟამად გამოიყურება შემდეგნაირად: (აღნიშნული მონაცემების დეტალური ნახვა შესაძლებელია საიტზე: www.nbg.gov.ge)

	ლარში გაცემული სესხები	უცხო ვალუტაში გაცემული სესხები
უძრავი ქონება		
საცხოვრებელი ფართი	<= 85%	<= 70%
კომერციული ფართი		
საოფისე ფართი		
მიწის ნაკვეთი (მდებარე ქალაქი, დაბა საკურორტო ზონა	<= 80%	<= 70%
სპეციფიკური ობიექტი - სხვენი, სარდაფი, ავტოსადგომი	<= 70%	
ინდუსტრიული ობიექტი - საწარმო სასაწყობო ფართი		
ქონება მდებარეობს სოფელში ად დაბაში (არა საკურორტო ზონაში	<= 60%	

ცხრილი N2

აღნიშნული პარამეტრების გადახვევა დაუშვებელია სტანდარტულ შემთხვევებში, გარდა სესხის რესტრუქტურიზაციისა და სხვა ბანკის სესხის რეფინანსირების დროს, თუკი აღნიშნულ შემთხვევაში არ ხდება ვალდებულებების დამატება. ნებისმიერი უძრავი ან მოძრავი ქონების დატვირთვისას აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ქონება იყოს ლიკვიდური. ახალ რეგულაციებამდე სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის მაქსიმალური მნიშვნელობა განისაზღვრებოდა 90%-ით.

გამორიცხულია უზრუნველყოფად დაიტვირთოს არა ოჯახის წევრის ქონება. რათქმაუნდა, აღნიშნული არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც სესხის მიზნობრიობაა ბინის შეძენა და იტვირთება შესაძენი უძრავი ქონება. ანდა თუკი ქონების მე-

საკუთრე კრედიტის აღების დროს დგება თანამსესხებლად. (გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ შესაძლოა ადამიანი არ მუშაობდეს და ქონების დატვირთვის გამო ფორმალურად ნულოვანი შემოსავლით მოხდეს მისი თანამსესხებლად დაყენება) უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ყველაზე აუცილებელი შეზღუდვა რაც ამოქმედდა, არის ის, რომ შეუძლებელია ქონების დატვირთვა იმ შემთხვევაში თუ არ კმაყოფილდება ორი ვარიანტიდან ერთ-ერთი მაინც:

• უზრუნველყოფის საგანი არ წარმოადგენს მესაკუთრის საცხოვრებელ ადგილს. საცხოვრებლად არ გამოყენების ფაქტი უნდა დასტურდებოდეს მესაკუთრის წერილობითი განცხადებით და საჯარო რეესტრის ამონაწერით (განაცხადში მითითებული უნდა იყოს საცხოვრებელი მისამართი, საკადასტრო კოდი, უძრავი ქონების მესაკუთრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და კავშირი მესაკუთრესთან). განცხადებაში მითითებული ინფორმაციის დაზუსტება და შემოწმება ევალება ბანკის კრედიტ ოფიცერს.

• თუკი მესაკუთრე ცხოვრობს უზრუნველყოფის ობიექტში, იპოთეკით დატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შევისწავლით მესაკუთრის შემოსავალს და დადასტურდება ფაქტი, რომ მესაკუთრეს შეუძლია გასაცემი სესხის ყოველთვიური შენატანის დაფარვა. უნდა კმაყოფილდებოდეს სესხის მომსახურების კოეფიციენტი.

მოცემული შეზღუდვების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ არ მოხდეს ადამიანის უსახლკაროდ დატოვება, რაც დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია ბანკებისა თუ კერძო იპოთეკარების დამსახურებით.

სამწუხაროდ არის შემთხვევები, როდესაც ბანკის თანამშრომლები და საბანკო სფეროში გარკვეული კლიენტები უპრობლემოდ ახერხებენ ახალი რეგულაციების გვვრდის ავლას და რეალურად ეროვნული ბანკის და თანამშრომლის მოტყუებას. კრედიტით სარგებლობა იმდენად გავრცელებულია საქართველოში, რომ უამრავი ადამიანი ზოგიერ თანამშრომელზე უკეთესად ერკვევა თუ სად შეიძლება მოტყუება, რისი დამალვაა

საჭირო, რა შემოსავლის გამოჩენა მოითხოვება და რისი არა და ეს იწვევს არასასურველი სესხების გაცემას. მაგალითად კლიენტს შეუძლია ბანკში განაცხადოს, რომ ოჯახის წევრის ქონების დატვირთვა სურს, სადაც მისი ოჯახის წევრი არ ცხოვრობს, რეალურად განაცხადი იწერება კლიენტის მხრიდან და ხელსაც აწერს ბინის მესაკუთრე მის მიერ გაცემულ ინფორმაციას, თუმცა რამდენად რეალურია ინფორმაცია და რეალურად გაუთვალისწინებელი შემთხვევის შემდეგ დარჩება თუ არა ის უსახლკაროდ მაგას ვერავინ ვერ გათვლის. განაცხადის რეალურობას სინამდვილეში ვერავინ ვერ დაადგენს თუ სპონტანურად არ შეამოწმა ადგილზე ვიზიტით მესაკუთრე. აღნიშნულის გასაკეთებლად კი არც დრო აქვს ბანკის თანამშრომელს და არც შესაბამისი უფლება მოვალეობა. კრედიტის აღებისთვის ყველაზე გავრცელებული ტყუილი მსესხებლის მხრიდან არის არარსებული საიჯარო შემოსავალი, რომლის საჭირო დონეზე კონტროლიც ასევე შეუძლებელია. ანუ შემოსავლის გაზრდის და საჭირო თანხის მიღების მიზნით კლიენტები აცხადებენ, რომ გაქირავებულია ის ფართი, რომელშიც რეალურად თავად ცხოვრობენ. ხოლო მათ საცხოვრებელ ადგილად აცხადებენ მშობლების ბინას. აღნიშნულ შემთხვევაში სტანდარტის მიხედვით მოითხოვება, რომ ადგილზე ვიზიტი განახორციელოს კრედიტ ოფიცერმა და ნახოს რეალურად ბინაში მცხოვრები სხვა პირი და თავად გადაიღოს სურათები, თუმცა ყველაფრის გვერდის ავლა შესაძლებელია. კლიენტს თავისუფლად შეუძლია ბინაში დაგვახვედროს სხვა ოჯახის წევრი, რომელთან კონტაქტიც არ-გვქონია. შესაბამისად საკმაოდ მარტივია არარეალური შემოსავლის სესხის განაცხადში გათვალისწინება.

ხშირია შემთხვევებიც, როდესაც მსესხებელს ბანკში წარუდგენია გაყალბებული საბანკო ან შემოსავლების სამსახურის ამონაწერი. ასეთი შემთხვევები საკმაოდ კარგია და ამონაწერის რეალურობის გასარჩევად საჭიროა ან საკმაოდ გამოცდილი კრედიტ ოფიცერი, ან რისკის მენეჯერი, ვინც გადის სესხს. უმეტეს შემთხვევაში ყალბი ამონაწერების ცნობა შესაძლებელია და აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გადაეცემა უსაფრთხო-

ების განყოფილებას, ხოლო ისინი თავის მხრივ საქმის კურსში აყენებენ შესაბამის განყოფილებებს და კლიენტები ისჯებიან შესაბამისი კანონით. სამწუხაროდ არის შემთხვევები, როდესაც არაუზრუნველყოფილი სესხები მტკიცდება ავტომატურად, შესაბამისად ამონაწერის შემოწმება რისკების მიერ აღარ ხდება. ეს იწვევს შემდეგ სესხის გაპრობლემებას და ბანკის დანაკარგს. რათქმაუნდა ყალბი ამონაწერის წარმომდგენი პირის საკრედიტო ისტორია ფუჭდება, მაგრამ სამწუხაროდ აღნიშნული ფაქტი უმრავლესობისთვის არაფერს ნიშნავს.

ახალი რეგულაციები და შეზღუდვები არსებობს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს მოსახლეობის მდგომარეობა, შემცირდეს ბანკის დანაკარგი და ამაღლდეს მოსახლეობის თვითცნობიერება, თუმცა წესის დარღვევა ყოველთვის შეიძლება და რაც უფრო დიდი ხანია არსებობს კანონი და რაც უფრო ვითარდება ადამიანის ცნობიერება, მით მეტი ხერხი ჩნდება კანონის გვერდის ასავლებად. იმისათის რომ შევამციროთ არასასურველი სესხების გაცემა, აუცილებელია ბანკის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები, რაც ხელს შეუწყობთ სიცრუის აღმოსაჩენად. ამ ყველაფრისგან თავის დაცვისთვის კი საკმაოდ დიდი დრო და რესურსია საჭირო, რაც დღესდღეობით სამწუხაროდ შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.nbg.gov.ge
2. www.forbes.ge

REFERENCES:

1. www.nbg.gov.ge
2. www.forbes.ge

LENDING REGULATIONS AND CONTROLLING OF AVOIDING ITS VIOLATION

Ani Khachidze,
PHD doctor of GTU

RESUME

The article discusses the necessary ratios for lending. It is important to know how well these regulations are being implemented in order to be able to get a loan properly, without cheating income or violating new regulations. It is also shown how the terms of the loan have changed since the introduction of the new regulations and what effect this has had on the development or disappearance of various financial institutions. The examples of perceptions of reality are the daily routine of financial services and the rules of customer behavior.

Key words: PTI coefficient; LTV coefficient.

ფინანსური ანგარიშგებისა და მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის კონტროლის მონიტორინგი საქართველოში

მარიამ ფიცხელაური
სტუ დოქტორანტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ზურაბ ლიპარტია**

რეზიუმე

აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების სრულყოფისათვის ხარისხის კონტროლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ამჟამად არსებული ფორმით აუდიტორული საქმიანობა საუკუნენახევარს ითვლის, ხოლო აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლის განხორციელების აუცილებლობა აქტუალური გახდა გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან. ამის მიზეზი კი აუდიტორულ ბაზარზე ე.წ. "შავი აუდიტორების" მომრავლება გახდა. ეს იმ დროს, როდესაც თანამედროვე პირობებში საზოგადოების დიდი ნაწილი გადაწყვეტილების მიღების დროს სულ უფრო მეტად ხდებოდა დამოკიდებული ისეთ ინფორმაციაზე, რომელზედაც მას არ გააჩნია არავითარი კონტროლი და ძირითადად უნდა დაეყრდნოს პროფესიონალი აუდიტორების მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგებს. კანონმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" შემოიტანა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ფოკუსირებულია აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის შიდა სისტემებზე.

საკვანძო სიტყვები: აუდიტი, აუდიტის ხარისხის კონტროლი, აუდიტის სტანდარტი, ზედამხედველობის სამსახური.

ძირითადი ტექსტი

2017 წლამდე საქართველოში აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა და მონიტორინგი სუსტი იყო, რადგან აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სფერო არასტაბილურად ვითარდებოდა. საწყის ეტაპზე აუდიტორული საქმიანობის კონტროლის ფუნქცია უნდა შეესრულებინა საქართველოს პარლამენტთან არსებულმა აუდიტორული საქმიანობის საბჭოს (1995 -2005წწ), რომლის განახორციელებაც მოცემულმა სტრუქტურამ ვერ შეძლო. ძირითადი მიზეზად აღინიშნა, რომ მოცემულ სფეროში იყო მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური სპეციალისტების დეფიციტი. (ლ. ჭუმბურიძე, 2014). 2013 წლიდან აუდიტის სფეროში დაიწყო ახალი ეტაპი, 2012 წელს მიღებული კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, რასაც მნიშვნელოვნად არ შეუცვლია აუდიტის ხარისხის კონტროლის მექანიზმი. მდგომარეობა კარდინალურად შეცვალა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებამ (2014 წ). კერძოდ, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და მიღებულმა კანონმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (2016) უზრუნველყო გარკვეული მიღწევები ამ სფეროში: დაუშვა აუდიტის საჯარო ზედამხედველობა; გააძლიერა ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა, ასევე აუდიტორების დამოუკიდებლობა და აუდიტის ხარისხის კონტროლი; დაისახა ბუღალტრული განათლების გაუმჯობესებისა და განვითარების ხელეწყობის პოლიტიკა.

კანონის თანახმად, აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის სამსახური (სამსახური), რომელიც დაარსდა 2016 წელს, არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება და პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობისა და ფინანსთა სამინისტროს წინაშე.

სამსახურის უფროსის მიერ 2017 წლის ივლისში გამოცე-

მული იქნა ბრძანება -„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა აუდიტორული ფირმების/აუდიტორების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, სრულად ან თემატურად. ხარისხის კონტროლის სისტემის სრული მონიტორინგი მოიცავს სავალდებულო და რისკზე დაფუძნებულ მონიტორინგს. სავალდებულო მონიტორინგს ექვემდებარება საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისა (სდპ) და I კატეგორიის საწარმოების აუდიტორული ფირმები და I კატეგორიის საწარმოების ინდივიდუალური აუდიტორები არაუმეტეს 3 წელიწადში ერთხელ. ხოლო ყველა აუდიტორული ფირმა და ინდივიდუალური აუდიტორი, გარდა სდპ-ების და I კატეგორიის აუდიტორული ფირმებისა და I კატეგორიის ინდივიდუალური აუდიტორებისა - არაუმეტეს 6 წელიწადში ერთხელ.

მონიტორინგის დაწყება სამსახურის ინიციატივით შეიძლება მოხდეს მოულოდნელად, ნებისმიერ დროს, რისკის შეფასებიდან გამომდინარე. მონიტორინგის დაწყება აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ინიციატივით შეიძლება განხორციელდეს განცხადების დაკმაყოფილების ან განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებით. სამსახურის მიერ მონიტორინგის დაწყებისთანავე, როგორც წესი, მონიტორინგს დაქვემდებარებული აუდიტორულ ფირმას, აუდიტორის ეგზავნება წერილობითი მოთხოვნა, განხორციელებული/მიმდინარე გარიგებების სრული სიის წარმოდგენასთან დაკავშირებით. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აუდიტორი/აუდიტორული ფორმა ვალდებულია წარადგინოს სამსახურის მიერ მონიტორინგისთვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

რისკზე დაფუძნებული მონიტორინგი შეიძლება ასევე განხორციელდეს ისეთ აუდიტორულ ფირმებში/აუდიტორებთან, რომლებმაც უკვე გაიარეს სრული მონიტორინგი, მაგრამ შემდგომ გამოიკვეთა ისეთი გარემოებები, რომლებიც მიანიშნებს, რომ აუდიტორული ფირმის/ აუდიტორის მიერ გაწეული აუდიტორული მომსახურების ხარისხი შეიძლება აღარ შეესაბამებო-

დეს მისთვის მინიჭებულ ხარისხობრივ კატეგორიას.

თემატური მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს და იგი მოიცავს: ხარისხი კონტროლი სისტემის იმ ცალკეულ ელემენტებს, შერჩეულ გარიგებებს და საქმიანობის წარმართვის სხვა სფეროებს, რაც სამსახურის მიერ განსაზღვრულია რისკის მატარებლად.

რისკის ინდიკატორები სავალდებულო, რისკზე დაფუძნებული თუ თემატური მონიტორინგის დროს შემდეგია:

✓ წინა, სრული ან/და თემატური მონიტორინგის შედეგები;

✓ გარიგების პარტნიორის მიერ შესრულებული გარიგებების რაოდენობა;

✓ აუდიტორული გარიგებების არამართლზომიერი საზღაური;

✓ მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის არასახარბიელო ისტორია;

✓ რეპორტალზე[1] დადასტურებული ანგარიშგებების ხარისხი;

✓ აუდიტორული მომსახურებიდან შემოსავლების მკვეთრი ზრდა;

✓ ეთიკის კოდექსთან შესაძლო შეუსაბამობა;

✓ „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“ - რაოდენობა;

✓ მიღებული ინფორმაცია ფირმის/აუდიტორის შესახებ;

✓ სხვა მსგავსი ინდიკატორები.

2018 წელს ჩატარებული მონიტორინგებისას გამოვლენილი ფაქტები იყოფა ორ ჯგუფად:

1.მონიტორინგისას გამოვლენილი ფაქტები, რომლიც დაკავშირებულია აუდიტორული ფირმის მიერ მონიტორინგის საწყის ეტაპზე წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულის შემოწმებასთან, რის ქვეშაც იგულისხმება, წინასამონიტორინგო ანალიზისათვის სამსახურის მიერ მოთხოვნილი და აუდიტორული ფირმის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისრულის შემოწმება. წინასამონიტორინგო ანალიზისას აუდიტორული ფირმის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შედგება აუდიტორული მომსახურების გარიგებების სიისგან, აუდიტის სუბიექტთათვის

1 საუბარია ანგარიშგების პორტალზე - https://reportal.ge/

განხორციელებული არააუდიტორული გარიგების სიისგან, აუდიტორული ფირმის სტრუქტურისგან, აუდიტორულ მომსახურებაში ჩართული პერსონალის შესახებ ინფორმაციისგან და საერთაშორისო ქსელის წევრობის შესახებ ინფორმაციისგან. მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმებისას გამოვლინდა, რომ აუდიტორული ფირმების მიერ წარმოდგენილის ინფორმაცია, კონკრეტულად კი აუდიტორული მომსახურების გარიგებების სია არ იყო სრული და ზოგიერთ შემთხვევებში წარმოადგენდა აუდიტორული ფირმის მიერ შესრულებული აუდიტორული მომსახურების გარიგებების 10%. აღნიშნული ტიპის ფაქტები პირველად 2018 წლის მონიტორინგების დროს გამოვლინდა. გამოვლენილ ფაქტები მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის მხრიდან შეფასდა, როგორც მონიტორინგის მასშტაბის შეზღუდვა დაკვალიფიცირდა კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობად, რასთან მიმართებაშიც გამოყენებული იქნა კანონის დადგენილი შესაბამისი სანქციები.

2. მონიტორინგისას გამოვლენილი ფაქტები, რომელიც დაკავშირებულია აუდიტორული ფირმის პოლიტიკა და პროცედურები ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტთან და შესრულებული აუდიტორული გარიგებების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებასთან. აუდიტის გარიგებების დოკუმენტაციის შესწავლისას, ასევე ფირმის დონეზე ხარისხის კონტროლის სისტემების შესწავლისას გამოვლენილია ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტთან და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის 177 ფაქტი. გამოვლენილი შეუსაბამობის ფაქტების დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო გარიგების დაგეგმვისა და აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების ეტაპზე ჩასატარებელ პროცედურებთან.

გამოვლენილი ფაქტებიდან გამომდინარე 2019 წლის მონიტორინგების შედეგების მიხედვით 44 აუდიტორულმა ფირმამ გაიარა მონიტორინგი, საიდანაც 13 აუდიტორულ ფირმას მინიჭებული აქვს სდპ აუდიტის უფლებამოსილება, 10 აუდიტორულ ფირმას მინიჭებული აქვს მე-3 კატეგორია და 7 აუდიტორულ

ფირმას მინიჭებული აქვს მე-4 კატეგორია (გულისხმობს სუბიექტთა (გარდა საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (სდპ)) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილებას), 14 აუდიტორულ ფირმას მინიჭებული აქვს მე-5 კატეგორია (გულისხმობს სუბიექტთა (გარდა საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისა (სდპ), პირველი და მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოებისა და პირველი და მეორე ზომითი კატეგორიის ჯგუფებისა) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილებას).

დასკვნა

საერთაშორისო პრაქტიკამ დადასტურა, რომ აუდიტის ხარისხის კონტროლი მხ**ო**ლოდ ეფექტიანი მონიტორინგის პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, აუდიტის ხარისხის კონტროლი მარეგულირებელი ორგანოების მონიტორინგის სფეროა და ხორციელდება ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებულ სამ საკვანძო - სახელმწიფო, აუდიტორთა თვითმარეგულირებელ პროფესიული გაერთიანებებისა და შიდა საფირმო დონეზე. საქართველოში მიღებულმა ახალმა კანონმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (2016) გაზარდა მოთხოვნა აუდიტორული საქმიანობის ხარისხზე, რაც, თავის მხრივ, წინგადადგმული ნაბიჯია სავალდებულო აუდიტის ფუნქციის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის მხარდასაჭერად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლიპარტია ზ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში, თბილისი - 2017 წელი, მონოგრაფია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

2. საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”;

3. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 220 - „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“;

4. ლ. ჭუმბურიძე, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის

რეგულირება, (პროფესორ ზ. ლიპარტიას რედაქციით), თბ. 2014 წ.-274 გვ.

5. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-9, 12.07.2017 – „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“.

6. https://saras.gov.ge;

7. https://reportal.ge/;

8. www.matsne.gov.ge

REFERENCES:

1. Lipartia Z. “Administration of Accounting and Financial Audit in Georgia, Tbilisi - 2017, Monograph, Georgian Technical University;

2. The Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing;

3. International Audit Standard 220 - “Financial Reporting Audit Quality Control”;

4. L. Chumburidze, Regulation of Accounting and Auditing (By Edition of Professor Z. Lipartia), Tb. 2014-274 p.

5. The Order of the Head of the Accounting, Reporting and Auditing Supervision Service(SARAS) N-9, 12.07.2017 - “On the Rules for Monitoring the Quality Control System Monitoring”.

6. https://saras.gov.ge;

7. https://reportal.ge/;

8. www.matsne.gov.ge.

MONITORING THE QUALITY CONTROL OF FINANCIAL REPORTING AND ASSURANCE SERVICES IN GEORGIA

***Mariam* Pitskhelauri**
Doctoral Student of GTU

Zurab Lipartia,
Doctor of Economics,
Professor, Scientific Supervisor

RESUME

The quality control is of particular importance for the improvement of auditing and related services. It is noteworthy that the current form of auditing in the world has been around for a century and a half, and the need to audit and control the quality of services related to it has become relevant since the 80s of last century. In modern conditions, the large part of the society in decision-making is increasingly dependent on information on which it has no control and should mainly rely on the results of audits conducted by professional auditors. The new law „on Accounting, Reporting and Auditing" introduced the quality assurance system focused on internal quality control systems for audit firms.

Key words: audit, audit quality; quality assessment, quality control; efficiency; audit standards.

COVID-19 და მსოფლიო ფინანსური ბაზრები

ხათუნა შალამბერიძე
ეად., აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ქუთაისის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

კორონავირუსის სწრაფმა გავრცელებამ (COVID-19) მთელ მსოფლიოში ფინანსურ ბაზრებზე მკვეთრი გავლენა მოახდინა. მან შექმნა მრავალმხრივი რისკების უპრეცედენტო დონე, რის შედეგადაც ინვესტორებმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს უმოკლეს დროში. COVID-19 პანდემია არამარტო გავლენას ახდენს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასა და გლობალურ ეკონომიკაზე, ის ასევე, ფინანსური ბაზრების საშუალებით უკვე ავრცელებს შოკურ ტალღებს. გლობალური ეკონომიკური გავლენა ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და გამოთვლილი, თუმცა, მსოფლიო ფინანსური ბაზრები უკვე საკმაო დრამატული პროცესის წინაშე აღმოჩნდნენ.

ის თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიო ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე (რამდენად შორს და რა სისწრაფით გავრცელდება ვირუსი, ან საბოლოოდ რა ვადებში დამარცხდება ის), ვაქცინის შექმნის ვადებსა და ცალკეული ქვეყნების უნარსა და სურვილზე იმოქმედონ ეფექტურად. მოცემული ცვლადების გათვალისწინებით ზუსტი პროგნოზების გაკეთება, ფაქტობრივად შეუძლებელია. მაგალითად, თებერვალში გაკეთებული პროგნოზები, მარტში უკვე მნიშვნელოვნად შეიცვალა და უფრო პესიმისტური გახდა. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები პანდემიის გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე არაერთგვაროვნად აფასებენ. თუმცა, მეტი სიცხადეა მსოფლიო ფინანსური ბაზრების მიმართულებით კვლევებსა და მიღებულ ფინანსურ შედეგებში.

საკვანძო სიტყვები: COVID-19 პანდემია და მსოფლიო; ფინანსური ბაზრების ახალი გამოწვევა; პანდემია - მსოფლიო ფინანსური ბაზრების მიმართულება.

შესავალი

იმისათვის, რომ გავერკვეთ რა ხდება დღეს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ მსოფლიოს ფინანსური ბაზრების ამჟამინდელი მდგომარეობა. 2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) ოფიციალურად გამოაცხადა კორონავირუსის (COVID-19) გამოყოფა, როგორც გლობალური პანდემია. 2020 წლის მაისის მდგომარეობით დადასტურებული შემთხვევების რაოდენობამ 5 მლნ-ს გადააჭარბა და ის კვლავ იზრდება (WHO, 2020). დაზარალებულია 180-ზე მეტი ქვეყანა, სადაც აშშ-ს ყველაზე მეტი დადასტურებული შემთხვევები აქვს.[1] რადგანაც ბევრმა ქვეყანამ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით შეიმუშავა (პირველ ეტაპზე) მკაცრი საკარანტინო პოლიტიკა, ბუნებრივია ამას მოჰყვა გლობალურად ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვნი წილის შეზღუდვა. პანდემიის მოულოდნელმა და საკმაოდ გრძელვადიანმა დაპაუზებამ გამოიწვია მასობრივი უმუშევრობა და ბიზნესის დიდი ნაწილის გაჩერება. COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის კორონა ვირუსი რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც. ინფიცირებულთა მზარდმა რაოდენობამ და ვირუსის გავრცელების უპრეცედენტოდ ფართო არეალმა 2019 წლის მიწურულს ვუჰანში გაჩენილი ვირუსი სულ რამდენიმე თვეში პანდემიად აქცია. მსოფლიო ეკონომიკაზე სტარტად აღებული COVID-19-ის ნეგატიური ეფექტი, სამწუხაროდ ახლა უკვე შეუქცევადი მოცემულობაა.[2]

1 წყარო:https://coronavirus.jhu.edu/

2 წყარო:http://eprc.ge/uploads/brosh/COVID_fin-geo.pdf

ძირითადი ტექსტი

მიუხედავად იმისა, რომ გლობალური ეკონომიკური გავლენა ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, ფინანსურმა ბაზრებმა უკვე პირველი გლობალური დარტყმები მიიღეს, რაც დრამატულად აისახა მათზე. 2020 წლის მარტში აშშ-ს საფონდო ბირჟამ ათ დღეში ოთხჯერ შეაჩერა საქმიანობა. ეს უპრეცენდენტო შემთხვევა იყო ქვეყნის ისტორიაში. ამერიკის შეერთებულ შტატების საფონდო ბირჟების კრახთან ერთად, ევროპისა და აზიის საფონდო ბირჟებმაც არანაკლები კრახი განიცადეს: 2020 წლის 12 მარტს FTSE - დიდი ბრიტანეთის მთავარი ინდექსი 10%-ზე მეტით დაეცა. იაპონიის საფონდო ბირჟა 20%-ზე მეტით დაეცა, როცა 2019 წლის დეკემბერში მას საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურმა ბანკებმა და ხელისუფლებამ დაუყოვნებლად გამოეხმაურნენ ამ რთულ მდგომარეობას და იმოქმედეს: საბაზრო ინსტრუმენტების პოლიტიკა გააქტიურეს. მაგალითად, 2020 წლის 15 მარტს ფედერალურმა რეზერვმა (FED) გამოაცხადა ნულოვანი საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკა და მინიმუმ 700 მილიარდი დოლარის რაოდენობრივი შეღავათის პროგრამა (QE). ბაზარზე გატარებული აღნიშნული პოლიტიკის უარყოფითი პასუხის შემდეგ, FED-მა გამოაცხადა QE შეუზღუდავი პოლიტიკა რვა დღის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს საფონდო ბირჟებმა დაიწყეს უკან დაბრუნება, დიდი გაურკვევლობა რჩება, რადგანაც საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულა პანდემიის დაძლევის ძირითადი მიმართულებები.[1]

საინტერესოა საფონდო ბირჟის რისკებსა და COVID-19-ს განვითარებას შორის ურთიერთობების ასახვა. დადასტურებული შემთხვევების პირველ ათეულში შემავალი ქვეყნები შეარჩიეს (2020 წლის 27 მარტის მონაცემებით) იაპონიასთან, კორეასა და სინგაპურთან ერთად. ერთად, ამ ქვეყნებს ჰქონდათ 466,693 შემთხვევა. მათ ყველას აქვთ კარგად განვითარებული საფონდო ბაზრები. საბაზრო რისკი გამოითვლება ყოველდღიური ანაზღაურების სტანდარტული გადახრების გამოყენებით.

1 **წყარო: https://www.bbc.com/news/business-51829852**

WHO-მა გამოაცხადა PHEIC სტატუსი ჩინეთში, 2020 წლის 30 იანვარს, ამიტომ მოცემულ ანალიზში მხოლოდ თებერვალი და მარტი განიხილება. თებერვლის უმეტესი პერიოდის განმავლობაში, ჩინეთი იყო დაავადების გავრცელების ცენტრი. მართალია, ჩინეთი ვირუსს უკვე მარტის დასაწყისიდან შედარებით წარმატებით უმკლავდებოდა, თუმცა ევროპასა და აშშ-ში სწრაფად დაიწყო დადასტურებულმა შემთხვევებმა გავრცელება. სტატისტიკამ დაადასტურა, რომ პანდემიამ ძლიერი გავლენა მოახდინა საფონდო ბირჟებზე. ყველა ქვეყნის რისკის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა, საშუალო თებერვლიდან 0,0071-დან, მარტის თვეში 0.0196 – დან.[1] ამგვარი დრამატული რყევების გამო უბრალოდ ვერ ხერხდებოდა გრძელვადიანი გათვლების გაკეთება. უიმედო განწყობებმა უარყოფითი როლი შეასრულა ბაზრის სტაბილურობაში. პასუხი ამ არასტაბილურ სიტუაციებზე შეიძლება იყოს გაძლიერებული სოციალური ქსელების დახმარებით, რაც ხელს უწყობს სავაჭრო საქმიანობის გააქტიურებას.

გასაკვირი არ არის, რომ ჩინეთს თებერვალში ჰქონდა სტანდარტული გადახრის მაღალი დონე, ხოლო ყველაზე დაბალი - მარტში. აშშ-ს ბაზრის არამდგრადობა ყველაზე მეტად გაიზარდა, მარტში სტანდარტული გადახრის დონე თითქმის ოთხჯერ აღემატება თებერვალს. საინტერესოა, რომ სტანდარტული გადახრის რეიტინგი მარტში, უხეშად შეესაბამება დადასტურებული საქმეების რეიტინგს (ჩინეთის გამოკლებით). ნათელია, რომ გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე, პანდემიამ დიდი რისკი და გაურკვევლობა გამოიწვია. ევროკავშირიდან აშშ-ში ვიზიტორთა შეზღუდვები იწვევს ზრდის მოლოდინების მკვეთრ გაუარესებას და კიდევ ერთხელ მოჰყვება ეროვნული საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. 18 მარტის მდგომარეობით, მომავალი წლის შესახებ დივიდენდების ზრდა შემცირებულია 28% -ით S&P 500 და ევრო Stoxx 50-ისთვის 25% -ით. მომავალი წლის მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი შემცირებულია 2.6% -ით,

1 წყარო:https://www.investing.com/news/stock-market-news/wall-street-drifts-lower-on-weak-labor-data-

როგორც აშშ-სა, ასევე ევროკავშირში. ეს შეფასებები ემყარება პროგნოზირების მოდელს, რომელიც შეფასებულია ისტორიული მონაცემების გამოყენებით.[1] გლობალური ჯანმრთელობის კრიზისის პირობებში, უნდა ველოდოთ არამარტო საფონდო ბირჟებზე ქვეყნების სპეციფიკური რისკების ზრდას, არამედ სისტემური რისკების ზრდასაც. აშკარაა, რომ მთელს მსოფლიოში ინვესტორებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ აშშ-ს 0%-იანი საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკის შესახებ. მდგომარეობის არასტაბილურობის განცდას ხელს უწყობს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ფინანსურ სექტორში გრძელვადიანი სამოქმედო პოლიტიკის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. ბუნებრივია, ეს ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე სტაბილურობის განცდას და კაპიტალის სხვა რეჟიმზე გადართვას, ნაკლები სპეციფიური თუ სისტემური რისკების თავიდან არიდების ჩათვლით.

საინტერესოა, რომ ჯანმო-ს მიერ გამოცხადებული პანდემიის გამოცხადების შემდეგ ქვეყნების მიერ ფინანსურ ბაზრებზე აქტიურობის ორი ძირითადი მიმართულება იკვეთება: პანდემიის გამოცხადებამდე პერიოდი და პანდემიის გამოცხადების შემდგომი პერიოდი. მაგალითად, აშშ და ევროპული საფონდო ბირჟები ორივე შემთხვევაში მაღალ კორელაციებს ინარჩუნებენ, აზიის ოთხი ბირჟა საკმაოდ განსხვავებულად იქცევა. მხოლოდ ჩინეთი რჩება გარკვეულწილად იზოლირებული დანარჩენი სამყაროდან. ასევე, მთელი აზიის ჯგუფი, ევროპა-ამერიკული ჯგუფიდან გადის. სამხრეთ კორეა აქტიურად შევიდა კორელაციაში ჩინეთთან და სინგაპურთან. თუ გავიხსენებთ 2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისს, მაშინ სწორედ სისტემური რისკების დროულმა და სწორად გათვლილმა პოლიტიკამ საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა ამ კრიზისის დაძლევაში. მთავარია, ინვესტორთა პანიკა არამხოლოდ მოკლევადიანი პერიოდისათვის იყოს დაძლეული, არამედ მან იმოქმედოს გრძელვადიან პერიოდზეც. კორონავირუსმა დიდი გავლენა იქონია ფინანსურ

1 **წყარო: https://voxeu.org/article/coronavirus-impact-stock-prices-and-growth-expectations**

ბაზრებზე. ვირუსის გავრცელების არეალის გაფართოებასთან ერთად, არაერთი კომპანიის ფასიანი ქაღალდების ფასმა დაიწყო დაცემა. ბლუმბერგის მონაცემების თანახმად, თებერვლიდან თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა ინდექსმა იწყო ვარდნა.

კაპიტალის ბაზრები ევროკავშირსა და აშშ-ში შემცირდა, რაც 30%-ით ამ კლების ინტერპრეტაციისთვის სასარგებლოა გავიხსენოთ, რომ საფონდო ბირჟის ღირებულება ტოლია ყველა მომავალი დივიდენდის დისკონტირებული ღირებულების ჯამისა. იმისათვის, რომ საფონდო ბირჟა 30%-ით შემცირდეს მხოლოდ ზრდის განახლებული მოლოდინების გამო, მომავალი დივიდენდების შოკი დიდი და მკაცრი უნდა იყოს. ამაში დასარწმუნებლად, შეგვიძლია შევაჯამოთ დივიდენდების ფასები პირველი ათი წლის განმავლობაში. აღმოვაჩენთ, რომ ეს ბირჟის ღირებულების დაახლოებით 20%-ს შეადგენს. ეს გულისხმობს, რომ თუ ფასდაკლების განაკვეთები არ მოძრაობს და დივიდენდზე ეკონომიკური ზეგავლენა არ უნდა გაგრძელდეს ათ წელზე მეტ ხანს, საფონდო ბირჟაზე 30%-იანი შემცირება ნიშნავს, რომ ფირმები არ იხდიან დივიდენდებს უახლოეს ათ წელიწადში. ეს კი საკმაოდ არასასურველი მდგომარეობაა და არ არის სწორი გზა საფონდო ბირჟებზე ცვლილებების მოსახდენად. როგორც ვიცით, საფონდო ბირჟის ღირებულებების ცვალებადობის უმეტესი ნაწილი განპირობებულია მოსალოდნელი ანაზღაურების ცვლილებებით და არა მომსალოდნელი ზრდის ტემპებით. ამ ფორმის ანალიზს აქვს ორი შედეგი დადებითი და უარყოფითი. დადებითია ის რომ, ინვესტორების მოლოდინი განსაკუთრებულად არ შემცირებულა. ისინი, როგორც ადრე კვლავ აქტიურად მონაწილეობენ. უარყოფითია ის რომ, ჩვენ ცოტა რამ ვიცით მომავალი ზრდის მოლოდინების შესახებ საფონდო ბირჟის მინიშნებებიდან გამომდინარე.

BBC-ის თანახად, The Dow Jones და FTSE-ს მსგავსი დღიური ვარდნა არ განუცდიათ 1987 წლის შემდეგ. საპასუხოდ, რიგი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა (მათ შორის აშშ-ს და გაერთიანებული სამეფოს) დაიწყეს საპროცენტო განაკვეთების შემცირება, ერთობლივი მოთხოვნის გაზრდისა და ეკონომი-

კის წახალისებისათვის.[1] კორონავირუსის გავრცელებასთან ერთად, დაეცა ნავთობის ფასიც და მიაღწია ყველაზე დაბალ ნიშნულს 2001 წლის ივნისის შემდეგ. ჩინეთის ჩაკეტვამ, რაც ნიშნავს, რომ მსოფლიოს ყველაზე დიდ იმპორტიორს, რომელიც ჩვეულებრივ მოიხმარს დაახლოებით 14 მილიონ ბარელს დღეში, დასჭირდება გაცილებით ნაკლები ნავთობი (ვინაიდან შეზღუდულია ყველა ტიპის ტრანსპორტის გადაადგილება), გამოიწვია ინვესტორებში შიში, რომ ვირუსის გავრცელებასთან ერთად მსოფლიო ეკონომიკური ზრდა შენელდება და ნავთობზე მოთხოვნა შემცირდება.[2] კრიზისის დროს, ინვესტორები ხშირად ირჩევენ ნაკლებად სარისკო ინვესტიციებს. ოქრო ტრადიციულად ითვლება "უსაფრთხო თავშესაფარად" ინვესტორთათვის გაურკვევლობის დროს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მარტამდე ოქროს ფასი იზრდებოდა, კორონავირუსის ფართო გავრცელებამ ინვესტორებში გლობალური რეცესიის შიში გამოიწვია და ოქროს ფასიც კი დაეცა.[3]

დასკვნები

საფონდო ბირჟებისა და ზოგადად ფინანსური ბაზრების სტატისტიკურმა ანალიზმა დაგვანახა, რომ COVID-19 პანდემიის გავლენა მართლაც გლობალურია. ვირუსმა უკვე დაღუპა ათასობით ადამიანი და მნიშვნელოვანი გამოწვევები მოუტანა მსოფლიოს ყველა ქვეყნას. ფინანსურმა ბაზრებმა ეს დრამატული მოძრაობა უპრეცედენტო მასშტაბებით იხილეს. არსებული შედეგები აჩვენებს, რომ გლობალური ფინანსური ბაზრის რისკები მნიშვნელოვნად გაიზარდა პანდემიის საპასუხოდ. ინდივიდუალური საფონდო ბირჟის რეაქციები აშკარად არის დაკავშირებული თითოეულ ქვეყანაში მიმდინარე დაავადებათა სიმძიმესთან, ქვეყნის განვითარების დონესა და სხვა მრავალ ფაქტორთან. პანდემიის და მისი ამ სეგმენტში მოულოდნელმა,

1 **წყარო: investing.com**

2 **წყარო: Bloomberg, BBC**

3 **წყარო: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136006/%E1%83%99%E1%83%9D**

გაურკვეველმა და უარყოფითმა ჩარევამ თითქმის ყველა ქვეყანას არამხოლოდ ეკონომიკური ზარალი მოუტანა, არამედ, ფინანსური ბაზრების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არასტაბილური და არამდგრადი პოზიციების გამოვლენა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს გარკვეული მინიშნებები: უპირველესად საჭიროა თითოეული ქვეყანა აქტიურად ჩაერთოს პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში; ოპტიმალურად მოხდეს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ აქტიური და დროული ფინანსური დახმარებები; მნიშვნელოვანია ქვეყნებმა შეძლონ შეიმუშაონ ერთიანი ხედვა მსოფლიო მოსალოდნელი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის თავიდან ასაცილებლად, თავიდან იქნეს არიდებული ის სავალალო შედეგები, რაც შეიძლება მივიღოთ მომატებული ღრმა კრიზისების შედეგის მსოფლიო გლობალური კრიზისის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. S. Ramelli, A.F. Wagner-Feverish Stock Price Reactions to COVID-19. Swiss Finance Institute (2020) Research Paper, (20-12);

2. P. Tillman-Unconventional monetary policy and the spillovers to emerging markets. J. Int. Money Finance, 66 (2016), pp. 136-156
http://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf

3. Gormsen, N J and R S J Koijen (2020), "Coronavirus: Impact on Stock Prices and Growth Expectations", Working Paper, University of Chicago Booth School of Business.

4. საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი: „კორონავირუსის შესაძლო გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ქვეყნებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით". 2.04.2020 წ.

5. Forbes საქართველო, რ. გერაძე „კორონავირუსის ეკონომიკური შედეგები", 26.02. 2020 წ.

6. Research Center of the Parliament of Georgia: "Possible Impact of Coronavirus on the World Economy by Countries and Economics". 2.04.2020.

7. Forbes Georgia, R. Geradze "Economic Consequences of Coronavirus", 26.02. 2020

8. https://www.bloomberg.com/europe
9. www.matsne.gov.ge

REFERENCES:

1. S. Ramelli, A.F. Wagner-Feverish Stock Price Reactions to COVID-19. Swiss Finance Institute (2020) Research Paper, (20-12);

2. P. Tillman-Unconventional monetary policy and the spillovers to emerging markets. J. Int. Money Finance, 66 (2016), pp. 136-156
http://eprc.ge/uploads/brosh/COVID_fin-geo.pdf

3. Gormsen, N J and R S J Koijen (2020), "Coronavirus: Impact on Stock Prices and Growth Expectations", Working Paper, University of Chicago Booth School of Business.

4. Research Center of the Parliament of Georgia: "Possible Impact of Coronavirus on the World Economy by Countries and Economics". 2.04.2020.

5. Forbes Georgia, R. Geradze "Economic Consequences of Coronavirus", 26.02. 2020

6. Research Center of the Parliament of Georgia: "Possible Impact of Coronavirus on the World Economy by Countries and Economics". 2.04.2020.

7. Forbes Georgia, R. Geradze "Economic Consequences of Coronavirus", 26.02. 2020

8. https://www.bloomberg.com/europe

9. www.matsne.gov.ge

COVID-19 AND GLOBAL FINANCIAL MARKETS

Khatuna Shalamberidze
Academic Doctor of Economics,
ATSU, Kutaisi University,
Associated Professor

RESUME

The rapid spread of coronavirus (COVID-19) has had a strong impact on financial markets around the world. This created an unprecedented level of multifaceted risks, as a result of which investors suffered significant losses in the shortest possible time. The COVID-19 pandemic affects not only people's daily lives and the global economy, but also shock waves in financial markets. The global economic influence has not yet been studied and calculated, but the global financial markets have already faced a rather dramatic process.

The impact COVID-19 will have on the global economy will largely depend on the trends in the spread of the virus (how far and how fast the virus will spread, or how long it will last), the timing of vaccination, and the ability and willingness of individual countries to act effectively. It is almost impossible to make accurate forecasts with given variables. For example, forecasts for February in March have already changed significantly and become more pessimistic. The studies and reports prepared by the international organizations assess the impact of the pandemic on the global economy. However, there is more clarity in studies of global financial markets and the financial results obtained.

Key words: COVID-19 pandemic and the world; A new challenge for financial markets; Pandemic - Direction of global financial markets.

MARKETING OF LAND RESOURCES AND THEIR EFFECTIVE USAGE IN THE CONSUMER MARKET (BASED ON THE EXAMPLE OF IMERETI REGION)

Nargiza Karkashadze
Kutaisi Akaki Tsereteli State University (Georgia),
Doctor of Economics; Associate Professor;

Nana Benidze
Kutaisi Akaki Tsereteli State University (Georgia),
Doctor of Economics; Associate Professor;

"Whoever brought two grains there, before only one grain came, does the utmost service to mankind."

Ilia Chavchavadze

INTRODUCTION

The problems of effective use of land resources in the transition to a market economy of Georgia occupy a central place not only in the theory and practice of agricultural development, but also in the overall development strategy of the country. The organizational-economic problems of land usage should be considered in terms of achieving the appropriate effect on the single area and by ensuring the country's food security. At the same time, it is especially important for Georgia to perfect the quality of the use of land resources in the regions by its constant improvement, and thus to maintain the integrity of the national economy in exceptional natural-climatic conditions.

Marketing of Land Resources is a fairly broad area that covers a large number of local issues related to the use of marketing technol-

ogy at the regional level, including the issue of the resource management of the region's land.

Nowadays, land is one of the main sources of attracting the investment in the region. That is why, the greatest attention is paid to land issues at all levels of government, laws are being adopted, such as the Law of Georgia on "Land Use Planning and Sustainable Agricultural Land Management", which aims at ensuring rational land use and protection, promoting land market and land balance development,etc.

Land is one of the main national treasures that needs special care and protection, almost half of Georgia's natural wealth comes from land. But for the last ten years, Georgia's significant land resources have been sold to foreign nationals on a quite a long term use. Which is the wrong attitude of the state to this fact. Land resources occupy a special place in human life and work, that is why we should protect every inch of it. When exposed to earth, a person uses its chemical, physical, and biological properties. Thus, the final result of labor in the agriculture- the crop, depends on the thickness of the fertile layer of the soil, its mechanical ingredients and on the presence of chemicals.

Georgia is a mountainous country, with only 46% of the country's valley . Here the land resources are characterized by high level of agricultural use and by natural productivity of the agricultural land.

Key words: Land Resource, Land Efficiency, Land Resource Marketing

METHODOLOGY OF RESEARCH AND MATERIALS

The usage of agricultural land is constantly changing. The transformation of the agricultural land structure and their quality is caused by acquisition of new lands, active land, reclaiming activities and more. The purpose of our research is to study how effectively land resources are used in the Imereti region. We use both primary and secondary information for the study. Initial information is obtained through field surveys and online surveys, based on the analy-

sis we develop recommendations and suggestions that will play an important role in rational use of land resources.

DISCUSSIONS AND RESULTS

The total area of agricultural land in Georgia is 3025.8 thousand hectares, which is 39.7% of the total area. As for Imereti region, its land covers 65737 hectares, which makes up 85% (77191 hectares) of the total area [1]. In terms of usage, the territory of Georgia can be divided into three parts:

1. The agricultural area -15.8%;
2. Natural-agricultural area -70.6% (forest, bushes, grassland);
3. Unused land in agriculture - 13.6%.

The efficiency of land use in agriculture is characterized by a system of natural, cost, and land-use indices that are divided into main and additional. The main natural indicator of effective land use is: productivity of agricultural crops and production calculated on 100 hectares of basic crops (wheat, sugar beets, potatoes, etc.) In this respect, the beans, garden and corn yields in the Imereti region in 2016-2018 are as follows (see Table 1):

Table 1

Productivity of Garden Yields, Maize and beans in 2016-2018

Name	Dimension	2016	2017	2018
Beans	t/ha	0,7	0,5	0,6
Garden Yields	t/ha	10,9	19,5	18,3
Maize	t/ha	2,01	1,1	1,6

The income from the sale of agricultural products in the Imereti region during the last 2016-2018 also is of vital importance (see Table 2). As for the production of agricultural products in the Imereti region according to 2016-2018 [3], is the following (see Table 3.)

Table 2

Revenues from sale of agricultural products in 2011-2018 (GEL million)

Name	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
Imereti Racha-Lechkhumi and Kvemo (Lower) Svaneti	6,3	8,5	9,3	11,0	9,0	9,7	7,6	8,3

Table 3

Production of agricultural products in Imereti region in 2016-2018 (Thousand tons)

Name	2016	2017	2018
Maize	53,9	27,7	32,5
fruit	11,8	11,2	11,2
Seeded Fruit	3,0	3,0	3,5
Stone- Fruit	2,9	3,4	4,1
Garden Yields	8,2	14,4	13,2

The increasing production of agricultural products can only be successfully accomplished by a significant growth in the effective use of land resources. In modern conditions this is gaining special relevance.

The key role in promoting effective land use lies with the state, which must develop and implement targeted programs for effective and rational land use. Reduction of land areas and inappropri-

ate use should not be allowed. Public authorities should promote a change in the overall economic conditions that create the basis for the expansion and intensification of agricultural production again. In this regard, the Chamber of Commerce of Georgia has developed and implemented various programs for effective use of land in both rural and urban areas, in particular:

• UNDP Rural Development Program with 50% funding.

• Mechanization support program, with 50% financing for harvesting and 30% for combine processing;

• Financing of processing and savings enterprises - Preferential agro credit - 50% grant financing, 50% benefits;

• Purchase of seedlings within the future program is funded by 70%,irrigation system- by 50%, planting- by 10 %;

• Greenhouse clusters have been created in the Imereti region to help the increase of export potential.

It should be noted that 8500 ha of land is currently cultivated under the Program "Plan the Future", and today the planting of various seedlings continues.

The problem of raising land use efficiency has always been a pressing issue. But when it comes to market relations, it takes on special significance. The analysis shows that due to the improper use of part of the land resources, their productivity is low, this prevents people from raising their standard of living. This is reflected in their employment, which amounted to 60.3% in Imereti region in 2018, while the unemployment rate in the urban-rural area in 2005-2018 is as follows: (figure 1). It should also be noted that according to statistics, the major part of the population below the poverty line in Georgia, according to 2018 data, comes to the village - 23.1%. In the city this rate is -18% [4].

For the last five years, 142.2 thousand inhabitants of Imereti, most of whom were highly qualified specialists, left the village for searching the jobs. This indicates the fact that if the village is emptied, the land will remain unprocessed. Residents of the Imereti region should make reasonable use of the above-mentioned programs

offered by the state, this will contribute to raising the level of their economic well-being as well as enhancing the living standards of the region's population.

In view of the above, it is important to focus on the following issues in the study:

- How the population of Imereti region uses the land;
- How profitable their labor is;
- Which region's lands are most productive and cultivated;
- What hinders the cultivation of land.

We surveyed 72 respondents, of whom 36.4% were male and 63.6% female. The respondents were divided according to age: 18-35 years -3,5%, 36-50 years -9.1%, 51-65 years -72.7%, above 66 -18.2% . According to the survey, 63.6% of the respondents have land in the city and 45.5%- in the village. When asked if the respondents are fully using the land under their jurisdiction, 9.1% of respondents answered yes, 36.4%- partially, 54.5% answered no. Information related to the crop that respondents bring from their plots is also of significant importance. As it is shown in the survey, cereals account for -20%, vegetables -60%, fruits -60%, grapes -50%. Respondents' views on the proposals, that the state needs to follow, are also important. After the study the following key recommendations were identified.

Fig 1. Unemployment rate in the urban-rural area



CONCLUSIONS AND PROPOSALS

1. To assist both rural and urban population in purchasing toxic chemicals and cultivating land;

2. Complex measures should be taken, both in terms of the state legislative and normative basis, as well as in terms of increasing employment interest in rural areas and the cost-effectiveness of activities; Although some work is already being done by the state on these issues, it may not be enough, most people in the community need to be aware of the state programs mentioned above in order to increase population engagement.

However, there are important reasons, which the respondents pointed out about the uncultivated land. These include:

1. The number of tractors is not enough and available ones are too expensive.

2. Impoverishment, lack of equipment, massive diseases that destroy the crop. This needs more attention from the state;

3. Lack of time and low profitability;

It has to be noted that 20% of the respondents surveyed think that their work is profitable, while 78% think it is partly profitable, 2% think it is not profitable. As mentioned above the districts of Imereti region are distinguished by different terrain. In this regard, after analyzing the results of the survey, the data were distributed as follows: Baghdati -54.5%, Terjola -45.5%, Vani-Tskaltubo -27.3%, Zestafoni-Samtredia -18.2%, Tkibuli -9.1%.

In addition to the above information, the opinions of the respondents, related to the cultivation of the exploitable land areas, are really important and we can distinguish some of them:

1. The state should assist landowners in providing fertilizer and irrigation resources;

2. An appropriate institutional environment should be created.

3. To promote the acquisition of equipment, irrigation canals, land cultivation grants;

Finally, I would like to quote Emmanuel Kant and Robert Brown-

ing: " Young man, love work, reject the pleasure not because they were denied forever, but because they were more in perspectives! Do not subdue their perceptions with endless pleasures"(Emmanuel Kant) and" Labor is the duty of a man to get the earth closer to heaven according to labor opportunities "(Robert Browning).

REFERENCES:

1. Land Resources, Statistical Publication 2018, Page 14, https://www.geostat.ge/media/28027/saqartvelos_bunebrivi_resursebi_da_garemos_dacva_2018.pdf)

2. Agriculture and Food Security, National Statistics Office of Georgia (2018) https://www.geostat.ge/ka/modules/categories/70/soflis-meurneoba-da-sasursato-usafrtkhoeba

3. Regional statistics, National Statistics Office of Georgia (2018), https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika

4. http://www.gcci.ge/

მიწის რესურსების მარკეტინგი და მისი ეფექტური გამოყენება სამომხმარებლო ბაზარზე (იმერეთის რეგიონის მაგალითზე)

ნარგიზა ქარქაშაძე,
აწსუ ასოცირებული პროფესორი
ნანა ბენიძე,
აწსუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

გადმოცემულია საქართველოში მიწის რესურსებთან და თავად მიწის ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები და პერსპექტივები. ასევე განხილულია მიწა როგორც საინვესტიციო რესურსების მოზიდვის ერთ-ერთი წყარო.

უდიდესი ყურადღება ეთმობა კვლევის მასალებს და მეთო-

დოლოგიას, დასაბუთებულია მიწის რაციონალური გამოყენების უდიდესი მნიშვნელობა როგორც რეგიონისათვის, ისე მისი თითოეული მაცხოვრებლისათვის, აღნიშნულია, რომ მიწა ის ერთადერთი რესურსია, რომლისგანაც მოსავალს ვიღებთ გაწეული შრომის სანაცვლოდ. მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები სოფლის მეურნეობის პროდუქტების რაოდენობის შესახებ რეგიონში 2016–2018 წწ..

საკვანძო სიტყვები: მიწის რესურსი, მიწის ეფექტიანობა, მიწის რესურსების მარკეტინგი.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემის დანერგვის აუცილებლობა საწარმოებისათვის

დეზდემონა მაღლაკელიძე,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ნათელა ვაშაკიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დიანა უგლავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

რეზიუმე

განხილულია ფაქტორები, თუ რამ გამოიწვია დღეისათვის საწარმოებში მმართველობითი აღრიცხვისადმი ინტერესის გაღვივება, მმართველობითი აღრიცხვის სისტემის დანერგვისას ვინ უნდა იყოს დაკავებული მმართველობითი აღრიცხვით და საჭიროა თუ არა ახალი სტრუქტურის შექმნა. ცნობილია, რომ აღრიცხვა მიეკუთვნება საწარმოთა მართვის ერთ-ერთ უძველეს ფუნქციათა რიცხვს. ამასთან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, კომერციული საიდუმლოების შემოღებამ მრავალ სააღრიცხვო მაჩვენებელზე აჩვენა იმის აუცილებლობა, რომ ბუღალტრული აღრიცხვა გაიყოს ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვად. მმართველობითმა აღრიცხვამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს შიგა ინფორმაციის მიღება, რომელიც საჭიროა საწარმოს მართვისათვის, როგორებიცაა: პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულების

გაანგარიშება და მისი კონტროლი, პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შედეგების გაანგარიშება და სხვა. მმართველობითი აღრიცხვის საჭიროებას აყენებს საწარმოთა მართვის ახალი სისტემების შემოღება და დანერგვა, რომლითაც რთულდება მართვა, რადგან იქმნება საინფორმაციო ბუმი. მენეჯერისათვის საჭირო ინფორმაციის გამორჩევა მნიშვნელოვანია და საკმაოდ რთული. სწორედ ამიტომ საქართველოშიც აუცილებელია დანერგონ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიებისათვის დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება, კერძოდ მმართველობითი აღრიცხვა. ასევე ბიზნეს-პროცესების ხარისხიანი ორგანიზებისათვის აუცილებელი გახდა ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნაც, რომელიც ადრე არ ფუნქციონირებდა.

საკვანძო სიტყვები: საწარმო, ბუღალტრული აღრიცხვა, მმართველობითი აღრიცხვა, მართვა, დაგეგმვა, კონტროლი, ინფორმაცია.

შესავალი

ბუღალტერია ისეთი მეცნიერებაა, რომლისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მეურნეობრიობის სისტემას და საკუთრების ფორმებს. იგი სამეურნეო საქმიანობის სარკედ ითვლებოდა ყოველთვის და დღესაც იგივე ფუნქციას ასრულებს, თუ გამოვრიცხავთ სოციალისტური წყობის პერიოდს, რასაც მოჰყვა ბუღალტრების გაუფასურება და მიწერებით შესრულებული გეგმების პოპულარიზაცია, რამაც დააკნინა საწარმოთა მართვის სისტემაში საბჭოთა აღრიცხვის მუშაკების როლი და ავტორიტეტი. დღესაც საქართველოში ბუღალტრის პროფესიულ კეთილსინდისიერებაზე თითქმის არავინ ლაპარაკობს, რომელიც ძლიერი გადასალახი ბარიერია, მაგრამ იმედს იძლევა ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული სხვადასხვა კანონები აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ, სამთავრობო ორგანოების, საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის ფედერაციების დამოკიდებულება აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების სპეციალისტების მომზადება განვი-

თარებისათვის. ყოველივე ესენი გადამწყვეტ სიტყვას იტყვიან საბოლოოდ ხელოვნურად გაყალბებული აღრიცხვის გასაჯანსაღებლად. ამასთან აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მკვეთრად იზრდება ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტების ეკონომიკური აზროვნების შემდგომი სრულყოფის მნიშვნელობა. ისინი კარგად უნდა ფლობდნენ ძირითად ეკონომიკურ კატეგორიებს და რაც მთავარია წარმატებით უნდა შეძლონ ეკონომიკური ცოდნის პრაქტიკული გამოყენება საწარმოთა მართვის პროცესში. ამისათვის ისინი კარგად უნდა ერკვეოდნენ ეკონომიკური საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი უბნის თავისებურებაში როგორიც არის ბუღალტრული აღრიცხვა, რომელიც ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვის ქვესისტემებად იყოფა.

ნებისმიერი საწარმო თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ცდილობს მიაღწიოს წარმოების ეფექტიანობის ზრდას, ე.ი. მიიღოს მაქსიმალური საბოლოო შედეგი მინიმალური დანახარჯებით. ეს კი აუცილებლად მოითხოვს გაწეული დანახარჯების, მიღებული შედეგების ზუსტ, რეალურ გაანგარიშებას, აღრიცხვას ყველა საამქროების, უბნების, სამუშაო ადგილების მიხედვით.

ძირითადი ტექსტი

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გასაგები ხდება თუ რატომ უნდა იყოს წარმოების ყველა მუშაკი და არა მარტო აღრიცხვის მუშაკები დაუფლებული სააღრიცხვო საქმიანობის ელემენტარულ ჩვევებს. უფრო კარგად რომ გავერკვეთ, განვიხილოთ რაში გამოიხატება ბუღალტრული აღრიცხვის როლი საწარმოთა საქმიანობის ნორმალური მიმდინარეობის თვალსაზრისით.

ყველასათვის ცნობილია, რომ ნებისმიერი საწარმო შექმნილია, რათა კონკრეტული პროდუქციის გამომუშავების ან მომსახურების გაწევის გზით დააკმაყოფილოს საზოგადოების სხვადასხვა მოთხოვნილება. ამ მიზნის განხორციელებისათ-

ვის მათ განკარგულებაში არის სათანადო შრომითი, მატერიალური, არამატერიალური და ფულადი რესურსები. პროდუქციისის წარმოებისა და მომსახურების გაწევის პროცესი მოითხოვს მომუშავეთა მოქმედების კოორდინაციას, რასაც ეწოდება საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის მართვა. ეს გულისხმობს საწარმოთა საქმიანობის დაგეგმვას, აღრიცხვას, კონტროლს, ანალიზსა და მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას. საწარმოში ეკონომიკური საქმიანობის მართვის მთლიანი ციკლი იწყება დაგეგმვით ანუ გეგმის შედგენით. გეგმა წარმოადგენს ცალკეული სამსახურების მოქმედების საფუძველს დროის გარკვეული მონაკვეთისათვის, რომელიც შეიძლება იყოს წლის, კვარტლის, თვის და ა.შ.

მართვის შემდგომ ეტაპზე აუცილებებლია მოვიპოვოთ მონაცემები საგეგმო მაჩვენებლების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, დავაწესოთ კონტროლი მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისადმი. საწამოში ხშირად ადგილი აქვს შიგა და გარე მიზეზებით გადახრებს განვითარების დაგეგმილი მონაცემებიდან. ბუღალტრული აღრიცხვა ავლენს ასეთი სახის დადებით (სასურველ) ან უარყოფით (არასასურველ) გადახრებს.

საწარმოს განვითარების წარმართვისათვის სასურველი მიმართულებით, საჭიროა შევისწავლოთ აღრიცხვის მიერ გამოვლენილი გადახრები და გამოვიკვლიოთ მათი გამომწვევი მიზეზები. ამისათვის აუცილებლად უნდა ხორციელდებოდეს სამეურნეო საქმიანობის პროცესში მიღწეული შედეგების გააზრება და ანალიზი სათანადო ხერხების მეშვეობით. აღრიცხვის მიერ გამოვლენილი გადახრების, მათი გამომწვევი მიზეზების გაანალიზების საფუძველზე საწარმოში ხორციელდება მიმდინარე საქმიანობის კორექტირება სასურველი მიმართულებით.

აღრიცხვა მიეკუთვნება მართვის ერთ-ერთ უძველეს ელემენტს. ამასთან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, კომერციული საიდუმლოების შემოღებამ მრავალ სააღრიცხვო მაჩვენებელზე აჩვენა იმის აუცილებლობა, რომ ბუღალტრული აღრიცხვა გაიყოს ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვად. დღეისათვის „ბუღალტრული აღრიცხვის ინ-

ფორმაციული სისტემა მოიცავს საგარეო, ანუ ფინანსურ აღრიცხვას და შიდა, ანუ მმართველობით (მენეჯერულ) აღრიცხვას“. [1. გვ.21]

ფინანსური აღრიცხვა ასახავს იმ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების შესადგენად. „ფინანსური აღრიცხვა, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის მთლიანი სისტემის სტრუქტურული საფუძველი წარმოადგენს აღრიცხვის ისეთ საინფორმაციო სისტემას, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა, როგორც შიდა, ასევე უპირატესად ისეთი გარე მომხმარებლებისათვის, როგორებიც არიან: აქციონერები, კრედიტორები, ინვესტორები, ფასიანი ქაღალდების ბირჟები და და ა.შ.“[2. გვ. 19]

ამრიგად, ფინანსური აღრიცხვა სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების ჩაწერის, შეფასების და ფინანსურ ანგარიშგებაში განზოგადების საშუალებას იძლევა. მისთვის დამახასიათებელია გარე მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მომზადება, ორადი ჩაწერის სისტემის გამოყენება, ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული პრინციპებისა და ნორმების სავალდებულო დაცვა, სამეურნეო მოვლენებისა და ოპერაციების ფულდი ზომის ერთეულით ასახვა, ანგარიშგების მომზადებისა პერიოდულობის დაცვა, ობიექტურობა და სიზუსტე.

რაც შეეხება მმართველობით აღრიცხვას „დღეისათვის ზუსტად არაა დადგენილი როდის წარმოიშვა ცნება „მმართველობითი აღრიცხვა“. ეს მეტად რთულია. ისტორიული მონაცემები ცხადყოფს, რომ მმართველობითი აღრიცხვის სისტემის შექმნა გამოიწვია იმის დაფიქსირების აუცილებლობამ, რომ ცნობილი გამხდარიყო კომპანიის წარმატების და წარუმატებლობის მიზეზები, რომელიც ხშირად კონფიდენციალური იყო და გარეთ, კონკურენციულ ბრძოლაში მათი საჯაროდ გამოქვეყნება გაუმართლებლად ითვლებოდა“.[3.გვ23]

მმართველობითმა აღრიცხვამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს შიგა ინფორმაციის მიღება, რომელიც საჭიროა საწა-

რმოს მართვისათვის, როგორებიცაა: პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულების გაანგარიშება და მისი კონტროლი, პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შედეგების გაანგარიშება და სხვა. აღნიშნული ინფორმაციები ხელმისაწვდომია მხოლოდ საწარმოს მენეჯერებისათვის. საწარმოების „ეკონომიკური საქმიანობის პროცესში, წარმოების ძირითადი ფინანსური მიზნის - მოგების მისაღებად, მმართველმა (მენეჯერმა) მრავალი სხვადასხვა სახის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, ამისათვის მას სჭირდება ინფორმაცია რესურსების არსებობისა და გამოყენების შესახებ, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს მმართველობითი აღრიცხვა ამზადებს“. [3. გვ. 7]

მმართველობითი აღრიცხვა უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას დაგეგმვის, მმართველობისა და კონტროლის მიზნით. „მმართველობითი აღრიცხვა სხვა არაფერია, თუ არა მმართველობის ინფორმაციული ხელშემწყობი სისტემა“.[4. გვ.9]

ისმის კითხვა დღეისათვის რამ გამოიწვია მმართველობითი აღრიცხვისადმი ინტერესის გაღვივება?

პირველი, რაც ამის საჭიროებას აყენებს, არის საწარმოთა მართვის ახალი სისტემების შემოღება და დანერგვა, რომლითაც რთულდება მართვა, რომ საბოლოოდ თავად ხდებიან უმართავები. ამიტომ „საწარმოს მართვის კოორდინირებისათვაის საჭირო გახდა განსაკუთრებული სისტემის - „მართვის მართვა“ - მმართველობითი აღრიცხვის სისტემის დანერგვა“. [4.გვ.9]. მეორე ყველა მენეჯერს კარგად მოეხსენება საინფორმაციო ბუმის შესახებ, რომლისგანაც საჭირო ინფორმაციის გამორჩევა მნიშვნელოვანია და საკმაოდ რთული. სწორედ ამიტომ დასავლეთის საწარმოების მენეჯერებმა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიებისათვის და დამუშავებისათვის დაიწყეს მმართველობითი აღრიცხვის დანერგვა. ბიზნეს-პროცესების ხარისხიანი ორგანიზებისათვის აუცილებელი გახდა ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნაც, რომელიც ადრე არ ფუნქციონირებდა.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემის დანერგვისას წამოიჭრება კითხვა, თუ ვინ უნდა იყოს დაკავებული მმართველობითი აღრიცხვით და საჭიროა თუ არა რაიმე ახალი სტრუქტურის შექმნა, მაგალითად მმართველობითი აღრიცხვის განყოფილების. აღნიშნულ კითხვებზე ცალსახა პასუხები არ არსებობს. საწარმო თვითონ ირჩევს იმ გზას, რომელიც მისთვის უფრო მისაღებია.მმართველობითი აღრიცხვის დანერგვისათვის შესაძლო გზებია:

• მისი ორგანიზება საწაროში უკვე არსებულ საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურში;

• შესაძლოა შეიქმნას ანალიტიკური ცენტრი ან სხვადასხვა ანალიტიკოსების ჯგუფი (ფინანსები, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ა.შ), რომლებიც დაკავებულნი იქნებიან მმართველობითი აღრიცხვით;

• თითოეულ ქვედანაყოფში შეირჩეს თანამშრომლები, ან თანამშრომელთა ჯგუფი, რომლებსაც თავიანთ სფეროში დაეკისრებათ პასუხისმგებლობა მმართველობითი აღრიცხვის წარმოებაზე;

• ზოგჯერ შეიძლება თანამშრომლებს ახალი ფუნქციები დაეკისროთ, უფრო სწორად, პასუხისმგებლობა გაიყოფა სამსახურებს შორის, სააღრიცხვო ობიექტების მიხედვით.

მმართველობითი აღრიცხვის ორგანიზება პროექტია, შესაბამისად, აუცილებელია, რომ პროექტს მენეჯერი ჰყავდეს, რომელსაც არ უნდა დაეკისროს მარტო პასუხისმგებლობა პროექტზე, არამედ მას მინიჭებული უნდა ჰქონდეს აუცილებელი უფლებამოსილებაც. პრაქტიკაში მმართველობითი აღრიცხვის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობას აკისრებენ ფინანსურ დირექტორს. მმართველობითი აღრიცხვის ორგანიზებისას მკაცრი პირობა უნდა იქნეს დაცული და შესრულებული - საწარმოს პირველი პირის მენეჯერის დაინტერესება და მონაწილეობა პროექტში.

ამგვარად, მმართველობითი აღრიცხვის სისტემის დანერგვისათვის საწარმოში, მიღებულია გადაწყვეტილება სტრუქტურის შეცვლის შესახებ. ოპტიმიზაციის მიზანია - გადავაქციოთ

ორგანიზაციული სტრუქტურა მართვის ნაწილად.

საწარმოში ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის მართვის პროცესში სრულყოფილი ჩართვისათვის აუცილებელია შემდეგი:

• განხორციელდეს სხვადასხვა დონის ხელმძღვანელ პირთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების სისტემის მონიტორინგი;

• ერთმანეთისაგან გამიჯნული და ნათელი უნდა იყოს კონტროლისა და ანგარიშვალდებულების პროცესის მექანიზმები;

• ზუსტად განისაზღვროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანები და პასუხისმგებლობა;

• შეიქმნას კონტროლის სისტემა, რომელიც გააკონტროლებს მაჩვენებელთა დაბალანსებულ სისტემას;

აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის პროცესში, პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ მიზნობრივი სრულყოფის კრიტერიუმები. აღნიშნულის გამო ფორმირდება ადმინისტრაციული და ფუნქციური დაქვემდებარების სტრუქტურა. ამ პროცესში საკმაოდ რთული ეტაპია პასუხისმგებლობისა და ფუნქციური ვალდებულებების სფეროების განაწილება ქვედანაყოფებსა და თანამშრომლებს შორის. ახალმა შემუშავებულმა სტუქტურამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციული ურთიერთკავშირი ქვედანაყოფებს შორის. საბოლოოდ ხელშემწყობი ფაქტორი გახდება საწარმოთა ეფექტიანობის ზრდისათვის.

საწარმოში პასუხისმგებლობისა და ფუნქციური ვალდებულებების სფეროების განაწილება ქვედანაყოფებსა და თანამშრომლებს შორის ასახულ უნდა იქნას ძირითად ორგანიზაციულ დოკუმენტებში, რომელსაც მიეკუთვნება დებულება ორგანიზაციული სტრუქტურისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ, სადაც მოცემული იქნება თანამშრომელთა ფუნქციური ვალდებულებების განაწილება. ფუნქციებისა და საქმიანობის მიმართულებების ფორმირებით იქმნება საფუძვლები ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სისტემის შესაქმნელად და მათი სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის.

დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე ბიზნესპროცესების მართვის მოთხოვნაა მენეჯერებმა წარმატებით გაართვან თავი მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. ამისათვის აუცილებელია იცოდნენ თავიანთი საწარმოს მუშაობის დეტალები, როგორიცაა წარმოების პროცესები, პროდუქციის ღირებულება, მომუშავეთა შრომისმწარმოებლურობა და სხვა. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება შესაძლებელია კარგად გამართული მმართველობითი აღრიცხვის სისტემის მეშვეობით. გამომდინარე აქედან მმართველობითი აღრიცხვა მოითხოვს პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას ინფორმაცის მომზადებისა და წარდგენისათვის საწარმოო სტრუქტურის მართვის ყველა დონის შესახებ, რომელიც მენეჯერებს დაეხმარება მართვის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების მიღებაში, დაგეგმვისა და კონტროლის საქმიანობაში საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ლიტერატურა:

1. ა.ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ.სრესელი, ზ. გოგრიჭიანი, ბუღალტრული აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, მეშვიდე შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2017;

2. დ. ჯალაღონია, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, ნაწილი I. თბილისი, 2011;

3. ი. ჭილაძე, მმართველობითი აღრიცხვა, სახელმძღვანელო, მეხუთე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2018;

4. პ. მიქაძე, მმართველობითი აღრიცხვა, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, თბილისი, 2000.

REFERENCES:

1. A. Khorava, N. Kvatashidze, N. Sreseli, Z. Gogrichiani, Accounting, Fundamentals of Accounting, Financial Accounting, 7th Edition, Tbilisi, 2017;

2. D. Jalaghonia, Accounting by International Standards, Part I. Tbilisi, 2011;

3. I. Chiladze, Managerial Accounting, Handbook, 5th Edition, Tbilisi, 2018;

4. P.Mikadze, Managerial Accounting, Georgian Federation of Professional Accountants and Auditors, Tbilisi, 2000.

THE NECESSITY OF INTRODUCING MANAGERIAL ACCOUNTING SYSTEM FOR ENTERPRISES

Dezdemona Maghlakelidze,
Akaki Tsereteli State University
Associate Professor
Natela Vashakidze
Akaki Tsereteli State University
Associate Professor
Diana Uglava
Akaki Tsereteli State University
Invited specialist
Doctor of Business Administration

RESUME

The paper discusses what has sparked interest in managerial accounting in enterprises today, who should be involved in managerial accounting when introducing a management accounting system, and whether it is necessary to create a new structure. It is known that accounting is one of the oldest functions of enterprise management. However, with the transition to a market economy, the introduction of commercial secrecy has demonstrated the need for multiple accounts to account for financial and management accounting. Management accounting must provide the internal information needed to manage an enterprise, such as: calculating and controlling the cost of products and services rendered, calculating the results of

product and service sales, and more. The introduction of management systems requires the introduction and introduction of new enterprise management systems that make it difficult to manage as an information boom is created. Determining the information needed for a manager is important and quite challenging. That is why it is necessary to introduce the experience of Western countries in Georgia to find important information, in particular, accounting. It was also necessary to create new structural subdivisions for the quality organization of business processes, which did not function before.

When introducing a management accounting system, the question arises as to who should be engaged in management accounting and whether it is necessary to create a new structure, such as a management accounting department, there are no unambiguous answers to these questions. The enterprise itself chooses the path that is more acceptable to it. Finally, management accounting information for managers is essential for proper management policies and decision-making, planning and control activities to increase the efficiency of enterprises.

Keywords: Enterprise, Accounting, Managerial Accounting, Management, Planning, Control, Information.

ქროს-მარკეტინგი, როგორც ტურისტული სფეროს ინოვაციური მარკეტინგის მენეჯმენტის ელემენტი

თეონა გრიშიკაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

მარკეტინგი განიხილულია, როგორც მენეჯმენტის ინტეგრირებული ფუნქცია, სადაც ქროს-მარკეტინგი გამოყოფილია, როგორც მარკეტინგის მენეჯმენტის შემადგენელი კომპონენტი. აგრეთვე განხილულია ქროს-მარკეტინგის შესაძლებლობები ტურიზმის დარგში და მითითებულია პირობები, რომლებიც ზრდიან პოტენციურ მომხმარებელთა დაინტერესებას ტურიზმის ინდუსტრიისათვის მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიმართ. გამოვლენილია ქროს-მარკეტინგის ძირითადი ფორმები და წარმოჩენილია ქროს-მარკეტინგის ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობის დაცვის აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგის მენეჯმენტი, ქროს-მარკეტინგი, საერთაშორისო ტურიზმი, ტექნოლოგიები.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე საქათველოს ეკონომიკის სტრუქტურაში ტურიზმის როლი ყოველწლიურად იზრდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ თანამედროვე ტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი არის:

– მსოფლიო ეკონომიკური კომპლექსის რიგი წამყვანი სექტორების შემადგენელი ნაწილი - ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით იგი მეორეს, ხოლო სამუშაო ადგილების შექმნის რაოდენობრივი თვალსაზრისით მტკიცე პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში;

– მისი ძირითადი არსის მიხედვით, ეს არის ინდუსტრია და დასაქმების სფერო;

– წარმოდგენილია, როგორც ტურისტული პროდუქტი და მომსახურება, რომელიც არ გროვდება და შეუძლებელია მისი ტრანსპორტირება (ტურიზმის წილად მოდის ყველა მომხმარებლის ხარჯების დაახლოებით 10%);

– ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ზოგჯერ ლიდერია ახალი რეგიონების ათვისების საქმეში (დღეს მსოფლიოში ყველა მეექვსე სამუშაო ადგილი ტურიზმის ორგანიზაციებისა და სტუმარმასპინძლობის დარგების მიერ არის შექმნილი, აღნიშნული დაახლოებით 3 მილიონ სამუშაო ადგილს შეადგენს);

– წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის გადანაწილების მექანიზმს იმ ქვეყნების სასარგებლოდ, რომლებიც ტურიზმის სფეროში არიან სპეციალიზირებული (თუ ფინეთის მოქალაქეები გერმანიას ეწვევიან დასასვენებლად, მაშინ მათ ამ ქვეყანაში შემოაქვთ არა მხოლოდ სხვა საწარმოო დარგებიდან მიღებული თანხების ნაწილი, არამედ ხელს უწყობენ ამ ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას);

– ტურიზმი ასევე გვევლინება, როგორც ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი მთავარი კატალიზატორი სწრაფად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში (მაგალითად, სამხრეთ კორეა, ტაილანდი);

– ხასიათდება ეფექტურობის საკმაოდ მაღალი დონით და ინვესტიციების სწრაფი უკუგებით (მსოფლიო ინვესტიციების დაახლოებით 10% მოდის ტურიზმის ინდუსტრიაზე);

– წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის ზრდის, დასაქმების, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის მატების მულტიპლიკატორს (მთელ რიგი ქვეყნებში, ტურიზმის შემოსავალი 70-დან 100%-მდე შეადგენს);

– წარმოადგენს ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეფექტურ საშუალებას, რადგან აღნიშნული ელემენტები ტურიზმის რესურსული ბაზის საფუძველს წარმოადგენენ;

– თავსებადია ადამიანების თითქმის ყველა ტიპის საქმიანობასთან და ეკონომიკის სექტორებთან, რადგან სწორედ მათი დიფერენციაცია და დისკრეტულობა უწყობს ხელს რეკრეაციული გარემოს პოტენციალის მრავალფეროვნების შექმნას, რაც იწვევს ხალხში ადგილების შეცვლისა და შემეცნების განახლების მოთხოვნილებას.

მრავალი ქვეყნისთვის საერთაშორისო ტურიზმი წარმოადგენს შემოსავლების შევსებისა და ეროვნული ეკონომიკის ზრდის ერთერთ მნიშვნელოვან წყაროს. ტურიზმის ინდუსტრიიდან მიღებული შემოსავალებს ეყრდნობა ზოგიერთი მაღალგანვითარებული ქვეყნის კეთილდღეობა, მაგალითისთვის: შვეიცარია, ავსტრია, საფრანგეთი. გარდა ამისა, საერთაშორისო ტურიზმი არის მრავალი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის სავალუტო შემოსავლის ერთერთი წყარო. მაგალითად, უცხოური ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი, საქონლისა და მომსახურების ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლის ჯამური წილში შეადგენს: ესპანეთში - 18.3%, ავსტრიაში - 11.8%, საბერძნეთში - 33.6%, პორტუგალიაში - 14.9 %, კვიპროსზე - 53%. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში საქონლისა და მომსახურების ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლის 10-15% უცხოური ტურიზმის წილად მოდის ინდოეთში, ეგვიპტეში, პერუში, პარაგვაიში, კოსტა რიკაში.

თუ გავითვალისწინებთ 2013-2019 წლებში საქართველოში შექმნილ ვითარებას, როდესაც ლარი ევროსა და დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაუფასურდა და შედეგად ტურისტული ტურები გაძვირდა, ევროპაში მოგაზურობაზე მოთხოვნა 20-30%-ით შემცირდა, ხოლო პოტენციური მომხმარებლების რაოდენობა ყოველდღე განაგრძობს კლებას. შედეგად, ტურიზმის ინდუსტრიის რენტაბელობა უკიდურესად მცირეა - 2-5%. აქედან გამომდინარე, ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციის ძველი მეთოდები ნაკლებად ეფექტურია, ხოლო ფინანსურმა კრიზისმა მთლიანად დააკნინა მათი უპირატესობები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოიძებნოს დარგის წინსვლის ალტერნატიული გზები.

ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციის ერთ-ერთი მეთოდია ქროს-მარკეტინგი. ქროს-მარკეტინგი არის მოქმედებების მთელი სისტემა, რომლითაც მომხმარებლებს ერთდროულად მრავალი მიმართულებიდან მოიზიდავენ. მარკეტინგში წინსვლის ახალი გზა გამოჩნდა თანამედროვე ბაზრის სხვადასხვა სახის საქონლითა და მომსახურებით გაჯერების პირობებში.

ქროს-მარკეტინგული ტექნოლოგიები არახალია. ქროს-მარკეტინგის ან ქროს-პრომოუშენის ცნება საუკუნეების განმავლობაში არსებობს. ამის მაგალითია ნებისმიერი ჯვაროსნული ლაშქრობა ან თუნდაც ამერიკის აღმოჩენა. საბჭოთა პერიოდშიც შეგვიძლია მაგალითების მოძიება: ჩვენ უბრალოდ გადატვირთულები ვიყავით ქროს-პრომოუშენის გამოყენების შეთავაზებებით: თუ გვსურდა პოპულარული ჟურნალების „ცისკარი“ ან „ლიტერატურული საქართველო“, უნდა გამოგვეწერა გაზეთები „კომუნისტი“ ან „იზვესტია“.

სინამდვილეში, ქროს-მარკეტინგი არის ძალიან ეფექტური და პოპულარული ინსტრუმენტი კომპლექსური სარეკლამო სისტემის წინსვლისათვის, რომლის მთავარი ამოცანას წარმოადგენს მიზნობრივი აუდიტორიასთან მეტი კონტაქტის მიღება ნაკლები დანახარჯებით.

ტურიზმის ბაზარზე ქროს-მარკეტინგი ბოლო დროს სულ უფრო პოპულარული გახდა. კომპანიის მიერ ქროს-მარკეტინგის გამოყენება ხელს უწყობს რამდენიმე ამოცანის მოგვარებას:

- პოტენციურ მომხმარებლებთან საუბარი ტურისტული ფირმის შესახებ;
- გაყიდვების მოცულობის ზრდა;
- ტურისტებისთვის საჩუქარის გაკეთება.

ქროს-მარკეტინგის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ მისთვის შეიძლება გაერთიანდნენ არა მხოლოდ მსხვილი კომპანიები, რომლებიც ერთ რომელიმე სფეროში თანამშრომლობენ, არამედ მცირე კომპანიებიც, რომლებიც სხვადასხვა სფეროში საქმიანობენ. მაგალითად, ტურისტულ სააგენტოს შეუძლია

განახორციელოს ერთობლივი ღონისძიებები იმ მაღაზიებთან ერთად, რომლებიც ყიდიან მზის სათვალეს, ჩემოდანს, ფოტოკამერებს, სუვენირებს; სილამაზის სალონებთან, რომლებიც გთავაზობენ მომსახურებას „ გარუჯვაში“, რესტორნებთან, კაფეებთან ან ფიტნეს კლუბებთან და ა. შ.

საშუალებების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას ბონუსები, დასაჩუქრების ან ფასდაკლების ბარათები, ფასდაკლების სერტიფიკატები ან ერთობლივი სარეკლამო კამპანიის ჩატარება. ქროს-მარკეტინგის ჩატარების მთავარი პირობას წარმოადგენს ის, რომ ორივე კომპანია დაინტერესდეს ერთი და იგივე სამიზნე აუდიტორიით. ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლება გამოყენებული იქნეს ავიაკომპანია „ლუფტჰანზასა“ Lufthansa Airlines და Sheraton Hotels & Resorts - „შერატონის“ სასტუმროებისა და რესტორნების ქსელის მიერ ერთმანეთის კლიენტებისათვის მიცემული ფასდაკლებები და შეღავათები. ასეთ დროს შედეგებით ყველა კმაყოფილია: მყიდველები, ტურისტული სააგენტო, რომელიც თავის მომხმარებლებს აძლევს ბონუსს და პარტნიორი კომპანია, რომელსაც მიეცა საკუთრი სერვისების რეკლამირების შესაძლებლობა უშუალოდ სამიზნე აუდიტორიასთან.

ტურისტული სააგენტოსთვის ქროს-მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენების მთავარ სარგებელს წარმოადგენს მომხმარებელთა ლოიალობის გაზრდა, რაც გამოიხატება კლიენტისთვის სასიამოვნო საჩუქრის ან სიურპრიზის მიწოდების შესაძლებლობით. ძნელად წარმოსადგენია, ამ მარკეტინგული ინსტრუმენტის პირდაპირი გამოყენება გაყიდვების სტიმულატორი, რადგან, როგორც წესი, ბონუსის მოცულობა შეუსაბამოა ტურის ღირებულებასთან.

ტურისტული სერვისების სფეროში მომხმარებელთა ლოიალობის ემპირიული შესწავლის შედეგს წარმოადგენს კლიენტის მიერ ტურისტული სერვისის ანდა ორგანიზაციის მიერ სამომხმარებლო არჩევანის მათემატიკური მოდელის შექმნა; ან კონკრეტული კატეგორიის ტურისტების მხრიდან ტურისტული მომსახურების მოთხოვნილების ელასტიურობის შეფასება.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია იმის დადგენა და რანჟირება, თუ რატომ უნდა აირჩიოს ტურიზმის სერვისების მომხმარებლებმა კონკრეტული ორგანიზაცია და მონაწილეობა მიიღოს ამ ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ლოიალობის პროგრამებში.

კვლევების საფუძველზე, შეიძლება დავადასტუროთ, რომ ტურისტული სერვისების მომხმარებლები მაქსიმალურად მგრძნობიარენი არიან მოულოდნელი დასაჩუქრების მიმართ (საუზმე სასტუმროში, უფასო ექსკურსია, სასტუმროში დამატებითი ღამისთევის უფლება, უფასო ტრანსფერები და სხვა). უპირატესობის მინიჭების მიხედვით დაგროვების ბონუსის მიღების შესაძლებლობა მეორე ადგილზეა, რადგან ამ შეთავაზების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული რაოდენობის მოგზაურობის დაგროვების დროს. შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია დიდი ფასდაკლებების მოლოდინი და პრესტიჟი. მომხმარებლებისთვის მომავალში სარგებლის მიღება ნაკლებად მიმზიდველია, რადგან აღნიშნული ასოცირდება გარკვეულ მოლოდინთან.

იმისათვის, რომ ქროს-მარკეტინგი ტურისტისთვის საინტერესო იყოს, აუცილებელია ისეთი პირობების დაცვა, რომლებიც დაეხმარება კომპანიებს მათ მიმართ ინტერესის გაზრდაში:

1. ქროს-მარკეტინგის პარტნიორი არ უნდა იყოს კონკურენტი - ის არ უნდა იყოს სხვა ტურისტული ფირმა. აუცილებელია, არჩეულ იქნას კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ თანმდევი პროდუქტისა და მომსახურების მოწოდებას. მაგალითად, მაღალი დონის სილამაზის სალონები ან სხვა კომპანიები. აღნიშნული მოგზაურს აძლევს ფულის და დროის დაზოგვის შესაძლებლობას, აგრეთვე სავარაუდო რისკების განულების საშუალებას და ამ შემთხვევაში ტურისტული სააგენტო მოქმედებს, როგორც მრჩეველი და ნაწილობრივ პარტნიორის მომსახურების ხარისხის გარანტი.

2. პარტნიორი კომპანიები უნდა ემთხვეოდნენ სამიზნე აუდიტორიის მიხედვით. მოქმედების დაგეგმვამდე უნდა გამოვლენილი იქნეს კლიენტის ინტერესები. საოჯახო ტურები უნდა

რეკლამირებული იქნეს რესტორნების ქსელში, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ოჯახურ ღირებულებებს. ამგვარად, იმუშავებს ჯამური ეფექტი და მიღწეულ იქნება რეკლამის ეფექტურობა. ასევე ექსტრიმ-პარკებთან ან აქტიური დასვენებისთვის მაღაზიებთან ერთად, შესაძლებელია სათხილამურო ტურების გაყიდვების ხელშეწყობა.

3. წარმატებული ქროს-მარკეტინგის მესამე წესი მდგომარეობს იმაში, რომ შემოთავაზებული მომსახურება და საქონელი უნდა იყოს ფასთა იმავე კატეგორიაში: ეკონომი, მასს-მარკეტი ან ლუქსი. გამონაკლისი აქ შეიძლება იყოს საჩუქრები. მაგრამ მათი გადაცემა უნდა ექვემდებარებოდეს გარკვეულ კანონს: საჩუქარს იღებს არა შემთხვევითი ადამიანი, რომელმაც შემოიხედა მაღაზიაში, არამედ მხოლოდ ნამდვილი მყიდველი. შესაბამისად, გამოირიცხება ის ადამიანები, რომლებსაც უყვართ უფასოდ საჩუქრების მიღება. ამგვარად, პარტნიორი აღარ შეიტანს ეჭვს იმაში, რომ მისი უფასო ნიმუში მიდის ადამიანთან, რომელიც მზად არის ფული გადაიხადოს კარგი ხარისხის საქონელში.

დასკვნა

ისევე როგორც ნებისმიერმა ინსტრუმენტმა, ქროს-მარკეტინგმა უნდა გაიაროს მონიტორინგი ეფექტურობაზე. ეს შეიძლება იყოს კონტროლი საჩუქრის სერტიფიკატების დაბრუნებაზე, რომელიც გადაუნაწილდა ქროს-პარტნიორებს: თუ ასეთი სერტიფიკატი წარმოდგენილი იქნა მომხმარებლების მიერ, შესაბამისად, პარტნიორი სწორად იქნა შერჩეული.

მარკეტინგის სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ კარგად შერჩეული პარტნიორი ხელს უწყობს სარეკლამო აქციას შემდეგი ფორმულის შესაბამისად მუშაობაში: „1 + 1 = 11“, განსხვავებით წარუმატებელი კანონზომიერების ნიმუშისგან: „1 + 1 = - 2“.

აქედან გამომდინარე, აქტუალური იქნება ჩვენი რჩევა: თუ განსაკუთრებული ყურადღებით მოექეცი პარტნიორის არჩევანს, ქროს-მარკეტინგს შეუძლია საგრძნობი შედეგები მოიტანოს ქროს-აქციის ყველა მონაწილეს გააზრებული და კოორდინი-

რებული მოქმედებების შემთხვევაში. დაგეგმილი მოქმედების ეფექტი მიიღწევა ხელშეკრულების გაფორმებამდე ყველა ნიუანსზე მსჯელობის მეშვეობით. ამრიგად, ურთიერთგაგების პოვნა, მომავალი სარეკლამო კამპანიის ყველა ნიუანსისა და მდგომარეობის გათვალისწინება, დაფინანსების მოცულობაში წილობრივი მონაწილეობის განხილვა და ერთობლივი ინფორმირება წარმოადგენს ღონისძიების წარმატების საფუძველს.

REFERENCES:

1. Booms, H. Bernard, Bitner Mary J. Marketing Strategies for Service firms // Marketing of Services // in Donelly, J. H. and George, W. R. (eds.), Chicago, IL: American Marketing Association, 1981. - P. 47-51.

2. Jan-Daniel Laufhiitte, Marketing of Consulting Services - Marketing methods used by Management Consultancies to market their services and position themselves in the market - Dissertation submitted in part fulfilment of the Degree of Bachelor of Arts (Honours) in Business Administration London South Bank University, 5 May. - 2004.

3. Morgan, R. Relationship Marketing and Marketing Strategy. The evolution of relationship marketing within the organization // Sheth J., Parvatiyar A. Handbook of relationship marketing. - London, 2000.

4. Waugh T. 101 Marketing strategies for Accounting, Law, Consulting and Professional Services Firms, John Wiley & Sons, Inc.2005. - 266 p.

CROSS-MARKETING AS AN ELEMENT OF INNOVATIVE MARKETING MANAGEMENT IN THE TOURISM SECTOR

Teona Grishikashvili
PhD Student of
Georgian Technical University

RESUME

The author of the article views marketing as an integrated management function where it allocates cross-marketing as an integral component of marketing management. The article also discusses the cross-marketing opportunities in the tourism industry and outlines conditions that will increase the potential customers' interest in service providers for the tourism industry. The basic forms of cross-marketing have been identified and the need to protect the effectiveness of cross-marketing technologies has been demonstrated.

Keywords: Marketing Management, Cross-Marketing, International Tourism, Technologies.

გემის მენეჯმენტი და საკრუინგო საქმიანობის განვითარება საქართველოში

ლალი ხარბედია
ემკ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ბადრი დავითაია
ემკ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში მსხვილი სამრეწველო ფირმების მიერ მთელი ლოგისტიკური სისტემის მართვის ფუნქციის გადაცემა პროვაიდერი კომპანიებისათვის (ექსპეიტორებისა და ოპერატორებისათვის) უზრუნველყოფს საქონლის შეუფერხებელ მოძრაობას მწარმოებლიდან მომხმარებლამდე. იმავდროულად სატრანსპორტო სფეროში მიმდინარეობს სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების მიერ მათი სპეციალიზებული სატრანსპორტო სააგენტო ფირმების ოპერატიული მართვისა და მენეჯმენტისათვის გადაცემა. ამ პროცესმა მოიცვა როგორც საავტომობილო, ისე საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტი. ეს პროცესი უფრო მეტად გამოკვეთა საზღვაო ტრანსპორტზე. ბოლო ათწლეულებში ფართო გავრცელება ჰპოვა გემის საკუთრების ფუნქციისაგან მისი პროფესიული მართვის ფუნქციის გამოყოფამ. ფართოდ დამკვიდრდა ტერმინი „Ship Management", რაც გულისხმობს გემის ყველა მომსახურების პროფესიონალურ უზრუნველყოფას მმართველი კომპანიის მხრიდან შეთანხმების საფუძველზე, რომელიც როგორც წესი, გამოყოფილია გემთმფლობელისაგან. სწორედ სანოსნო კომპანიების/გემების მენეჯენტის ძირითად მიმართულებებს (ტექნიკური მენეჯმენტი, კომერციული მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი, ეკიპაჟის მენეჯმნტი და სხვ), ამოცანებსა და თავისებურებებს განვიხი-

ლავთ ნაშრომში "გემის მენეჯმენტი და საკრუინგო საქმიანობის განვითარება საქართველოში".

აღნიშნულია, რომ გემის მენეჯმენტთან, კერძოდ კი ეკიპაჟის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკრუინგო საქმიანობა საკმაოდ წარმატებულად ვითარდება საქართველოშიც. სულ უფრო იზრდება საკრუინგო კომპნიების რიცხვი, რომელთა საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს საზღვაო სააგენტო და რეგულირდება საქართველოს საზღვაო კოდექსით, ასევე საქართველოს კანონით "მეზღვაურთა განათლებისა და სერთიფიცირების შესახებ".

საკვანძო სიტყვები: გემის მენეჯმენტი, ეკიპაჟის მენეჯმენტი, ტექნიკური მენეჯმენტი, საკრუინგო საქმიანობა, აგენტირება, ბერბოუტ-ჩარტერი, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე სატრანსპორტო საწარმოსათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილია გადაწყვიტოს ისეთი საკითხები, როგორიცაა: სტრატეგიული დაგეგმვის მიმართულებები, ინვესტიციების მოზიდვის, კაპიტალდაბანდებათა ამოღების, მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის, კრედიტების კონტროლის, დაზღვევის, მარკეტინგის, სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის, საკადრო პოლიტიკის, ფლოტის და მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მდგომარეობის, ნაღდი ფულის მოძრაობის, აღრიცხვის სხვადასხვა ფორმის გამოყენების საკითხები და გადასცეს მათი მართვა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების მიერ მათი სპეციალიზებული სატრანსპორტო სააგენტო ფირმების ოპერატიული მართვისა და მენეჯმენტისათვის გადაცემა განსაკუთრებით გამოკვეთა საზღვაო ტრანსპორტზე. სულ უფრო ინტენსიური ხდება გემის საკუთრების ფუნქციისაგან მისი პროფესიული მართვის ფუნქციის გამოყოფა. ამ პროცესმა მოიცვა მსოფლიო ტონაჟის 1/5 ნაწილი და გაფორმდა სპეციალური სამართლებრივი ხელშეკრულებით (BIMCO) ჯერ კიდევ 1988 წელს, რომელიც

წარმოადგენს გემის მენეჯმენტის (Ship Management) შესახებ ხელშეკრულების ერთ-ერთ ქვესახეს.

გემის მენეჯმენტი როგორც მომსახურების ახალი სახე ჩამოყალიბებას იწყებს XX-ის 80-იანი წლებიდან, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ამ საქმიანობით დაკავდნენ ცალკეული კომპანიები. ასეთი მომსახურების წარმოშობის ძირითადი მიზეზი იყო სავაჭრო გემების მართვის გართულება და მსოფლიო საზღვაო გზებზე დიდი კონკურენცია. ტვირთების საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვებში ტონაჟის ზარალმა, ფრახტების განაკვეთების დაცემამ გაამწვავა კონკურენცია საფრახტო ბაზარზე და წარმოქმნა მოთხოვნა მფრახტავებისა და გემთმფლობელების მიერ მესამე მხარეზე გემის მართვის ფუნქციის გადაცემის შესახებ.

ამჟამად ასეთი პრაქტიკა სულ უფრო მეტ გავრცელებას პოულობს. ეს განპირობებულია სანაოსნო კომპანიების საქმიანობაზე სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით. მათზე გავლენას ახდენს მსხვილი მწარმოებლები, რომლებიც არეგულირებენ ტვირთნაკადების მოცულობას და თავიანთი ინტერესების შესაბამისად იყენებენ საერთაშორისო სავაჭრო კავშირებს; ე.წ. „მწვანეთა" სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც არეგულირებენ გარემოს დაცვით ღონისძიებებს, პროფკავშირები და სხვა, გემთმფლობელ კომპანიებზე უარყოფით გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიც, ზოგიერთი მთავრობის პროტექციონიზმი, ეროვნული და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციებისადმი მუდმივად მზარდი მოთხოვნები გემების ექსპლუატაციის სტანდარტებისა და უსაფრთხოების ნორმებისადმი. ასეთ პირობებში სანაოსნო კომპანიები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ტვირთების მოძიებას, აუცილებელი ინვესტიციების მოზიდვას, სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე დამკვიდრებას, ვიდრე უშუალოდ გემების მართვას — მათ ისინი გადასცემენ სხვა სპეციალისტებს — გემების მენეჯერებს. ფართო გაგებით, გემის მენეჯმენტი ნიშნავს გემის პროფესიონალურ უზრუნველყოფას სრული მომსახურებით შეთანხმების საფუძველზე მმართველი კომპანიის მხრიდან, რომელიც როგორც წესი, გამოყოფილია გემთმფლობელისაგან. ასეთი ზოგადი განსაზ-

ღვრება განპირობებულია გარიგების სპეციფიკურობით, ანუ ისეთი მომსახურების მიწოდებით, რომელიც გათვლილია ყოველი კონკრეტული კლიენტის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ის შეიძლება შემოიფარგლოს, გემის სურსათით უზრუნველყოფით ან მოიცავს მომსახურების ფართო სპექტრი, რომელიც გემს მოუტანს მოგებას. ამჟამად პროფესიონალური მენეჯმენტის ქვეშ იმყოფება 3 ათასი გემი, ანუ მსოფლიო ფლოტის დაახლოებით 14%. აღსანიშნავია, რომ ამ ფლოტის მესამედს მართავს ხუთი უმსხვილესი პროფესიონალური კომპანია, ხოლო ასეთი კომპანიის 50% ფლობს ერთ ან ორ გემს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ბაზარი არის კონცენტრირებული და იმავდროულად დანაწევრებულიც. [3. გვ.122] .

საქართველოს საზღვაო კოდექსით განსაზღვრულია, რომ გემის ოპერატორი შეიძლება იყოს გემთმფლობელი ან სხვა ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია იყოს მენეჯერი ან გემის უეკიპაჟოდ დამფრახტავი (ბერბოუტ-ჩარტერი), რომელსაც გემთმფლობელმა დააკისრა გემის მართვის პასუხისმგებლობა და რომელმაც ამ პასუხისმგებლობის აღებისასა განაცხადა თანხმობა, შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება და იკისროს სათანადო პასუხისმგებლობა. [5. მუხლი 44[1]]

ასეთი კომპანიის მართვა მოითხოვს გემთმფლობრლისაგან დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულებას, რომელიც შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად მიმართულებად. ისეთ საკითხებს, როგორიცაა სტრატეგიული გადაწყვეტილებანი, ინვესტიციები, კაპიტალდაბანდებათა ამოღება, ხარისხის უზრუნველყოფა, თავის თავზე იღებს გემთმშენებელი. საქმიანობის სხვა მიმართულებები მოიცავს ფლოტის ექსპლუატაციას, მარკეტინგული და ფინანსურ ოპერაციებს. ფლოტის ექსპლუატაციის ჩარჩოებში წყდება საკადრო საკითხები (კადრების შერჩევა, მათი სწავლება, ჯანდაცვა, ხელფასის დონე, სხვა განაცემები, პროფკავშირებთან ურთიერთობა, შრომითი ხელშეკრულების დადება, და ფლოტის ტექნიკური მდგომარეობის საკითხები (სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რემონტი, დოკირება, გემისათვის კლასის მინი-

ჭება).

მარკეტინგი მოიცავს ბაზრების კვლევას, საბაზრო სტრსტეგიას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან მიმართებაში, სარეკლამო საქმიანობას. აქ შედის ტვირთგადატანის შესაძლებლობის რეალიზაცია ბალკერული (გემების ფრახტირება, სარეისო ოპერაციები, ბუნკერების შესყიდვა და ა.შ.) და სახაზო გადაზიდვების ბაზრებზე.

ფინანსურ ოპერაციებს მიეკუთვნება ძირითადად: კაპიტალის მოზიდვა, ინვესტირება, ნაღდი ფულის მოძრაობის კონტროლი, ვალუტის გაცვლა, აღრიცხვის სხვადასხვა ფორმა, კრედიტის კონტროლი, დაზღვევა, საინფორმაციო ტექნოლოგია, ბიუჯეტი. მას შემდეგ, რაც გემთმფლობელი დაადგენს, რას სურს მიაღწიოს საბოლოოდ, შესაძლებელია ზოგიერთი ფუნქცია გადასცეს მოიჯარეებს. მარკეტინგის სფეროში სახაზო გემების გადაზიდვის შესაძლებლობათა გაყიდვით ძირითადად აგენტები არიან დაკავებული. ამ შემთხვევაში სახაზო კომპანია არის სახაზო მომსახურების გასაღების დელეგირებული პასუხისმგებლობის კოორდინატორი.

კომერციული მენეჯმენტი განსხვავდება ტექნიკური და საექსპლუატაციო მენეჯმენტისაგან. ის უკავშირდება გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ზოგიერთი ფინანსური ინსტიტუტის (მსხვილი ბანკების) გადაწყვეტილებას გამხდარიყო გემთმფლობელი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფუნქციების სხვა კომპანიებისათვის დელიგირებით. ისინი დებდნენ ხელშეკრულებას მენეჯმენტზე, იტოვებდნენ რა მხოლოდ ანგარიშების შემოწმების და გემის გამოყენების რისკის შეფასების ფუნქციებს ტაიმ-ჩარტერის ხანგძლივობის შესაბამისად ან ზოგიერთი ხარჯის შემოწმების ფუნქციას. ეს ასტიმულირებდა სპეციალიზებული კომპანიების შექმნას, რომლებსაც ბანკების მიერ გადაეცემოდა შემდეგი ფუნქციები:

• ბაზრების გამოკვლევა და პოტენციურ გარიგებათა გამოვლენა, სარეისო ხარჯების შეფასება;

• საფრახტო მომსახურება, ანუ საფრახტო გარიგების ფაქტიური შესრულება, მოლაპარაკებები ჩარტერზე და ხელმოწერა;

• მფლობელის სახელით გემის რეისული მართვა, ანუ მისი მომსახურება ზღვასა და ნავსადგურებში, ჩარტერის თანახმად.

• რეისული ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და მისი შედარება წინასწარ შეფასებებთან, ახსნა-განმარტებები ბალანსზე, რომელიც გადაეგზავნება ბანკ-მფლობელს.

• ტექნიკური მომსახურება, ეკიპაჟის დაკომპლექტების ჩათვლით, გემის მომარაგება სურსათით, მარაგებითა და საპოხი მასალით, მისი მუშა მდგომარეობაში შენახვა და რემონტი, გემთფლობელის წინაშე ანგარიშგება ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

მომსახურებიის პირველი სამი სახე ჩვეულებრივ ავსებს ერთმანეთს და ეკუთვნის კომერციულ მენეჯმენტს. ხოლო მეოთხე არის რეისული მენეჯმენტი და ზოგჯერ ის ცალკე გამოიყოფა. ბორტზე მომსახურება და მისი ანგარიშგება ეკუთვნის ტექნიკურ მენეჯმენტს, თუმცა, თავისი არსით, ისინი მნიშვნელოვნად მეტია და მოიცავს მატერიალურ ტექნიკურ მომარაგებას.

ტექნიკური მენეჯმენტის სფეროში არსებობს რამდენიმე ,,ქვესამსახური", რომლებიც წარმოდგენილია ცალ-ცალკე. ერთ-ერთი მათგანია ეკიპაჟის დაკომპლექტება. მენეჯერი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს გემი ეკიპაჟით, რომელიც შეესაბამება გემის დროშას კვალიფიკაციით, ეროვნული კუთვნილებითა და რიცხოვნებით, გემთმფლობელის მოთხოვნებს, კონკრეტული გადაზიდვების თავისებურებებს. ეკიპაჟი ასევე უნდა პასუხობდეს საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნებსა და ნორმებს, რომელიც შემოღებული აქვს გემთბფლობელსა და ეკიპაჟის დამკომპლექტებელს, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და ვალდებულებების შესრულების კუთხით. საკრუინგო საქმიანობის ხელშეკრულებები ეკიპაჟის წევრების შერჩევაზე არის გემის მენეჯმენტის ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი. საქართველოს საზღვაო კოდექსის განსაზღვრულია საკრუინგო საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირის ვალდებულებები. [5. მუხლი 69]. საკრუინგო კომპანიების ნებაყოფლობით აღიარებას 2013 წლის 01 იანვრიდან ახორციელებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო. საკრუინგო საქმიანობის განმახორცილებელ პირთა აღიარების, აღიარების სერტიფიკატის გაცემის, გაცემის

პირობების მონიტორინგის და ზედამხედველობის, აღიარების სერტიფიკატის შეჩერების/შეწყვეტის წესი რეგულირდება 2012 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით №31. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულია შემდეგი საკრუინგო კომპანიები [8. http://mta.gov.ge/?m=138].

- „ქვინსვეი სერვისი“;
- „ევროსტარ მარინი“;
- „პოსეიდონი“;
- „იალქანი“;
- „ვალმარს ჯორჯია“;
- „გლობალ მარინი“;
- „კოლუმბია შიფმენეჯმენტი“;
- „მარინერი“;
- “ელვიქტორ ქრიუ მენეჯმენთ სერვისი“;
- „ჯორჯიან სი გეითი“

გემის მენეჯმენტი ითვალისწინებს სურსათის მომარაგების მართვასაც. სურსათით მომარაგება მნიშვნელოვანია კარგი ატმოსფეროს შესაქმნელად ეკიპაჟის შემადგენლობაში და ხარჯების ეკონომიის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, იმის ცოდნა, სად და რა შეისყიდონ ეკიპაჟის წევრთა ეროვნულობის გათვალისწინებით, როგორ დადონ კონტრაქტები სხვადასხვა ნავსადგურებთან.

გემის მენეჯმენტი უკავშირდება ტაიმ-ჩარტერის კონრტოლსაც. ეს არ მიეკუთვნება უშუალოდ მენეჯმენტს, მაგრამ ზოგიერთი კომპანია ამ მომსახურებას სთავაზობს. ის შეიძლება დასჭირდეს დამფრახტავს გრძელვადიანი ჩარტერით, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა თვალყური ადევნოს გემთფლობელის მიერ ჩარტერის პირობების შესრულებას. ეს მომსახურება განსაკუთრებით სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ტვირთის რთული კონტროლი ან შესაძლებელია გარემოს დაბინძურება.

სანაოსნო კომპანიის მართვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. უწინარეს ყოვლისა, არსებობს საკითხები, რომელთა გადაწყვეტას თავისთავზე იღებს გემთმფლობელი (სტრატეგიული მიდგო-

მა, ინვესტიცია, კაპიტალდაბანდებათა ამოღება, მომსახურების ხარისხის გარანტია). საქმიანობის დანარჩენი მიმართულებები შეიძლება განისაზღვროს როგორც ფლოტის ექსპლუატაცია, მისი ოპერაციული მართვა.

დასკვნა

ამრიგად, "Ship Management" კომპანიების მიერ შეთავაზებული მომსახურებები მრავალმხრივია, მაგრამ ძირითადად მოიცავს შემდეგს:

• ტექნიკური მენეჯმენტი, ანუ ოპერაციები, რომელიც აუცილებელია გემის კლასის შენარჩუნებისათვის (კლასიფიცირებული მოთხოვნის დონეზე), საექსპლუატაციო ბიუჯეტთან შესაბამისობაში.

• ფინანსური მენეჯმენტი - ფინანსური უზრუნველყოფა, გემთფლობელის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა და გემის მომსახურების აუცილებელი სახეების ორგანიზაცია და დაფინანსება;

• გემის ეკიპაჟის მენეჯმენტი - გემის უზრუნველყოფა კვალიფიციური პერსონალით სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის სტანდარტების შესაბამისად;

• კომერციული მენეჯმენტი - სანაოსნო კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული კომერციული და მარკეტინგული ოპერაციების შესრულება;

• სანაოსნო ინდუსტრიაში გამოყენებული სხვადასხვა იურიდიული პროცედურა და დაზღვევა. საერთაშორისო ნორმისა და მოთხოვნების შესაბამისად ფლოტის ექსპლუატაციის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა.

ბოლო წლებში გემის მენეჯმენტის მომსახურების სფეროში გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება: სრული მართვა ანუ გემის ექსპლუატაციის მართვა (full managment) და გემის ეკიპაჟის მართვა (crew managment) ეკიპაჟის წევრების შერჩევით, მიღებით, დაქირავებით და მომზადებით. საქართველოში გემის ეკიპაჟის შემადგენლობასთაან და მის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება "მეზღვაურთა განათლებისა და სერთიფიცირების შესახებ" საქართველოს კანონით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Marcus H, marine transportation management, 2006, 247 p;

2. Martin Stopford, Maritime Economics, Routledge, Taylor and Francis Group, 2009, 815p

3. John Theotokas. The Business Enironment of Shipping Companies. University of the AEGEN. Department of Shipping. Trade and Transport, 2003.

4. Макушев П. А., Москвиченко И. М., Транспортный менеджмент, Одесса- Ильичевск -Афины – Генуя, "Астропринт", 2005, 187 с.

5. საქართველოს კანონი "მეზღვაურთა განათლებისა და სერთიფიცირების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/1556226?publication=6

6. საქართველოს საზღვაო კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/29908?publication=34

7. https://www.bimco.org/ -ბალტიის საერთაშორისო საზღვაო საბჭო

8. http://www.imo.org/en/Pages/Default.aspx - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO)

9. http://www.mta.gov.ge საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

10. http://www.opendata.ge/ka/request/28290 - ინფორმაცია ქართული დროშის ქვეშ მცურავი გემების შესახებ.

References:

1. Marcus H, marine transportation management, 2006, 247 p.

2. Martin Stopford, Maritime Economics, Rout ledge, Taylor and Francis Group, 2009, 815p.

3. John Theotokas. The Business Enironment of Shipping Companies. University of the AEGEN. Department of Shipping. Trade and Transport, 2003.

4. Makushev P. A., Moskvichenko I. M., Transport Management, Odessa - Ilyichevsk - Athens - Genoa, Astroprint, 2005, 187 pp.

5. The Law of Georgia "On the Education and Certifi-

cation of Seafarers" https://matsne.gov.ge/ka/document/view/1556226?publication=6

6. The Law of Georgia Maritime Code of Georgia https://matsne.gov.ge/ka/document/view/29908?publication=34

7. https://www.bimco.org/ - The Baltic and International Maritime Council

8. http://www.imo.org/en/Pages/Default.aspx - International Maritime Organization (IMO)

9. http://www.mta.gov.ge Maritime Transport Agency of Georgia

10. http://www.opendata.ge/ka/request/28290 - Information on vessels flying under Georgian flag

SHIP MANAGEMENT AND CRUISING ACTIVITIY DEVELOPMENT IN GEORGIA

Lali Kharbedia,
Academic Doctor of Economics,
Associate Professor of Akaki Tsereteli State University
Badri Davitaia ,
Academic Doctor of Economics,
Assistant Professor of Akaki Tsereteli State University

RESUME

In the modern world, passing all logistical system ruling functions to the provider companies by big industrial firms, provides the regular moving the goods from the producer to the consumer. At the same time, in the sphere of transport, it is going passing of their specialized transport agency firms operative ruling and management by transport facilities' owners. This process includes as the Auto as well as the Sea and Railway transport. Lately, ship owning function is isolated from professional ruling one.

Moreover, it's widely spread the term "Ship Management" which means providing all services of the ship at professional level from the

side of ruling companies based on agreement, which is isolated, as a rule, from the ship owner. The navigable companies' main directions of ship management (technical management, financial management, crew management etc), the tasks and peculiarities are discussed in our work "Ship management and cruising activitiy development in Georgia". There should be mentioned, that with ship management, namely with the crew management is connected cruising activity, which is developing quite successfully in Georgia. The number of cruising companies are also rapidly growing. Their activities are controlled by Georgia's maritime agency and regulated by the maritime code of Georgia and also by the law of Georgia "About the sailors education and certification".

Key words: Ship Management, Crew Management, Technical Management, Cruising, Ship Agenting, Bareboat Charter, International Maritime Organization, Georgian Maritime Transport Agency.

THE TRENDS AND CHALLENGES OF DIGITAL BUSINESS PROJECT MANAGEMENT IN GEORGIA

Maria Ghlonti
PHD Student of GTU,
JSC TBC Bank, Agile Coach, MBA

ABSTRACT

The research paper below shows the results of the theoretical and practical study on the topic of digital business project management trends and challenges in Georgian small, medium and large enterprises. The focus was made on the application of agile project management approaches in digital as well as commercial projects.

In the world which is more and more characterized with high level of uncertainty, ambiguity and especially digital projects become more and more complex. The traditional project management approaches which are plan driven and focused on scope, time quality have proved to be less efficient which served as a basis of birth for agile project management approaches. The Increase of competition and globalization have fostered the importance of agile management in Georgian enterprises as well.

Based on the results of the research, agile methods have become quite popular in Georgia but they are often used with classical methods in a kind of "Hybrid Solutions". Moreover, some organizations, which use agile, apply pure waterfall methods in some projects as well. More specifically, Scrum as one of the approaches in agile was discovered to be more effectively used in teams rather than another most popular agile approach Kanban.

The study shows the decisive impact of organizational culture and structure also focus on value, for successful adoption of agile mindset and approaches of project and business management.

Key Words: Agile, Agile Project Management, Scrum, Kanban, IT Project Management, Team Motivation, Digital Transformation.

THE STUDY

Digitalization and the trend of increasing IT driven businesses makes management of projects involving IT development of high importance and one of the main sources of competitive advantages for companies. Therefore, the main focus of this paper is the innovative projects that require IT development.

Moreover, the very insightful statistics that served as a most important motivation for my surveys and researches conducted in the last recent months are as follows[1]:

Almost three-quarters (71%) of organizations report using Agile approaches sometimes, often, or always. (Source: Project Management Institute)

Agile projects are 28% more successful than traditional projects. (Source: PwC)

Of failed Agile implementations, 63% of respondents in one study blamed the clash between their business's culture and Agile's business philosophy. (Source: VersionOne)

50% of team members are motivated more by team success than by the company's (27%) or individual's (23%) personal goals. (Source: Atlassian)

Agile is traditionally a software development philosophy, one that emphasizes[2]:

- Individuals and interactions over processes and tools
- Working software over comprehensive documentation
- Customer collaboration over contract negotiation
- Responding to change over following a plan

It's a philosophy that has garnered its own subset of project management methodologies, including (but not limited to) Adaptive Software Development (ASD), Crystal Dynamic Systems Development Method (DSDM), Extreme Programming (XP), Feature-Driven

1 Source: Project Management trends: Retrieve: https://www.pmi.org/-/media/pmi/documents/public/pdf/learning/thought-leadership/pulse/pulse-of-the-profession-2017.pdf

2 Source: Agile Manifesto Retrieve: https://agilemanifesto.org/

Development (FDD), Kanban (depending on how you use it), Lean, and Scrum.

My research presented in this paper aimed to analyze the following questions:

• What is the trend of agile adoption in Georgian companies and what industries are the early adopters?

• What are the main expectations, challenges and success rates in projects applying agile approaches in Georgian companies?

• What is the impact of organizational culture and leadership on the success of agility and main cultural factors that enable successful implementation of agile?

• What is the correlation between organizational structure and the people side of project management as well as project results?

Based on the results of the research, agile methods have become quite popular in Georgia but they are often used with classical methods in a kind of "Hybrid Solutions". Moreover, some organizations, which use agile, apply pure waterfall methods in some projects as well.

More specifically, **Scrum** as one of the approaches in agile was discovered to be more effectively used in teams rather than another most popular agile approach **Kanban.**

Quite interesting about the results is that in the companies which use agile approaches to some extent the application of Hybrid (in 25% of cases) and Pure traditional approach (Only Waterfall is used in 25%, of cases) have settled themselves at the same level. **Agile** approaches dominate in 75% of the cases out of companies, which use agile approaches in their projects.

It is noteworthy that 90% of the participants in this research who use agile approaches represent the digital service companies and none of them is producing a physical product. Therefore, in most cases companies who have technical development projects are the ones who use agile.

The companies who have applied agile in their projects were asked to choose why they decided to apply agile out of the follow-

ing 4 options: Increased Time to Market, Product Quality, to mitigate risks of Product Development, all of the above. The majority (58%) chose all of the three specific factors mentioned above but the another dominating choice was the increased time to market (30%) which means faster delivery of new service and products to the customers.

As for the success rates of the projects using agile approaches 85% of the participants assessed the success rate at more than 3 point at the scale of 5, with 5 points as the highest indicator of success, none of them -at 1 point.

Furthermore, the companies using agile where interviewed about what are the biggest challenges in successful implementation of agile and the top 3 factors stated where as follows: involvement and dedication of top-level management, lack of people with leadership and managerial competencies, IT infrastructure and company structure not enabling 100% of end-to end agile teams causing dependencies.

Another aspect of the research was to find out impact of the organizational factors such as the organizational culture and structure on success of the projects. The participants were representing service, manufacturing as well as trade sectors with the overwhelming majority of service sector (86% of participants). Most of the participants of the research represented organizations employing more than 50 employees out of which 60% had more than 25 employees.

The companies implementing the project represented the non-service companies like manufacturing and trade had interesting results in terms of organizational structure and its impact on organizational culture as well as on projects:

The success factor of the project for project participants was the budget, defined end date and scope rather than the value of the project what it really brought in terms of commercial results. 70% of out of the companies used functional organizational structure where the initiative from project participants was stated to be absent in 70% of the cases, and changes claimed to be seldom in 100% of the

companies from trade and manufacturing industry with functional organizational structures.

The Interesting insight is as well the correlation of organization structure and main metrics of project success. 85% of companies having team oriented projected organizational structure use value delivered by the project as the main success factor rather than the budget, scope, fit to deadline as the project success indicator.

Another finding is that companies with matrix/functional organizational structure use project fit for budget, scope and time as the main factors measured for organizational success in 70% of the respondents.

Furthermore, functional organizations with the law level of delegation to project teams, unclear goals/roles of the project stated to have the lack of initiative, frequent change of the requirements in the project, which in majority of cases caused the irritation, gap between the planned vs actual outcome and frequent blaming in case of failure.

The frequently neglected impact of organizational culture on the success of the project has been also investigated in the research. The results given by users of agile have been analyzed separately and those using wither traditional / hybrid approach separately. The most interesting finding is that 85% of agile projects, with the highest success rate of 75% -100% of all agile projects being successful, have satisfied the following cultural factors: open and frequent feedback of peers and colleagues to each other; positive colleagues; non-formal collaboration with stakeholders; frequent communication of management about values; MVP and experiment rather than ideal solution; continues Improvement and investigating environment/ system rather than blaming people.

Those companies having the agile project success rate in the range of 25% -75% had 2 factors in common – Blaming culture and Stakeholders expectations that the ideal product should be developed and then delivered to the market rather than experimentation and MVP was stated as the main value. In all agile projects the com-

munication and collaboration was stated to be valued rather than the formal decision-making.

As for the waterfall projects and the impact of organizational decision making process as well as the cultural projects are also noteworthy. A striking *finding* was that in companies were management made frequent communication of values, the feedback of colleagues was open and the attitude- positive. The 90% of waterfall projects have shown high success rates in the range of 75% -100%.

CONCLUSION

As a conclusion, the study is valuable in many aspects: *Firstly,* it shows the decisive impact of organizational culture, more specifically- open feedback, incremental delivery and delegation from leadership on the results of projects whatever methodology is used agile, waterfall or hybrid. *Secondly,* it shows that agile is gaining its importance and is frequently used selectively in organizations but above all agile practices *Scrum* has gained the dominant popularity. *Thirdly*, that the project success is measured not only with match of time, scope, or quality but increasingly with the value it brings to the business. Moreover, the first adopters of agile in Georgia are digital service companies "Last" and not the least. The research has shown that organization, its structure and culture is a prerequisite of successful implementation of innovative tech-driven business projects.

REFERENCES:

1. Project Management trends: Retrieve: https://www.pmi.org/-/media/pmi/documents/public/pdf/learning/thought-leadership/pulse/pulse-of-the-profession-2017.pdf

2. Agile Manifesto Retrieve: https://agilemanifesto.org/

ციფრული და ტექნოლოგიური ბიზნეს პროექტების მართვის ტენდენციები და გამოწვევები ქართულ კომპანიებში

მარია ღლონტი, სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში ასახულია თეორიული და პრაქტიკული კვლევა საქართველოს მცირე, საშუალო და დიდ ორგანიზაციებში ციფრული ბინზეს პროექტების მართვის გამოწვევებთან და ტენდენციებთან დაკავშირებით.

მსოფლიოში, სადაც ციფრული პროექტების მართვა მზარდი გაურკვევლობის ხარისხით და ცვლილებების მაღალი ინტენსივობით ხასიათდება, კვლევებმა აჩვენა რომ გეგმიური და თანმიმდევრული ტრადიციული პროექტების მართვის მიდგომა სულ უფრო ნაკლებად ეფექტური ხდება. სწორედ 2001 წელს ახალი საუკუნის დადგომა ციფრული და ტექნოლოგიური პროექტების სფეროში დასაბამს იღებს ეჯაილ (მოქნილი) პროექტების მართვის მიდგომა, რომელიც საქართველოშიც გაზრდილი კონკურენციისა და გლობალიზაციის გავლენის შედეგად ბოლო პერიოდში მზარდი პოპულარობით სარგებლობს.

კვლევამ აჩვენა, რომ ეჯაილ მიდგომით პროექტებით კომპანიების გარკვეული ნაწილი უკვე მუშაობს საქართველოში, თუმცა მათი უმრავლესობა ე.წ. ჰიბრიდულ მიდგომას მიმართავს,რაც იმას ნიშავს, რომ ე.წ. ჩანჩქერული წინასწარ დაგეგმარებაზე დაფუძნებულ ტრადიციულ მიდგომასაც იყენებენ გარკვეულ პროექტებში. კონკრეტულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ყველაზე პოპულარული ეჯაილ მიდგომებიდან სქრამი არის ყველაზე მეტად ფეხმოკიდებული ქართულ კომპანიებში.

ასევე კვლევამ აჩვენა ორგანიზაციული კულტურის და სტრუქტურის გადამწყვეტი როლი ეჯაილ აზროვნების სტილის და ეჯაილ მიდგომით პროექტების წარმატებულად მართვის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: ეჯაილი, ეჯაილ პროექტების მართვა, სქრამი, კანბანი, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვა, გუნდის მოტივაცია, ციფრული ტრანფორმაცია.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გამოცდილება ევროპის ქვეყნებში (ესპანეთის მაგალითზე)

დავით მამუკელაშვილი
სტუ დოქტორანტი, სსიპ მიწის მდგრადი მართვის და
მიწათსარგებლობის მონიტორინგის
სააგენტოს მიზნობრივი პროექტების
სამმართველოს უფროსი

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია ესპანეთის გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეტაპობრივი განვითარების და სამართლებრივი რეგულირების შესახებ, სადაც სახელმწიფოს მხარდაჭერა უპირატესად ორიენტირებული იყო უშუალოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლის დახმარებაზე და სადაც საზოგადოებას და ხელისუფლებას ადექვატურად ქონდათ გააზრებული ქვეყნის განვითარებაში კოოპერაციული სისტემის განსაკუთრებული და შეუცვლელი მისია. აღწერილია, თუ რა როლი შეასრულა კოოპერაციულმა პროცესებმა ესპანეთის ეკონომიკური გაძლიერებისა და დემოკრატიზაციის პროცესში.

ნაშრომში წარმოდგენილია კოოპერაციული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების საკითხები, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას და საგადასახადო შეღავათებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის. გაანალიზებულია საფინანსო რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებული პრობლემები და კოოპორაციული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირებისათვის საჭირო ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: კოოპერაციული სისტემა, სამართლებრივი რეგულაციები, კოოპერაციის სოციალური ფუნქცია, ფსევდო-კოოპერატივები, იერარქიული სტრუქტურა, საკრედიტო კოოპერატივები.

ძირითადი ტექსტი

კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმების და გარდაქმნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ კოოპერაცია უაღრესად დიდ როლს თამაშობს კრიზისების გადალახვის, სოციალური პრობლემების მოგვარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ქმედითუნარიანობის ამაღლების საკითხებში.

ევროპის წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს. ამიტომ ამ ქვეყნებში კოოპერაციის პროცესი ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მაორგანიზებელი როლითა და ხელშეწყობით წარიმართა. აღსანიშნავია, რომ ამ სახელმწიფოებში საზოგადოებას და ხელისუფლებას ადექვატურად ქონდათ გააზრებული ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში კოოპერატივების უმნიშვნელოვანესი მისია.

კოოპერაციის შესახებ კანონმდებლობა ევროკავშირის წევრ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება. მაგალითად, ესპანეთსა და გერმანიაში არსებობს კოოპერატივების შესახებ კანონი, რომელიც ყველანაირი ფორმისა და დარგის კოოპერაციული გაერთიანების საქმიანობას არეგულირებს. სხვა ქვეყნებში კოოპერატივების მხარდამჭერი საკანონმდებლო დებულებები შესულია სამოქალაქო და კომერციულ (ბელგია), ან ე.წ. „სასოფლო“ კოდექსებში (საფრანგეთი). ბრიტანეთში კოოპერატივების სარეგულაციო მექანიზმები კორპორატიულ კანონმდებლობაში გვხვდება, ხოლო დანიაში კოოპერატივების შესახებ სპეციალურ კანონმდებლობა საერთოდ არ არსებობს. მეორე უკიდურესობას მიეკუთვნება იტალია და ესპანეთი, სადაც კოოპერატივების მხარდამჭერი დებულებები ამ ქვეყნების კონსტიტუციებშია ასახული. ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია და ფუნქციონირებს კოოპერაციის სათათბირო საბჭო (ბელგია, საფრანგეთი), რომელიც სხვადასხვა რეკომენდაციას აწვდის მთავრობას.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ბაზარზე ორიენტირებულ, დემოკრატიულ საზოგადოებებში კოოპერაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა კერძო მეწარმეობასთან დაკავშირებული ფართო საკანონმდებლო ბაზის ნაწილია და იგი მაქსიმალურად მოწოდებულია, არ ჩაერიოს კოოპერატივების მმართველ და საორგანიზაციო ასპექტების დეტალურ რეგულირებაში და ამით ხელი შეუწყოს ამ ორგანიზაციების დამოუკიდებლობასა და ავტონომიურობას. ბოლო წლებში დასავლეთ ევროპაში კოოპერატივების შესახებ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ნაკარნახევი იყო სურვილით, რომ კოოპერაციული ორგანიზაციებისთვის მიენიჭებინათ გარკვეული მოქნილობა, რათა ისინი გამკაცრებული კონკურენციის პირობებს მორგებოდნენ. თუმცა, ყოველივე ეს განხორციელდა დემოკრატიული კონტროლის კოოპერაციული პრინციპის განუხრელი დაცვით. მაგალითისთვის, საფრანგეთის კანონმდებლობით კოოპერატივებს საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საშუალება მიეცათ, თუმცა მსხვილი კორპორატიული კაპიტალის ინტერვენციის თავიდან აცილების მიზნით, განისაზღვრა სამმართველო ხმების განაწილების გარკვეული კვოტები. ზოგიერთ კანონში კოოპერატივებს მიეცათ სხვა ბიზნეს ორგანიზაციებად გარდაქმნისა და რეორგანიზების უფლება (მაგ., შვედეთში 1987 წ. გერმანიაში კი 1994 წელს).

კოოპერატივებს თავიანთი წესდების ჩარჩოებში გააჩნიათ მოქმედების სრული თავისუფლება. სახელმწიფო ორგანოებს არა აქვთ უფლება უშუალოდ ჩაერიონ კოოპერატივების ეკონომიკურ საქმიანობაში, მათი მმართველი ორგანოების ფორმირებასა და თანამდებობის პირების დანიშვნაში, ასევე არა აქვთ უფლება წარმომადგენელი ჰყავდეთ როგორც საერთო კრებაში, ასევე არჩევით ორგანოებში. კოოპერატივების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება დაიყვანება ძირითადად კონტროლსა და თვალყურის მიდევნებაზე, თუ რამდენად ზუსტად შეესაბამება მათი საქმიანობა კანონმდებლობასა და თავიანთ წესდებას.

რიგ განვითარებულ ქვეყნებში მკაფიოდ გამოისახება სახელმწიფო კოოპერატიული პოლიტიკის კონტურები, რომლის არსი, ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ცნობილი ჰოლანდიელი ეკონომისტის ს. მალსხოლტის აზრით, განისაზღვრება იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს არ უნდა მოვეპყროთ, როგორც სათბურის მცენარეს, მას მხოლოდ უნდა დავეხმაროთ დამკვიდრებაში, ხოლო წარმატებას ის საკუთარი ძალებით მიაღწევს.

ზემოქმედება, რომელსაც ევროკავშირი ერთიანი აგრარული პოლიტიკის გატარებით ახდენს ფერმერული კოოპერაციის განვითარებაზე, შეგვიძლია მივაკუთვნოთ სახელმწიფო კოოპერაციული პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას. მისთვის დამახასიათებელია ზენაციონალური რეგულირების სპეციფიური ფორმა. კოოპერატივების მიერ ნებაყოფლობით, თავისუფალ და ხელშეკრულების საფუძველზე ორგანიზებული წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილის შეგროვებას, გადამუშავებასა და რეალიზაციას მივყვართ სახელმწიფო ორგანოების ფინანსური ჩარევის მნიშვნელოვან შემცირებამდე, რომლებიც სუსტად ორგანიზებული ბაზრების პირობებში იძულებული არიან შთანთქან ზედმეტად წარმოებული პროდუქცია, ბაზარზე ფასების შესანარჩუნებლად, ან დეფიციტის შემთხვევაში, განახორციელონ იმპორტი, ფასების ზრდის შესაჩერებლად. ევროკავშირის აგრარული რეალიზაციის პოლიტიკა კოოპერატივების ფუნქციონირებას ანიჭებს სასოფლო-სამეურნეო ბაზრის პრიორიტეტული მიმართულებების ორგანიზაციისა და დახვეწის მნიშვნელობას, რაც განაპირობებს ფერმერული კოოპერაციული მოძრაობის განვითარების მხარდაჭერისა და სტიმულირების პოლიტიკას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებიდანვე მის შემადგენლობაში შედიოდა კოოპერაციის საკითხების შემსწავლელი ეკონომიკური საბჭო, რომელმაც მის პირველივე რეზოლუციებში - „მიწის რეფორმა“ (1951წ) და „დაბალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარება“ (1954წ), კოოპერაციას მიანიჭა განსაკუთრებული როლი როგორც სოფლის მეურნეობის, ისე ქვეყნების მთლიანი ეკონომიკური სისტემის

განვითარების საკითხში. კოოპერაციის მხარდამჭერი სპეციალური კომისია არსებობს ევროპარლამენტშიც.

ევროკავშირის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეფექტური სისტემის არსებობა ხანგრძლივი განვითარების უწყვეტ პროცესს უკავშირდება. ამ პროცესში სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის კატაკლიზმურ ცვლილებებს პრაქტიკულად ადგილი არ ჰქონია, როგორც ეს აღმოსავლეთ ევროპის ან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მოხდა.

ესპანეთის კოოპერაციული სისტემის სამართლებრივ საფუძველს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს ესპანეთის კონსტიტუციის (1978წ.) 129.2 მუხლი: „სახელმწიფო ორგანოებმა ეფექტურად უნდა დასახონ წარმოებაში მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები და ხელი შეუწყონ კოოპერატივების ჩამოყალიბებას არსებული კანონმდებლობის საფუძველზე“.

ესპანეთის კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო სექტორის სტრატეგიული ხედვა და მისიაა: „სტიმული უნდა მივცეთ კოოპერატივის მომგებიანი, კონკურენტუნარიანი, მაღალპროფესიონალური, დამატებითი ღირებულების შემქმნელი, მზარდი მასშტაბების ბიზნეს მოდელის შექმნას, რომელიც გახდება ესპანეთის სასოფლო-სამეურნეო სექტორის მდგრადობის გარანტი“. ***(ესპანეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია)***

ესპანეთში კოოპერატივი აღიარებულია როგორც „განსაკუთრებული” საწარმო, რადგან კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო სექტორი სოციალური ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, სადაც გადაწყვეტილებათა მიღება და მოგების განაწილება, სხვა სამეწარმეო ფორმებისგან განსხვავებით, არ ხდება შენატანი კაპიტალის მიხედვით. კოოპერატივის ეთიკის საფუძველს წარმოადგენს პრინციპები, ღირებულებები, პასუხისმგებლობა და საქმიანობის სოციალური შედეგები. ეკონომიური მართვის ძირითადი პრინციპი - რენტაბელობა მისთვის წარმოადგენს მიზანს იმდენად, რამდენადაც ის იძლევა მისი წევრების ეკონომიური და სოციალური განვითარების საშუალებას.

ესპანეთში აგროსასურსათო კოოპერატივების რაოდენობა

მიმდინარე პერიოდში შეადგენს 3.380-ს, სადაც გაწევრიანებულია 1 მლნ-მდე ფერმერი; გრძელვადიანი და მოკლევადიანი კონტრაქტებით დასაქმებულია 96 ათასი ადამიანი; კოოპერატივების წლიური საქონელბრუნვა შეადგენს დაახლოებით 26 მრდ. ევროს, საიდანაც ექსპორტის მოცულობა შეადგენს 27%-ს. დღეს ესპანეთის მთლიანი საქონელბრუნვის 47% ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ, რომელთაგან 36% ახორციელებს ექსპორტს. ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის ერთი კოოპერატივიდან 1 მილიარდი ევრო.

ესპანეთის რეფორმების წარმატების მთავარი მიზესს სოფლის მეურნეობაში კოოპერატივების განვითარება წარმოადგენს. აგროსასურსათო სექტორის პროდუქციის 60%-ს კოოპერატივები აწარმოებენ. ესპანეთი მთელ რიგ სფეროებში: ღვინო, ხილ-ბოსტნეული, ზეთის ხილის წარმოება და სხვა პირველ ადგილზეა ევროპაში."სოფლის მეურნეობის საკრედიტო ბანკი", რომლის აქტიური მოქმედების პერიოდი იყო 30 წელი, ფუნქციონირებდა მე-20 საუკუნის 50 - იანი წლებიდან 80 - იან წლებამდე. ამ პერიოდში არსებობდა სახელმწიფო საკონსულტაციო ცენტრები. 1978 წლიდან სახელმწიფო აღარ მართავდა ამ სფეროს. შეიქმნა კოოპერატივების ასოციაციები, საკრედიტო კოოპერატივები, კოოპერატივების საკრედიტო განყოფილებები. კოოპერატივებს გაუჩნდა საკუთარი ხმა მთავრობის და ქვეყნის წინაშე.

ევროკავშირის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ამოქმედების შემდეგ, ესპანეთმა დაიწყო სტანდარტების შემუშავება და სოფლის მეურნეობის დარგის სახელმწიფო დახმარების ხაზის შექმნა. აღნიშნული პროცესი შემდეგ სტრატეგიულ ღონისძიებებს მოიცავს:

- წარმოების დაგეგმვაზე ორიენტირებული ღონისძიებები:
- კვლევებსა და ექსპერიმენტალურ წარმოებაზე მიმართული აქტივობები;
- ტრენინგებსა და მრჩეველთა მომსახურებებზე მიმართული ღონისძიებები;
- გარემოსდაცვითი ღონისძიებები;

• სხვა ღონისძიებები, ქმედებები, ინვესტიციები და ხარჯების კონცეფციები.

ესპანეთში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა და განვითარების სტრატეგიები არსებობს ცალკეული რეგიონების მიხედვით. მაგალითად, ვალენსიის რეგიონის სოფლის მეურნეობის, გარემოს, კლიმატის ცვლილებისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტმა გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის და პოპულარიზაციის პოლიტიკა, რომელიც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

1. ვალენსიის აგრარული კოოპერატივების ინსტიტუტის (ICAV) ღონისძიებები (1984-1994);

2. კოოპერატივების მხარდაჭერა (ეტაპი I 1994-2004);

3. კოოპერატივების მხარდაჭერა (ეტაპი II 2004-2011);

4. მომარაგება და კოოპერატივების კონცენტრაციის (გამსხვილების) ღონისძიებები (2011-2015);

5. აგრარული პროდუქტების საწარმოები და მიწოდების კონცენტრაციის ღონისძიებები.

2015-2017).

ვალენსიის აგრარული კოოპერატივების ინსტიტუტის (ICAV) ფუნქციები (1984-1994):

• სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა წარმოების, მარკეტინგის და სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტების კუთხით;

• სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და აგრარული კვლევების განხორციელება და კვლევების შედეგების გავრცელება კოოპერაციულ გაერთიანებებში;

• სპეციალიზირებული სასოფლო-სამეურნეო დარგობრივი განათლების უზრუნველყოფა და ფერმერებისა და გლეხებისათვის ტრენინგების ჩატარება კოოპერაციის საკითხებში;

• სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ესპანეთის და ვალენსიის მთავრობის აგრარული პოლიტიკის და სამოქმედო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;

• ნებისმიერი ღონისძიების განხორციელება ვალენსიის რეგიონში აგრარული კოოპერაციული ორგანიზაციების დასახმარებლად.

1995 წელს დამტკიცდა ვალენსიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების „გენერალური გეგმა" (1995-2000 წწ.). აღნიშნული გეგმის ძირითადი ამოცანები იყო:

• კოოპერაციული საწარმოების რესტრუქტურიზაცია, რათა მიეღოთ ისეთი საწარმოო და სადისტრიბუციო სტრუქტურები, რომელთა ეკონომიკური მასშტაბის ეტაპობრივი კონცენტრაციის გზით, გააუმჯობესებდნენ საკუთარ გავლენებს ბაზრის სეგმენტებზე. ასევე კოოპერატივებს შეექმნათ კოოპერაციული გაერთიანებები მომარაგებისა და ბაზრის სეგმენტებზე მაღალი კონცენტრაციის მისაღწევად;

• კოოპერაციული საწარმოების ხელშეწყობა იმ დარგებსა და საწარმოებში, სადაც კოოპერაციული საქმიანობა სუსტად იყო განვითარებული;

• კოოპერატივების ფინანსური სტრუქტურების გაძლიერება, განსაკუთრებით იმ კოოპერატივებში, რომელთაც ქონდათ საკრედიტო განყოფილებები;

• კოოპერატივების წევრების, მმართველი საბჭოების და მენეჯერებისთვის ტრენინგის სათანადო დონის უზრუნველყოფა;

ჩარჩო ხელშეკრულებების საშუალებით, ისეთი აქტივობების განსახორციელებლად, როგორიცაა: ტრენინგი, რეკლამა, კოოპერატივებში სამუშაოს კოორდინირება და სხვა, ვალენსიის მთავრობიდან დახმარება მიიღო ვალენსიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფედერაციამ.

2015 წლის 16 მაისს, ვალენსიის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება N15, რომლითაც განისაზღვრა სუბსიდიების გაცემის მარეგულირებელი ბაზა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინტეგრაციისათვის ვალენსიის რეგიონში.

აღნიშნული ბრძანების მიზანი იყო კვების ინდუსტრიაში და ვაჭრობის სფეროში კოოპერატივების პოზიციების გაძლიერე-

ბა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, კოოპერატივების გამსხვილების და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობით.

ვალენსიის რეგიონში სამთავრობო დახმარების სპექტრი იყო საკმაოდ მრავალფეროვანი და მოიცავდა ყველა შესაბამის სფეროსა და ღონისძიებას: განვითარების გეგმების შემუშავება, საინვესტიციო ანალიზი, ბაზრის კვლევისა და მართვის სისტემები, მიწის იჯარა, ტრენინგი, კაპიტალიზაცია, კომერციალიზაცია, კონსოლიდაცია, საჭირო სპეციალისტების დაქირავება, დივერსიფიკაცია, ინტეგრაცია, ახალგაზრდების სწავლება და დასაქმება, ვალდებულებათა სტრუქტურირება, დაფინანსება, პროპაგანდა, ინფორმაციის გენერირება- გავრცელება, სტრუქტურული მოდერნიზაცია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების კონვერსია ახალ სახეობებზე, ადაპტირება ახალი ტენდენციებზე და ტექნოლოგიებზე.

კოოპერატივების წევრების ცოდნის ამაღლების კუთხით კარგ მაგალითს წარმოადგენს ვალენსიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფედერაციის მიერ ATRIAS-ის (ინტეგრირებული მიდგომა სოოფლის მეურნეობაში) ქსელის შექმნასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისიებები.

გასული საუკუნის 70-იან წლებში გარემოსდაცვითი მიდგომების შესახებ ცნობიერება საზოგადოებაში სულ უფრო წინ მიდიოდა და პესტიციდების და სასუქების არასწორი გამოყენების შედეგად მიღებული ზიანის შესახებ უფრო ფართო მასებისთვის გახდა ცნობილი. შესაბამისად, დადგა საჭიროება სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიონალიზმის დონის ამაღლებისა, რომლის მიზანი იყო პროფესიონალი კადრების მომზადების სისტემის შექმნა, რომელიც ფერმერებს დაეხმარებოდა უსაფრთხო პროდუქციის წარმოებაში.

მაშინდელ პერიოდში ესპანეთში ფერმერული მეურნეობები ჯერ კიდევ არ იყვნენ მომგებიანი და არ ჰქონდათ შესაძლებლობა აენაზღაურებინათ ტრენინგების მომსახურებების საფასური. ამიტომ აღნიშნული სისტემის შექმნისთვის აუცილებელი იყო ადმინისტრაციის მხარდაჭერა.

1993 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაქვეყნა პირველი განკარგულება ATRIAS-ის შესახებ, სადაც გამოკვეთილი იყო შემდეგი მიმართულებები:

• ინტეგრირებული კონტროლი ტექნოლოგიების და ფიტოსანიტარული პროდუქტების რაციონალური გამოყენებაზე;

• სპეციალიზირებული პერსონალის ტრენინგები და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანა;

• ფერმერების ჯგუფების წახალისება ინტეგრირებული ფიტოსანიტარული მიდგომის (ATRIAS) განხორციელებაში.

მინისტრის ბრძანებულების თანახმად ATRIAS-ის ფორმირება მინიმუმ 10 ადამიანს შეეძლო, მინიმალური ფართობი კი დარგის მიხედვით დგინდებოდა. უფრო მეტიც, მთავრობა ანაზღაურებდა მათ მიერ დაქირავებული ტექნიკური პერსონალის ხელფასს მთლიანად ან ნაწილობრივ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

სპეციალისტები, აღნიშნული გუნდის მთავარი საყრდენები გახდნენ, ისევე როგორც აგრო-სასურსათო სისტემისა, იმიტომ რომ ისინი პირველადი წარმოების სფეროს ბაზრებთან აკავშირებდნენ. რეგულაციები მუდმივად ვითარდება და შემდეგ კონტრიბუციას ცნობს: სასურსათო უსაფრთხოება, ხარისხი, მიკვლევადობა, ფიტოსანიტარული პროდუქციის მდგრადი გამოყენება და ა.შ.

მთავრობამ მხარი დაუჭირა ATRIAS-ს მოძრაობას ტრენინგებისთვის ნორმატიული ჩარჩოს დაწესებით, რომლის ფარგლებშიც მოხდა ტრენინგის აღიარება, რაც უმთავრესი იყო სპეციალისტისთვის, რათა გამხდარიყო ATRIAS-ის ლიდერი.

1989 წლიდან 2010 წლამდე, ვალენსიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფედერაციამ მარცვლეულის წარმოების ინტეგრირებული კურსის პროგრამის ფარგლებში 600-ზე მეტი სპეციალისტი გადაამზადა. 2010 წელს ფედერაციამ მოახდინა ონლაინ კურსის პრეზენტაცია, ხოლო 2016 წლისთვის გადამზადდა 197 პროფესიონალი.

ტრენინგი ვერ იქნებოდა წარმოდგენილი 1 საგნის შესწავლით, რადგან სპეციალისტმა უნდა მიიღოს მუდმივი და გა-

ნგრძობითი ტრენინგი, ისე რომ მას ქონდეს წვდომა უახლეს ტექნოლოგიებზე, პროდუქტებზე და სახეობებზე, რათა მან ეფექტიანად და მდგრადად შეძლოს მუშაობა. ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა სპეციალისტების ქსელი, რომლებიც კოორდინირებულად მუშაობენ, შეუძლიათ ინოვაციების შესახებ ცოდნის გავრცელების კუთხით თანამშრომობა და ასევე იქნებიან მუდმივი გადამზადების პროცესის მონაწილეები.

ATRIAS-ის ქსელის დაფუძნების საშუალებით და სპეციალისტების ფუნდამენტური როლის მეშვეობით, შემდეგი მიღწევები გახდა ხელმისაწვდომი:

• პირველადი წარმოების ტექნიკით აღჭურვამ ბევრად გააუმჯობესა და გაზარდა ფერმების კომპეტენტურობა;

• სპეციალისტებმა სერიოზული წვლილი შეიტანეს ფერმერების გადამზადებაში;

• ქსელმა საფუძველი ჩაუყარა უსაფრთხო და მაღალი ხარისხის წარმოების მოდელის შექმნას, რაც საჭირო ინსტრუმენტია მოთხოვნილი ხარისხის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად ევროკავშირების რეგულაციებთან შესაბამისობაში;

• ფერმერებმა შესძლეს და თავი გაართვეს რეგულაციებს პესტიციდების პროდუქტების წარმოებიდან ამოღებასთან დაკავშირებით;

• მნიშვნელოვანდ შემცირდა დაბინძურება მცენარეთა დაცვის პროდუქტების და სასუქების გაურკვეველი გამოყენებით, რასაც მოყვა შემდგომი გაუმჯობესება გარემოს დაცვით და მომხმარებელთა ჯანდაცვის კუთხით;

• ფერმერების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ ინტეგრირებულ წარმოებაში, ორგანული ფერმერული მეურნეობის სტანდარტების დაცვით, გაიზარდა. ამჟამად ვალენსიაში მსგავსი მიდგომით 32 000 ჰა მიწის ნაკვეთი მუშავდება.

• ATRIAS-ში შემავალი ფერმერები სარგებელს ნახულობდნენ ევროკავშირის ერთობლივი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისგან, რადგან ისინი აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილი ხარისხის სტანდარტების უმეტესობას. 2004-2010 წლებში ATRIAS-ში ჩართულმა ფერმერებმა ევროკავშირის სუბსიდიები მიიღეს 1

ჰექტარზე 150-დან 430€ -მდე, ფართობზე მოყვანილი მარცვლეულის სახეობების მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Egon Cervera, Lorena Tudela, Anna Cano, Sandra Guzman - Capacity Building to the Agriculture Cooperatives Development Agency. Project Number: Europe Aid/136454/DH/SER/GE, June 2017;

2. ესპანეთის კონსტიტუცია (1978 წ;)

3. ესპანეთის კანონი „კოოპერაციული გაერთიანებების შესახებ“;

4. პ. კოღუაშვილი, დ. მამუკელაშვილი - სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების საერთაშორისო გამოცდილება, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული, „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 2019, 24-25 მაისი.

REFERENCES:

1. Egon Cervera, Lorena Tudela, Anna Cano, Sandra Guzman - Capacity Building to the Agriculture Cooperatives Development Agency. Project Number: Europe Aid/136454/DH/SER/GE, June 2017;

2. Spanish Constitution (1978);

3. The Spanish Law on Cooperative Associations;

4. P. Koguashvili, D. Mamukelashvili - International Experience of Agricultural Cooperation Development, Proceedings of the III International Scientific Conference, “Globalization and Modern Business Exchanges” Georgian Technical University, Tbilisi. 2019, May 24-25.

THE DEVELOPMENT EXPERIENCE OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EUROPEAN COUNTRIES (on the example of Spain)

David Mamukelashvili
Head of Target Projects of the
National Agency for Sustainable Land
Management and Land Use Monitoring

RESUME

The work deals with the experience of stage-by-stage development and legal regulation of agricultural cooperation in Spain. There the state support was mostly targeted to the assistance of a producer of agrucltural products, and the society and the State adequately undertstood the special and indispensable mission of cooperation system in the country's development. The role of cooperation processes in the economic strengthening and democratization of Spain is described.

The work deals with the issues of state support and regulation of the cooperative sector, which encompasses the perfection of the regulatory framework and tax exemptions for agricultural cooperatives. In the article there is also analyzed the problems associated with the attraction of investments and the measures necessary for forming the cooperative agro credit system.

Key words: Cooperative system, legal regulations, social function, pseudo-cooperatives, hierarchical structure, credit cooperates.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მსოფლიო საუნივერსიტეტო გამოცდილება

ლია ზაზაშვილი
სტუ ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ორიენტირებულია ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვაზე და იმგვარი საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ბოლონიის პროცესში ინტეგრაციას და შესაბამისად, საერთაშორისო დონის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას. აღნიშნულ პირობებში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საკადრო უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, მათი უნარების და შესაძლებლობების ოპტიმალური გამოყენება და პროფესიულ-კვალიფიციური განვითარების სტიმულირება. სახელმწიფო დონეზე მიმდინარე ინოვაციური ცვლილებები ახალ მოთხოვნებს უყენებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგების საქმიანობას და მათ პიროვნულ თავისებურებებს. საზღვარგარეთის ქვეყნები აღიარებენ რა უმაღლესი განათლების მნიშვნელოვან როლს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის პროფესიული მომზადების და უწყვეტი განვითარების პროცესს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების შესაბამისი გამოცდილების შესწავლა და გათვალისწინება.

საკვანძო სიტყვები: აკადემიური პერსონალი, კვალიფიკაციის ამაღლება, საზღვარგარეთის გამოცდილება, პროფესიული განვითარება

უცხოეთის უნივერსიტეტების უმრავლესობაში პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება საფუძვლად ედება იმგვარი ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიღებას, როგორიცაა ხელშეკრულების დადება და გამოსაცდელი ვადის შემდგომ თანამდებობაზე დანიშვნა, ხელშეკრულების განახლება, თანამდებობრივი დაწინაურება, პერსონალის პერიოდული შეფასება და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა. ამავე დროს უცხოური უნივერსიტეტები მიზანმიმართული პოლიტიკის საშუალებით ახდენენ თანამშრომელთა დამატებითი პროფესიული განვითარების უწყვეტი ძიებისა და პროფესიული უნარების ყოველმხრივი განვითარების წახალისებას.

ბევრ უცხოურ უნივერსიტეტში დამკვიდრებულია სისტემა, რომელიც თანამშრომლებს რეკომენდაციას უწევს პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების და მიმართულების არჩევასთან დაკავშირებით. იგი დაფუძნებულია თავად თანამშრომლების მოთხოვნილებების და იმ ცოდნის და უნარების გათვალისწინებაზე, რომელიც საჭიროა უნივერსიტეტში მათი საქმიანობის ეფექტიანი შესრულებისთვის. პერსონალის პერიოდული შეფასების შედეგების ანალიზის და თანამშრომლის ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე ხდება სხვადასხვა კატეგორიის თანამშრომელთათვის კვალიფიკაციის ამაღლების საკითხთთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაწევა .

უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ფუნქცია აკისრია სპეციალურ განყოფილებას, რომელიც, როგორც წესი, უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის შემადგენლობაშია ან მჭიდრო კავშირშია მასთან. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილება ფაკულტეტების ან დეპარტამენტების ბაზაზე არსებობს და მათ სთავაზობენ კონკრეტულ მოთხოვნილებებზე ორიენტირებულ სპეციალურ კურსებს (როგორიცაა, მაგალითად ოქსფორდის სასწავლო ინსტიტუტი (The Oxford Learning Institute) ან ადამიანური რესურსების მართვის სწავლების და განვითარების განყო-

ფილება (HRs Learning and Development) პრინსტონის უნივერსიტეტში).

საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლებს პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ეძლევათ ანაზღაურებადი მივლინებები. მაგალითად, ბერლინის უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს აქვს უფლება მიიღოს ამგვარი შვებულება ორ წელიწადში ერთხელ 10 დღიანი ვადით. იელის უნივერსიტეტში ხელმძღვანელს შეუძლია მისცეს დასვენების დღეები თანამშრომელს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ან სემინარების გავლის მიზნით, თუ ისინი უკავშირდებიან მათ უშუალო ან სამომავლო საქმიანობას.

კურსების და სემინარების დიდი უმრავლესობა, რომელნიც ორგანიზებულნი არიან უნივერსიტეტის განყოფილებების მიერ, როგორც წესი უფასოა თანამშრომლებისთვის. ამ სახის მეცადინეობების ხანგრძლივობა ერთი საათიდან 6-7 სრულ დღემდე ვარირებს. კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებათა უმრავლესობას წარმოადგენენ სემინარები, სამუშაო ჯგუფები ან ტრენინგები რამდენიმე საათიდან ერთი ან ორი დღის ხანგრძლივობით. უფრო ხანგრძლივი კურსები იშვიათია და ისინი, ძირითადად, მიმართულნი არიან პროფესორ-მასწავლებელთა კატეგორიაზე. მათ მიეკუთვნება, მაგალითად, ოქსფორდში კურსი „უმაღლეს სასწავლებელში სწავლის და სწავლების“ შესახებ (Postgraduate Diploma in Learning and Teaching in Higher Education) გამოცდილი აკადემიური პერსონალისთვის (სამუშაო გამოცდილება არანაკლებ სამი წელი).

განსხვავებულია შეთავაზებული ტრენინგების ფორმები: ტრადიციული და ონლაინ კურსების გვერდით, არსებობს შერეული ტიპიც (blended), რომელიც ორივე ვარიანტს ერთდროულად მოიცავს. ასევე, განსხვავებულია სამიზნე აუდიტორია: არსებობს ტრენინგები ნებისმიერი კატეგორიის თანამშრომლისათვის და ტრენინგები მხოლოდ თანამშრომელთა კონკრეტული ჯგუფებისათვის, მაგალითად: პედაგოგების, ადმინისტრა-

ციულ-მმართველობითი, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე პერსონალისთვის, ასევე, ცალკე არსებობს ტრენინგები ახალი თანამშრომლებისთვის.

ნებისმიერი კატეგორიის პერსონალისთვის განკუთვნილი კურსები მიმართულია იმგვარი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, რომელიც საჭიროა ეფექტიანი საქმიანობისთვის, ზოგადად ყველა სფეროში. მათ მიეკუთვნება: პიროვნებათშორისი და წერითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; საქმიანი წერილები; პრეზენტაციის და თვითპრეზენტაციის უნარები; მოტივაცია და ლოიალობა; პროექტების მართვა; დროის მართვა; კონფლიქტების მართვა; საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება; გუნდური მუშაობა; პიროვნული განვითარება.

პროფესორ-მასწავლებელთათვის არსებობს ტრენინგები, რომელიც ორიენტირებულია პედაგოგიური ოსტატობის და სწავლების უნარების განვითარებაზე (ლექტორის ოსტატობის და დიდაქტიკის კურსები, მომზადება გამოცდის ჩატარებისათვის; პრეზენტაციის უნარების განვითარება; განსაკუთრებული სირთულის მქონე (დისლექსია, მხედველობითი ან სმენითი ინვალიდობა და სხვ.) სტუდენტების სწავლების თავისებურებები; ხელმძღვანელობის და კონტროლის უნარები (მცირე ჯგიფებში მუშაობა, სტუდენტების და მაგისტრანტების ხელმძღვანელობა; კურსის შედგენის უნარ-ჩვევები; ადმინისტრაციული უნარ-ჩვევები აკადემიურ სფეროში. გარდა ამისა არსებობს პედაგოგთა კარიერულ განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგები.

უნივერსიტეტის თანამშრომელთა სხვადასხვა კატეგორიისთვის კვალიფიკაციის ამაღლების კომპლექსური მიდგომის მაგალითს წარმოადგენს ოქსფორდის უნივერსიტეტის სასწავლო ინსტიტუტის მიერ რეალიზებული კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები პედაგოგებისთვის. მკვლევართათვის - ასპირანტებისა და დოქტორანტებისთვის - არსებობს ოქსფორდის „სწავლის და სწავლების მომზადების“ პროგრამა. დამწყები პედაგოგებისთვის - „სწავლის და სწავლების განვითარება“ (Developing learning and teaching), ახლად დანიშნული

აკადემიური პერსონალისთვის, სწავლების გამოცდილების მქონე დოქტორანტებისთვის -„ პედაგოგთა მომზადების ტრენინგი“ (Teaching fellowship preparation). აკადემიური პერსონალისთვის, რომელთაც სამ წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება გააჩნიათ არსებობს შედარებით ხანგრძლივი, ერთ წლიანი კურსი, რომელთაც ეძლევათ უმაღლესი განათლების სფეროში სწავლის და სწავლების დამადასტურებელი დიპლომი.

ადმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონალისთვის არსებობს კურსები, რომლებიც ეხება: ლიდერობის და ორგანიზაციული უნარების განვითარებას, გუნდის შექმნას და მის მართვას, წარმოების მართვას, კლიენტებთან მუშაობას, სტრატეგიული დაგეგმვა, პროექტების მართვა, რისკების მართვა, უნივერსიტეტის მართვის და ხელმძღვანელობის სამართლებრივი ასპექტები და ა. შ. მაგალითად, პრინსტონის უნივერსიტეტის მენეჯერული უნარების განვითარების პროგრამა (Management Development Certifikate Program), რომელიც გათვლილია სამ წელზე და მოიცავს ხუთ სავალდებულო კურსს და სამს არჩევითს.

ასევე, საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ჰარვარდის ლიდერობის უნარების განვითარების პროგრამების სერია. მასში შედიან პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სხვადასხვა დონის, მათ შორის, უმაღლესი რგოლის, მმართველებსა და ადმინისტრატორებზე. ისინი ასევე განკუთვნილი არიან ყველა იმ თანამშრომლისთვის, რომელთა ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება, თუნდაც ერთი მუდმივი თანამშრომელი და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის ზოგიერთი კატეგორია. პროგრამა მოიცავს შეფასებით ინსტრუმენტებს, სავარჯიშოებს დიდი და მცირე ჯგუფებისთვის და თემატურ კვლევებს მონაწილეთა ლიდერული უნარების განვითარებისთვის, დაქვემდებარებულთა მუშაობაზე ზეგავლენის მოხდენის უნარების განვითარებას, სამუშაოს ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

სამეცნიერო-კვლევითი პერსონალისთვის განკუთვნილი ტრენინგები ძირითადად ეხება კვლევითი სამუშაოს ჩატარების უნარებს, სამეცნიერო ნაშრომის მომზადებას, დაწერას

და გამოქვეყნებას, კვლევისათვის დაფინანსების მიღების და მიღებული ფინანსების მართვის, სამეცნიერო ხარისხის მიღების (PhD) და შემდგომი კარიერული განვითარების საკითხებს.

გარდა ამისა, ჩვეულებრივ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებობს კარიერის განვითარების პროგრამა, რომელიც თანამშრომლებს კონსულტაციას უწევს იმგვარ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: კარიერული შესაძლებლობები, მიმართულებები, კარიერული განვითარების შემდგომი ნაბიჯები. მაგალითად, აქ შედის შემდეგი ტრენინგები: „რეზიუმეს და სამოტივაციო წერილის შედგენა", ინტერვიუსთვის მომზადება" და ა. შ.

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილების გარდა უნივერსიტეტის სხვა განყოფილებების მიერ შეთავაზებული ტრენინგების და სემინარების დიდი ნაწილი წარმოადგენს თანამშრომლებისთვის ფასიანს. ბევრ უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო გრანტების ანუ საგანმანათლებლო მხარდაჭერის პროგრამები, რომელიც ნაწილობრივ ფარავს სწავლების საფასურს (სხვადასხვა უნივერსიტეტებში განსხვავდება 50%-დან 85%-მდე). აქ შედის გარკვეული ხარისხის მისაღები, სერტიფიცირებული პროგრამები, ასევე ცალკეული ტრენინგები, რომელიც არ არის დაკავშირებული ხარისხის მიღებასთან. ხშირ შემთხვევაში, დაფინანსების მისაღებად, არჩეული კურსები უნდა შეესაბამებოდეს თანამშრომელთა საქმიანობას, თუმცა ჰარვარდში პიროვნული განვითარების მიზნებიც შეიძლება გახდეს საფუძველი გრანტის მისაღებად. იელის უნივერსიტეტში მსგავსი პროგრამა ვრცელდება, ასევე, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსებსა და პროგრამებზეც - სწავლის ანაზღაურების პროგრამა იელის უნივერსიტეტის გარეთ, Tuition Reimbursement Program for Non-Yale Courses and Programs.

საზღვარგარეთ უნივერსიტეტთა უმრავლესობაში ფუნქციონირებს ონლაინ-სწავლების სისტემა, რომელიც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს ინტერნეტის მეშვეობით გაიარონ

ტრენინგები, მაგალითად ჰარვარდის LyndaCampus, რომელიც მოიცავს 2000 ვიდეო-გაკვეთილს სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით ან იელის უფასო ონლაინ კურსები, რომელიც კოლეჯის კურსებს ხელმისაწვდომს ხდის).

ამდენად, საზღვარგარეთ უნივერსიტეტებში შექმნილია თანამშრომელთა უწყვეტი განათლების ეფექტური სისტემა, რომელიც ორიენტიერებულია საგანმანათლებლო ბაზარზე უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. ეს სისტემა აგებულია შემდეგ ბაზისურ პრინციპებზე: თანამშრომლის მთელი პროფესიული მოღვაწეობის მანძილზე უწყვეტი განათლების ეფექტური მექანიზმების ფორმირება და სრულყოფა; კვალიფიკაციის ამაღლების წინმსწრები ხასიათი განათლების სფეროს განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით; კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმის ჰარმონიული შეთანწყობა, რომელიც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას ინდივიდუალური ინტერესები და უნივერსიტეტის თანამშრომელთა მოთხოვნები; კვალიფიკაციის ამაღლების შინაარსის დიფერენცირება სამუშაო სტაჟის, მომზადების დონის, საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის და თანამედროვე სოციო-კულტურული მდგომარეობის მიხედვით.

საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტების პოზიტიური გამოცდილების გამოყენებას შეუძლია არსებითად აამაღლოს საქართველოს უნივერსიტეტების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა და საშუალება მისცეს მათ დაიკავონ მაღალი პოზიციები უნივერსიტეტთა საერთაშორისო რეიტინგებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Chabaya R. A. Academic staff development in higher education institutions: a case study of Zimbabwe state universities. Doctor of education in the subject of curriculum studies at the university of South Africa. 2015. 100-121გვ.

2 Козлова Е.В., Ирхина И.В. Особенности повышения квалификации научно-педагогических кадров вузов в Великобритании.// Современные проблемы науки и образования. – 2012. – № 6.;

3. Хацринова О. Ю. Дополнительное профессиональное образование преподавателей высшей школы: зарубежный и отечественный опыт. 368-375გვ. https://cyberleninka.ru/article/n/dopolnitelnoe-professionalnoe-obrazovanie-prepodavateley-vysshey-shkoly-zarubezhnyy-i-otechestvennyy-opyt/viewer.

REFERENCES:

1. Chabaya R. A. Academic staff development in higher education institutions: a case study of Zimbabwe state universities. Doctor of education in the subject of curriculum studies at the university of South Africa. 2015. 100-121გვ.

2. Kozlova E.V., Irkhina I.V. Features of advanced training of scientific and pedagogical personnel of universities in the UK. // Modern problems of science and education. - 2012. - No. 6 .;

3. Khatsrinova O. Yu. Additional professional education of teachers of higher school: foreign and domestic experience.

WORLD UNIVERSITY EXPERIENCE IN IMPROVING THE QUALIFICATION OF ACADEMIC STAFF

Zazashvili Lia
The Doctoral Student of Georgian Technical University,
Faculty of Business Technologies

RESUME

Given the ongoing reforms in the country, the higher education institution is focused on the introduction of European educational standards and the implementation of such educational programs that ensure integration into the Bologna process and, consequently, the training of highly qualified international staff. The important task in these conditions is to provide staff with higher education institutions with highly qualified specialists, to make optimal use of their skills and abilities and to stimulate the professional-qualified development. The innovative changes at the state level put new demands on the activities of teachers in higher education institutions and their personal characteristics. Foreign countries recognize the important role of higher education in the socio-economic development of the society and give priority to the process of professional training and continuous development of the staff of higher education institutions. In this regard, it is important to study and take into account the relevant experiences of other countries.

Key words: Academic Staff, Qualification, Experience Abroad, Professional Development.

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 15.04.2020 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.04.2020 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,25